საქართველოს ფოსტა

მომხმარებლის სახელმძღვანელო

შემუშავებულია ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ

ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან

2026

სარჩევი

კარი I . ზოგადი დებულებები 5
თავი 1. შესავალი 5
მუხლი 1. გამოყენების სფერო და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი
მუხლი 2. საფოსტო გზავნილის დამისამართება და გამოყენებული ენები
მუხლი 3. საფოსტო გზავნილის კუთვნილება, კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დაცვა
თავი 2. ტერმინთა განმარტება 8
მუხლი 4. გამოყენებული ტერმინები
კარი II. ადგილობრივი საფოსტო გზავნილი..... 13
თავი 3. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის სახეები და კატეგორიები 13
მუხლი 5. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის სახეები
მუხლი 6. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის კატეგორიები
თავი 4. ადგილობრივი საფოსტო ბარათის მახასიათებლები, მისი გაგზავნა და ჩაბარება 13
მუხლი 7. ადგილობრივი საფოსტო ბარათის მახასიათებლები
მუხლი 8. ადგილობრივი საფოსტო ბარათის გაგზავნა
მუხლი 9. ადგილობრივი საფოსტო ბარათის ადრესატისთვის ჩაბარება
თავი 5. ადგილობრივი წერილის მახასიათებლები, მისი გაგზავნა და ჩაბარება 15
მუხლი 10. ადგილობრივი წერილის მახასიათებლები
მუხლი 11. . ადგილობრივი წერილის გაგზავნა
მუხლი 12. ადგილობრივი წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება
მუხლი 13. ადგილობრივი წერილის სერვისცენტრში ჩაბარება
თავი 6. ადგილობრივი ამანათის მახასიათებლები, მისი გაგზავნა და ჩაბარება 26
მუხლი 14. ადგილობრივი ამანათის მახასიათებლები
მუხლი 15 ადგილობრივი ამანათის გაგზავნა
მუხლი 16. ადგილობრივი რეგისტრირებული ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება
მუხლი 17. ადგილობრივი დაზღვეული ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება
მუხლი 18. ადგილობრივი სახლიდან სახლში ამანათის ადრესატისთვის ჩაბარება
თავი 7. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის დამატებითი სერვისები 40
მუხლი 19. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის დამატებითი სერვისების სახეები
მუხლი 20. დამატებითი სერვისი - 12/12
მუხლი 21. დამატებითი სერვისი - გზავნილი ჩაბარების დასტურით
მუხლი 22. დამატებითი სერვისი - ორჯერადი ვიზიტი
მუხლი 23 დამატებითი სერვისი - პირადად ადრესატისთვის ჩაბარება
მუხლი 24 დამატებითი სერვისი - გზავნილის მისამართზე ჩაბარება
მუხლი 25. დამატებითი სერვისი - გადამისამართება
მუხლი 26. დამატებითი სერვისი - შენახვის ვადის გაზრდა
მუხლი 27. დამატებითი სერვისი - ვადაზე ადრე უკან დაბრუნება
მუხლი 28. დამატებითი სერვისი - ცნობა საფოსტო მომსახურების შესახებ
მუხლი 29. დამატებითი სერვისი - გზავნილის არქივიდან გამოთხოვა
მუხლი 30. დამატებითი სერვისი - გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა
მუხლი 31. დამატებითი სერვისი - სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარა
თავი 8. მოთხოვნები ადგილობრივი საფოსტო გზავნილის მიმართ 56
მუხლი 32. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის შეფუთვის წესი

მუხლი 33. აკრძალვები და შეზღუდვები ადგილობრივი საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ
თავი 9. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის ჩაბარების ვადები, ჩაუბარებელი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადა და მისი უკან დაბრუნების წესი 60
მუხლი 34. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების ვადები
მუხლი 35. ჩაუბარებელი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადა და მისი უკან დაბრუნების წესი
კარი III. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილი..... 62
თავი 10. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის სახეები და კატეგორიები 62
მუხლი 36. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის სახეები
მუხლი 37. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის კატეგორიები
თავი 11. საერთაშორისო გამავალი საფოსტო საფოსტო ბარათის მახასიათებლები და მისი გაგზავნა ..63
მუხლი 38. საერთაშორისო გამავალი საფოსტო ბარათის მახასიათებლები
მუხლი 39. საერთაშორისო გამავალი საფოსტო ბარათის გაგზავნა
თავი 12. საერთაშორისო გამავალი წერილის მახასიათებლები და მისი გაგზავნა 63
მუხლი 40. საერთაშორისო გამავალი წერილის მახასიათებლები
მუხლი 41. საერთაშორისო გამავალი წერილის გაგზავნა
თავი 13. საერთაშორისო გამავალი მცირე პაკეტის მახასიათებლები და მისი გაგზავნა 67
მუხლი 42. საერთაშორისო გამავალი მცირე პაკეტის მახასიათებლები
მუხლი 43. საერთაშორისო გამავალი მცირე პაკეტის გაგზავნა
თავი 14. საერთაშორისო გამავალი M ტომარას მახასიათებლები და მისი გაგზავნა 69
მუხლი 44. საერთაშორისო გამავალი M ტომარას მახასიათებლები
მუხლი 45. საერთაშორისო გამავალი M ტომარას გაგზავნა
თავი 15. საერთაშორისო გამავალი ამანათის მახასიათებლები და მისი გაგზავნა 70
მუხლი 46. საერთაშორისო გამავალი ამანათის მახასიათებლები
მუხლი 47. საერთაშორისო გამავალი ამანათის გაგზავნა
თავი 16. საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის მახასიათებლები და მისი გაგზავნა 73
მუხლი 48. საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის მახასიათებლები
მუხლი 49. საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის გაგზავნა
თავი 17. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის დამატებითი სერვისები 76
მუხლი 50. დამატებითი სერვისების სახეები
მუხლი 51. დამატებითი სერვისი - გადამისამართება
მუხლი 52. დამატებითი სერვისი - გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა
თავი 18. მოთხოვნები საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის მიმართ 79
მუხლი 53. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის სავალდებულო საბაჟო დეკლარირება
მუხლი 54. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის შეფუთვის წესი
მუხლი 55. აკრძალვები და შეზღუდვები საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ
თავი 19. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის საქართველოდან გაგზავნის და დანიშნულების ქვეყანაში ტრანსპორტირების ვადები 85
მუხლი 56. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის საქართველოდან გაგზავნის ვადები
მუხლი 57. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ტრანსპორტირების ვადები
თავი 20. დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ საფოსტო გზავნილის მიღება და მისი ადრესატისთვის ჩაბარება 86
მუხლი 58. დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ საფოსტო გზავნილის მიღება
მუხლი59. დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება

თავი 21. ჩაუბარებელი საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადები და მისი უკან დაბრუნების წესი 89
მუხლი 60. ჩაუბარებელი საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადები და მისი უკან დაბრუნების წესი
კარი IV. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილი..... 90
თავი 22. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის სახეები და კატეგორიები 90
მუხლი 61. . საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის სახეები
მუხლი 62. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის კატეგორიები
თავი 23. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის საქართველოში მიღება 91
მუხლი 63. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის საქართველოში მიღება
თავი 24. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო ბარათის მახასიათებლები და მისი ჩაბარება 92
მუხლი 64. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო ბარათის მახასიათებლები
მუხლი 65. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო ბარათის ადრესატისთვის ჩაბარება
თავი 25. საერთაშორისო შემომავალი წერილის მახასიათებლები და მისი ჩაბარება 93
მუხლი 66. საერთაშორისო შემომავალი წერილის მახასიათებლები
მუხლი 67. საერთაშორისო შემომავალი წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება
მუხლი 68. საერთაშორისო შემომავალი წერილის სერვისცენტრში ჩაბარება
თავი 26. საერთაშორისო შემომავალი მცირე პაკეტის მახასიათებლები და მისი ჩაბარება 100
მუხლი 69. საერთაშორისო შემომავალი მცირე პაკეტის მახასიათებლები
მუხლი 70. საერთაშორისო შემომავალი მცირე პაკეტის ადრესატისთვის ჩაბარება
თავი 27. საერთაშორისო შემომავალი M ტომარას მახასიათებლები და მისი ჩაბარება 103
მუხლი 71. საერთაშორისო შემომავალი M ტომარას მახასიათებლები
მუხლი 72. საერთაშორისო შემომავალი M ტომარას ადრესატისთვის ჩაბარება
თავი 28. საერთაშორისო შემომავალი ამანათის მახასიათებლები და მისი ჩაბარება 106
მუხლი 73. საერთაშორისო შემომავალი ამანათის მახასიათებლები
მუხლი 74. საერთაშორისო შემომავალი ამანათის ადრესატისთვის ჩაბარება
თავი 29. საერთაშორისო შემომავალი EMS გზავნილის მახასიათებლები და მისი ჩაბარება 109
მუხლი 75. საერთაშორისო შემომავალი EMS გზავნილის მახასიათებლები
მუხლი 76. საერთაშორისო შემომავალი EMS გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება
თავი 30. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის დამატებითი სერვისები 113
მუხლი 77. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის დამატებითი სერვისები
მუხლი 78. დამატებითი სერვისი - გზავნილის მისამართზე ჩაბარება
მუხლი 79. დამატებითი სერვისი - გადამისამართება
მუხლი 80. დამატებითი სერვისი - შენახვის ვადის გაზრდა
მუხლი 81. დამატებითი სერვისი - ცნობა საფოსტო მომსახურების შესახებ
მუხლი 82. დამატებითი სერვისი - გზავნილის დისტანციური დეკლარირება
მუხლი 83. დამატებითი სერვისი - გზავნილის არქივიდან გამოთხოვა
მუხლი 84. დამატებითი სერვისი - სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარა
თავი 31. მოთხოვნები საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის მიმართ 125
მუხლი 85. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის შეფუთვის წესი

მუხლი 86. აკრძალვები და შეზღუდვები საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ

თავი 32. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის ჩაბარების ვადები. ჩაუბარებელი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადა და მისი უკან დაბრუნება 127

მუხლი 87. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების ვადები

მუხლი 88. ჩაუბარებელი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადა და მისი უკან დაბრუნების წესი

კარი V. პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება..... 129

თავი 33. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის მოცულობა და მისი გამომრიცხავი გარემოებები 129

მუხლი 89. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგელობის მოცულობა

მუხლი 90. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

მუხლი 91. დაუძლეველი ძალა

თავი 34. გამგზავნის პასუხისმგებლობის მოცულობა და მისი გამომრიცხავი გარემოებები 133

მუხლი 92. გამგზავნის პასუხისმგებლობის მოცულობა

მუხლი 93. გამგზავნის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

თავი 35. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ასანაზღაურებელი ზიანის ზღვრული ოდენობა 134

მუხლი 94. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე

მუხლი 95. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა საერთაშორისო გამავალ საფოსტო გზავნილებზე

მუხლი 96. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილებზე

თავი 36. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ რეკლამაციის განხილვის წესი და გადაწყვეტილების მიღება ზიანის ანაზღაურების თაობაზე 139

მუხლი 97. რეკლამაციის წარდგენა და განხილვა

მუხლი 98. ზიანის ანაზღაურების წესი

თავი 37. გამგზავნის მიერ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა და მისი ანაზღაურების წესი 142

მუხლი 99. ზიანის ოდენობა

მუხლი 100. ზიანის ანაზღაურების წესი

კარი VI .დასკვნითი დებულებები..... 143

თავი 38. დასკვნითი დებულებები 143

მუხლი 101. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

მუხლი 102. ინტერპრეტაცია და ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

კარი I.
ზოგადი დებულებები

თავი 1. შესავალი

მუხლი 1. გამოყენების სფერო და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი

1.1. „მომხმარებლის სახელმძღვანელო“ წარმოადგენს იმ სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების ერთობლიობას, რომელსაც შპს „საქართველოს ფოსტა“ სთავაზობს მომხმარებელს საფოსტო-საკურიერო მომსახურების განხორციელებისას.

1.2. ხელშეკრულება საფოსტო მომსახურების შესახებ სტანდარტული სახელშეკრულებო პირობებით დადებულად ითვლება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო გზავნილის მიღების მომენტიდან.

1.3. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო პროდუქტების მომხმარებელთან ინდივიდუალური ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, წინამდებარე დოკუმენტითა და ინდივიდუალური ხელშეკრულებით განსაზღვრულ დებულებებს შორის წინააღმდეგობის/შეუსაბამობის არსებობისას, უპირატესობა მიენიჭება ინდივიდუალური ხელშეკრულების პირობებს.

1.4. შპს „საქართველოს ფოსტა“ წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული დებულებებით მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და შპს „საქართველოს ფოსტის“ შიდა რეგულაციებით.

მუხლი 2. საფოსტო გზავნილის დამისამართება და გამოყენებული ენები

2.1. ადგილობრივ საფოსტო გზავნილზე ინფორმაცია დატანილი უნდა იყოს გარკვევით, ქართული ასოებისა და არაბული ციფრების გამოყენებით და შეიცავდეს გამგზავნისა და ადრესატის შესახებ შემდეგ მონაცემებს:

2.1.1. სახელი, გვარი/სახელწოდება;

2.1.2. მისამართი, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ❖ საფოსტო ინდექსი;

- ❖ იმ მუნიციპალიტეტის სახელწოდება, რომელსაც მიეკუთვნება დასახლება. ამასთან, თუ დასახლების კატეგორია ქალაქია, მუნიციპალიტეტის სახელწოდების მითითება არ მოითხოვება;
- ❖ დასახლების კატეგორია (ქალაქი, დაბა, სოფელი) და მისი სახელწოდება;
- ❖ ქუჩის (ან გამზირის, შესახვევის, გასასვლელის, ჩიხის და ა.შ.) სრული სახელწოდება. ამასთან, თუ ქალაქში ერთიდაიმავე სახელწოდების რამდენიმე ქუჩაა, ასევე სავალდებულოა იმ რაიონის მითითება, რომელსაც მიეკუთვნება კონკრეტული ქუჩა;
- ❖ შენობის/სახლის და ბინის/ოფისის ნომერი. ამასთან, თუ შენობას/სახლს აქვს სადარბაზო, სასურველია მისი მითითებაც.

2.1.3. საფოსტო გზავნილის ჩაბარების პროცესის გამარტივების მიზნით, რეკომენდირებულია ადგილობრივ საფოსტო გზავნილზე გამგზავნისა და ადრესატის ტელეფონის ნომრების დატანა.

2.2. საერთაშორისო საფოსტო გზავნილზე ინფორმაცია დატანილი უნდა იყოს გარკვევით, ლათინური ბეჭდური ასოებისა და არაბული ციფრების გამოყენებით და შეიცავდეს ადრესატისა და გამგზავნის შესახებ შემდეგ მონაცემებს:

2.2.1. სახელი, გვარი/სახელწოდება;

2.2.2. მისამართი, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ❖ ქვეყნის დასახელება;
- ❖ საფოსტო ინდექსი;
- ❖ იმ მუნიციპალიტეტის/ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდება, რომელსაც მიეკუთვნება დასახლება;
- ❖ დასახლების კატეგორია (ქალაქი, დაბა, სოფელი და ა.შ.) და მისი სახელწოდება;
- ❖ გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობის აღმნიშვნელი ტექსტობრივი ჩანაწერი (ქუჩის, გამზირის, შესახვევის, გასასვლელის, ჩიხის და ა.შ. სახელწოდება);
- ❖ გეოგრაფიული ობიექტის (შენობის/სახლის, ბინის/ოფისის) ნუმერაციის შესახებ ინფორმაცია.

2.2.3.საფოსტო გზავნილის ჩაბარების პროცესის გამარტივების მიზნით, რეკომენდირებულია საერთაშორისო საფოსტო გზავნილზე გამგზავნისა და ადრესატის ტელეფონის ნომრების დატანა.

2.3. ინფორმაცია გამგზავნისა და ადრესატის შესახებ დაიტანება საფოსტო გზავნილის ზედაპირზე. ამასთან, გამგზავნის შესახებ ინფორმაციის დატანა ხდება საფოსტო გზავნილის ზედა მარცხენა კუთხეში, ხოლო ადრესატის შესახებ - ქვედა მარჯვენა კუთხეში. თუ საფოსტო გზავნილის გასაგზავნად სავალდებულოა მის ზედაპირზე საბაჟო დეკლარაციის მიბმა, ხოლო საფოსტო გზავნილის მცირე ზომის გამო, საბაჟო დეკლარაციასთან ერთად გამგზავნისა და

ადრესატის მონაცემების დადგენილი წესით დატანა შეუძლებელია, საკმარისად ჩაითვლება აღნიშნული მონაცემების მხოლოდ საბაჟო დეკლარაციაში ჩაწერა.

მუხლი 3. საფოსტო გზავნილის კუთვნილება, კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვა

3.1. საფოსტო გზავნილი მისი ადრესატისთვის ჩაბარებამდე წარმოადგენს გამგზავნის საკუთრებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება მისი ჩამორთმევა საქართველოს, ტრანზიტული ან დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე.

3.2. მომხმარებლის და მის მიერ გაგზავნილი ან მიღებული საფოსტო გზავნილის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია. აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

3.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ კონკრეტული საფოსტო გზავნილის შესახებ წერილობით ინფორმაციას გასცემს გამგზავნის, წარმომდგენის, ადრესატის, გზავნილის მიმღების (უშუალოდ ჩამბარებელი პირის), ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი მომართვის საფუძველზე.

3.4. საფოსტო გზავნილის მოძრაობის/ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემა ასევე შესაძლებელია ზეპირად (მათ შორის ტელეფონით), ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, თუ მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი იქნება საფოსტო გზავნილის ადრესატის სახელი, გვარი/ სახელწოდება და იდენტიფიცირებისათვის საჭირო ერთ-ერთი შემდეგი მონაცემი:

- საფოსტო გზავნილის მაიდენტიფიცირებელი კოდი;
- საფოსტო გზავნილის გამგზავნის სახელი, გვარი/სახელწოდება;
- საფოსტო გზავნილის ადრესატის ტელეფონის ნომერი;
- საფოსტო გზავნილის ადრესატის მისამართი.

3.5. შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებლისა და მის მიერ გაგზავნილი/მიღებული საფოსტო გზავნილის შესახებ ინფორმაციას ასევე გასცემს:

3.5.1. სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში;

3.5.2. მსოფლიო საფოსტო კონვენციისა და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, საბაჟო ორგანოებსა და უცხო ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციებისათვის საფოსტო გზავნილის შეუფერხებელი ურთიერთგაცვლის, ტრანზიტისა და ადრესატისთვის ჩაბარების მიზნით.

3.6. შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და შპს „საქართველოს ფოსტის“ „მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკის“ შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს, ხელმისაწვდომია შპს „საქართველოს ფოსტის“ ყველა სერვისცენტრში და განთავსებულია ვებგვერდზე www.gpost.ge.

თავი 2. ტერმინთა განმარტება

მუხლი 4. გამოყენებული ტერმინები

4.1. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის, ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

4.1.1. **საფოსტო გზავნილი** - წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ნებისმიერი სახეობის საფოსტო გზავნილი (საფოსტო ბარათი, წერილი, მცირე პაკეტი, M ტომარა, ამანათი, EMS გზავნილი), რომელიც იგზავნება ან/და ბარდება შპს „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით.

4.1.2. **საფოსტო ბარათი** - საფოსტო გზავნილის სახეობა, რომელიც წარმოადგენს მყარი ქაღალდის ან მუყაოსგან დამზადებულ სპეციალურ ბლანკს, განკუთვნილს წერილობითი ტექსტის განსათავსებლად და იგზავნება/ბარდება ღია სახით, კონვერტის გარეშე.

- საფოსტო ბარათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 20 გრამს, ხოლო ზომა არ უნდა იყოს 90X140 მმ-ზე ნაკლები და 120X235 მმ-ზე მეტი.

შენიშვნა: *საფოსტო ბარათი, რომლის ზომა ან წონა აღემატება მაქსიმალურ ზღვარს, აგრეთვე დაკეცილი და პერფორირებული საფოსტო ბარათი იგზავნება მხოლოდ დახურული სახით - კონვერტით და ითვლება წერილად.*

4.1.3. **წერილი** - საფოსტო გზავნილის სახეობა, რომელიც იგზავნება/ბარდება დახურული სახით - კონვერტით და შეიცავს ქაღალდზე დატანილ ტექსტს, დოკუმენტს, ჟურნალს, გაზეთს, პერიოდულ გამოცემას, კორესპონდენციას, ფოტოსურათს, პლასტიკურ ბარათს, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და სხვა საბუთს, აგრეთვე გასაგზავნ დოკუმენტზე თანდართულ კომპაქტდისკსა და მეხსიერების ბარათს.

- წერილის წონა კატეგორიების მიხედვით ინდივიდუალურად განისაზღვრება, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 2 კგ-ს;
- წერილის ზომა არ უნდა იყოს 90X140 მმ-ზე ნაკლები და 240X340 მმ-ზე მეტი, ხოლო მაქსიმალური სისქე - 50 მმ-ზე მეტი.

შენიშვნა: *წერილი, რომლის ზომა ან წონა აღემატება დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს, იგზავნება ამანათად.*

4.1.4. **ჰიბრიდული წერილი** - წერილის სახეობა, რომელიც მიიღება ელექტრონული სისტემის საშუალებით, ხდება მისი მატერიალურ ფორმატში ტრანსფორმირება და დახურული სახით (კონვერტით) ჩაბარება ადრესატისათვის.

4.1.5. **მცირე პაკეტი** - საფოსტო გზავნილის სახეობა, რომელიც იგზავნება/ბარდება დახურული სახით და რომლის შიგთავსიც შეიძლება იყოს როგორც კომერციული დანიშნულებით გაგზავნილი წერილი (წინამდებარე დოკუმენტის 4.1.3. პუნქტით განმარტების შესაბამისად), ასევე ნებისმიერი ნივთი.

- მცირე პაკეტის წონა არ უნდა აღემატებოდეს 2 კგ-ს, ზომა არ უნდა იყოს 90X140 მმ-ზე ნაკლები და 240X340 მმ-ზე მეტი, ხოლო მაქსიმალური სისქე - 50 მმ-ზე მეტი.

შენიშვნა: *მცირე პაკეტი, რომლის ზომა ან წონა აღემატება დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს, იგზავნება ამანათად.*

4.1.6. **M ტომარა** - საფოსტო გზავნილის სახეობა, რომელიც იგზავნება/ბარდება დახურული სახით და რომელიც შეიცავს ერთ ადრესატზე დამისამართებულ წიგნებს, გაზეთებს, პერიოდულ გამოცემებს და სხვა მსგავი შინაარსის პროდუქციას.

- M ტომარას წონა არ უნდა აღემატებოდეს 30 კგ-ს, ხოლო გარშემოწერილობა - 120 სმ- ს.

4.1.7. **ამანათი** - საფოსტო გზავნილის სახეობა, რომელიც იგზავნება/ბარდება დახურული სახით და რომლის შიგთავსიც შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი (დოკუმენტი/ნივთი), თუ მისი გაგზავნა/მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებს, დანიშნულების ქვეყნისა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილ წესებს.

- ამანათის წონა კატეგორიების მიხედვით ინდივიდუალურად განისაზღვრება, თუმცა ის არ უნდა აღემატებოდეს 20 კგ-ს;
- ამანათის მაქსიმალური ზომაა 1.05მX1.05მX1.05 მ (ან სიგრძისა და სხვა ყველაზე დიდი გარშემოწერილობის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 2 მ-ს).

4.1.8. **EMS გზავნილი** - საერთაშორისო საფოსტო გზავნილის სახეობა, რომელიც იგზავნება/ბარდება დახურული სახით სხვა საფოსტო გზავნილებზე უფრო მცირე ვადებში და რომლის შიგთავსიც შეიძლება იყოს როგორც დოკუმენტი, ასევე ნივთი.

- EMS დოკუმენტის წონა არ უნდა აღემატებოდეს 2 კგ-ს, ზომა არ უნდა იყოს 90X140 მმ-ზე ნაკლები და 240X340 მმ-ზე მეტი, ხოლო მაქსიმალური სისქე - 50 მმ.
- EMS ნივთის წონა არ უნდა აღემატებოდეს 20 კგ-ს, ხოლო ზომა შემდეგ პატამეტრებს: 1.05მX1.05მX1.05 მ (ან სიგრძისა და სხვა ყველაზე დიდი გარშემოწერილობის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 2 მ-ს).

4.1.9. **მოკითხვამდე პირობით გზავნილი** - ნებისმიერი სახეობისა და კატეგორიის საფოსტო გზავნილი, თუ ადრესატის მისამართად მითითებულია შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრი ან მისი მისამართი.

4.1.10. **ადგილობრივი საფოსტო გზავნილი** - საფოსტო გზავნილი, რომლის გაგზავნაც და ადრესატისთვის ჩაბარებაც ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

4.1.11. **საერთაშორისო საფოსტო გზავნილი** - საფოსტო გზავნილი, რომელიც შპს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით იგზავნება სხვა სახელმწიფოს საფოსტო ადმინისტრაციაში ან/და მიიღება მისგან.

4.1.12. **საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილი** - საერთაშორისო საფოსტო გზავნილი, რომელიც შპს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით იგზავნება სხვა სახელმწიფოს საფოსტო ადმინისტრაციაში, მისი ადრესატისთვის ჩაბარების მიზნით.

4.1.13. **საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილი** - საერთაშორისო საფოსტო გზავნილი, რომელიც შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიიღება სხვა სახელმწიფოს საფოსტო ადმინისტრაციისგან, მისი ადრესატისთვის ჩაბარების მიზნით.

4.1.14. **მომხმარებელი** - გამგზავნი და ადრესატი ერთობლივად ან ცალ-ცალკე.

4.1.15. **გამგზავნი** - პირი, რომლის სახელითაც იგზავნება გზავნილი, პასუხისმგებელია მის შიგთავზე და უფლებამოსილია მოითხოვოს გზავნილის მიმართ პირვანდელი დავალების შეცვლა (გზავნილის უკან დაბრუნება, გადამისამართება და ა.შ).

4.1.16. **გამგზავნის მისამართი** - მისამართი, რომელიც დატანილია საფოსტო გზავნილზე გამგზავნის ვინაობასთან/სახელწოდებასთან ერთად და გულისხმობს მის საცხოვრებელ/ფუნქციონირების ადგილს.

4.1.17. **გზავნილის წარმომდგენი** - პირი, რომელიც გამგზავნის სახელით დამისამართებულ გზავნილს წარუდგენს შპს „საქართველოს ფოსტას“ გასაგზავნად.

4.1.18. **ადრესატი** - პირი, ვის სახელზეც დამისამართებულია საფოსტო გზავნილი, აგრეთვე ადრესატის სახელით გზავნილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

4.1.19. **ადრესატის მისამართი** - მისამართი, რომელიც დატანილია საფოსტო გზავნილზე ადრესატის ვინაობასთან/სახელწოდებასთან ერთად და გულისხმობს მის საცხოვრებელ/ფუნქციონირების ადგილს.

4.1.20. **პირი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი.

4.1.21. **იურიდიული პირი** - ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის წარმონაქმნი, მათ შორის, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე სახელმწიფო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი.

4.1.22. **დირექტორი** - იურიდიული პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

4.1.23. **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი** - დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხდება ფიზიკური პირის იდენტიფიცირება. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებია:

- **საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა**;
- **საქართველოს მოქალაქის პასპორტი;**
- **დიპლომატიური პასპორტი;**
- **სამსახურებრივი პასპორტი;**
- **უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი;**
- **ბინადრობის მოწმობა** ;

- **სამგზავრო პასპორტი;**
- **დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა**;
- **პირადობის ნეიტრალური მოწმობა**;
- **ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;**
- **სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა**.

4.1.24. **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი** - პირადობის დამადასტურებელი ორიგინალი დოკუმენტის მატერიალური ან ელექტრონული ასლი.

4.1.25. **კალენდარული დღე** -დროის 24 საათიანი მონაკვეთი, 00.00 საათიდან 24.00 საათამდე.

4.1.26. **სამუშაო დღე** – კალენდარული დღის 8 საათიანი, ხოლო შაბათს - 4 საათიანი ინტერვალი, გარდა კვირისა და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზღვრული უქმე დღეებისა. ამასთან, სამუშაო დღის დაწყებისა და დასრულების კონკრეტული საათები განისაზღვრება შპს „საქართველოს ფოსტის“ შიდა დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომია მომხმარებლისათვის როგორც ვებ-გვერდის საშუალებით, ასევე განთავსებულია სერვისცენტრში. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის ჩაბარების ვადების ათვლის მიზნით, სამუშაო დღედ მიიჩნევა - 5 დღიანი სამუშაო კვირა, საფოსტო გზავნილის დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი სამუშაო დღის 8 საათიანი ინტერვალით, გარდა დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა.

4.1.27. **ადმინისტრაციული ერთეული** - შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ოპერირების მიზნით, საქართველოს ტერიტორიის პირობითი დაყოფის შედეგად განსაზღვრული ტერიტორიული ერთეულები.

4.1.28. **სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული** - მესტიის, სტეფანწმინდის, დუშეთის, თიანეთის, ცაგერის, ლენტეხის ადმინისტრაციული ერთეულები.

4.1.29. **სსუ (SDR)** - საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილი ფულადი ერთეული (სესხის სპეციალური უფლება) - რომლის ღირებულებაც აშშ დოლარში ყოველდღიურად განისაზღვრება ლონდონის ბირჟაზე დაფიქსირებული სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად და სავალუტო ფონდის ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

კარი II
ადგილობრივი საფოსტო გზავნილი

თავი 3. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის სახეები და კატეგორიები

მუხლი 5. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის სახეები

5.1. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის სახეებია:

- საფოსტო ბარათი;
- წერილი;
- ამანათი.

მუხლი 6. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის კატეგორიები

6.1. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის სახეები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

6.1.1. საფოსტო ბარათის კატეგორიაა:

- ✓ მარტივი.

6.1.2. წერილის კატეგორიებია:

- ✓ მარტივი;
- ✓ რეგისტრირებული;
- ✓ დაზღვეული;
- ✓ ჰიბრიდული.

6.1.3. ამანათის კატეგორიებია:

- ✓ რეგისტრირებული;
- ✓ დაზღვეული;
- ✓ სახლიდან სახლში.

თავი 4. ადგილობრივი საფოსტო ბარათის მახასიათებლები, მისი გაგზავნა და ჩაბარება

მუხლი 7. ადგილობრივი საფოსტო ბარათის მახასიათებლები

7.1. ადგილობრივი საფოსტო ბარათის გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ მარტივი კატეგორიით.

7.2. ადგილობრივი მარტივი კატეგორიის საფოსტო ბარათს არ ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და არ აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერის გარეშე, მის შესახებ ინფორმაცია ვერ გაიცემა, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

მუხლი 8. ადგილობრივი საფოსტო ბარათის გაგზავნა

8.1. გამგზავნს ადგილობრივი საფოსტო ბარათის გაგზავნის შესაძლებლობა აქვს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

8.2. შპს „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით ადგილობრივი საფოსტო ბარათის გაგზავნა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც საფოსტო ბარათზე დაიტანს გაგზავნის ღირებულების შესაბამის საფოსტო მარკას და მოათავსებს მას შპს „საქართველოს ფოსტის“ საფოსტო ყუთში ან გადასცემს სერვისცენტრს გასაგზავნად.

8.3. ადგილობრივი საფოსტო ბარათის გაგზავნისას მისი მონაცემების ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში რეგისტრაცია არ ხორციელდება.

მუხლი 9. ადგილობრივი საფოსტო ბარათის ადრესატისთვის ჩაბარება

9.1. ადგილობრივი საფოსტო ბარათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება შემდეგი წესის დაცვით:

9.1.1. კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს;

9.1.2. საფოსტო ბარათი ჩაბარებულად ითვლება, თუ ის მოთავსებულია ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან თუ ის გადაცემულია ადრესატისთვის, ან მის მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც კურიერს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს და განაცხადებს, რომ იცნობს ადრესატს.

9.1.3. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, კურიერი საფოსტო ბარათის შესახებ შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ. სადარბაზოს კარი, ადრესატის კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება. შეტყობინების დატოვებით შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე საფოსტო ბარათის არსებობის შესახებ;

9.2. თუ საფოსტო ბარათი იგზავნება „მოკითხვამდე“ პირობით, მასზე ადრესატის მისამართზე შეტყობინების დატოვება არ ხდება. ასეთი გზავნილი რჩება სერვისცენტრში, სადაც ადრესატს საშუალება აქვს ჩაიბაროს ის.

9.3. თუ ადრესატს მისამართზე ვერ ჩაბარდა საფოსტო ბარათი, მისი სერვისცენტში ჩაბარება შეუძლია:

9.3.1. ადრესატი ფიზიკური პირის შემთხვევაში - თავად ადრესატს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე, ან მის ნაცვლად მინდობილ პირს, რომელმაც საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს ადრესატის მიერ სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

9.3.2. ადრესატი იურიდიული პირის შემთხვევაში - მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

9.3.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია საფოსტო ბარათის ჩაბარება განახორციელოს სხვა ალტერნატიული მეთოდითაც, რომელიც დაადასტურებს ადრესატის ნების შესაბამისად გზავნილის ჩაბარების ფაქტს.

თავი 5. ადგილობრივი წერილის მახასიათებლები, მისი გაგზავნა და ჩაბარება

მუხლი 10. ადგილობრივი წერილის მახასიათებლები

10.1. ადგილობრივი წერილის გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი კატეგორიებით:

10.1.1. **მარტივი** - არ ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და არ აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერის გარეშე, მის შესახებ ინფორმაცია ვერ გაიცემა, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას;

10.1.2. **რეგისტრირებული**-ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში;

10.1.3. **დაზღვეული** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ბარდება პირადად ადრესატს ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება

დაკმაყოფილებას, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დაზღვეული თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარისა;

10.1.4. **ჰიბრიდული** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში;

10.2. ადგილობრივი წერილის წონა, მისი კატეგორიების მიხედვით, არ უნდა აღემატებოდეს:

- ✓ მარტივი წერილის შემთხვევაში - 500 გრ-ს;
- ✓ რეგისტრირებული წერილის შემთხვევაში - 2 კგ-ს;
- ✓ დაზღვეული წერილის შემთხვევაში - 2 კგ-ს;
- ✓ ჰიბრიდული წერილის შემთხვევაში - 100 გრ-ს (15 ფურცელს).

მუხლი 11. ადგილობრივი წერილის გაგზავნა

11.1. <u>ადგილობრივი მარტივი წერილის გაგზავნა</u>

11.1.1. მარტივი წერილის გაგზავნა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც წერილზე დაიტანს გაგზავნის ღირებულების შესაბამის საფოსტო მარკას და მოათავსებს მას შპს „საქართველოს ფოსტის“ საფოსტო ყუთში, ან გადასცემს სერვისცენტრს გასაგზავნად.

11.1.2. თუ გამოყენებული საფოსტო მარკების ღირებულება არ შეესაბამება გზავნილის გაგზავნის ღირებულებას, შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, არ გააგზავნოს ასეთი წერილი.

11.1.3. მარტივი წერილის გაგზავნისას მისი მონაცემების ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში რეგისტრაცია არ ხორციელდება.

11.2. <u>ადგილობრივი რეგისტრირებული წერილის გაგზავნა</u>

11.2.1. რეგისტრირებული წერილის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია რეგისტრირებული წერილი გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

11.2.2. რეგისტრირებული წერილის გაგზავნა შეუძლია როგორც ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. თუ წერილი ფიზიკური პირის სახელით იგზავნება,

სავალდებულოა გამგზავნის, ხოლო გზავნილის წარმომდგენის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ამ უკანასკნელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენა. თუ გზავნილი იურიდიული პირის სახელით იგზავნება, გზავნილის წარმომდგენმა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი). ამასთან, თუ იურიდიულ პირს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას ევალება გზავნილების სპეციალური რეესტრის წარმოდგენაც.

11.2.3. რეგისტრირებული წერილი შპს „საქართველოს ფოსტას“ გადაეცემა დახურული სახით. ამასთან, თუ შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გზავნილში შესაძლოა მოთავსებული იყოს აკრძალული ნივთი, ან ისეთი ნივთი, რომელიც არ იგზავნება წერილის კატეგორიით, მას უფლება აქვს გამგზავნს მოსთხოვოს ასეთი საფოსტო გზავნილის გახსნა და შიგთავსის დათვალიერება.

11.2.4. ინფორმაცია რეგისტრირებული წერილის გამგზავნისა და ადრესატის, ასევე წერილის წონის შესახებ რეგისტრირდება შპს „საქართველოს ფოსტის“ ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში.

11.2.5. რეგისტრირებული წერილის გაგზავნისას მისი შიგთავსის დეკლარირება არ არის სავალდებულო.

11.2.6. თუ ადგილობრივი რეგისტრირებული წერილი პენიტენციურ დაწესებულებაში იგზავნება, წინამდებარე დოკუმენტის **11.2.1-11.2.2.** ქვეპუნქტებით განსაზღვრული დებულებების ნაცვლად გამოიყენება შემდეგი წესები:

(ა) რეგისტრირებული წერილის პენიტენციურ დაწესებულებაში გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ სერვისცენტრიდან, სრულწლოვანი ფიზიკური პირის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე;

(ბ) რეგისტრირებული წერილის პენიტენციურ დაწესებულებაში გაგზავნისას გამგზავნი თავად უნდა ფლობდეს ინფორმაციას შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში წერილის გაგზავნასთან დაკავშირებით მოქმედი წესების შესახებ. აღნიშნული წესები შესაძლოა ითვალისწინებდეს წერილის შიგთავსის მიმართ დაწესებულ შეზღუდვებს, წერილის დასაშვებ ზღვრულ წონას და სხვა. შესაბამისად, შპს „საქართველოს ფოსტა“ არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შედეგზე, რომელიც შეიძლება მოყვეს გამგზავნის მიერ შესაბამისი წესების დარღვევით რეგისტრირებული წერილის პენიტენციურ დაწესებულებაში გაგზავნას.

11.3. <u>ადგილობრივი დაზღვეული წერილის გაგზავნა</u>

11.3.1. დაზღვეული წერილის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია დაზღვეული წერილი გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

11.3.2. დაზღვეული წერილის გაგზავნა შეუძლია როგორც ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. დაზღვეული წერილის გასაგზავნად მოითხოვება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - ასევე სარეგისტრაციო მონაცემების (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი) წარმოდგენა. დაზღვეული წერილი შპს „საქართველოს ფოსტას“ წარედგინება უშუალოდ გამგზავნის მიერ. იურიდიული პირის შემთხვევაში უშუალოდ გამგზავნად მიიჩნევა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი. გამგზავნის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის) წარმომადგენლობა დაიშვება უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

11.3.3. წერილის დაზღვევა შესაძლებელია შიგთავსის რეალური ღირებულებით მისი დაკარგვისა და დაზიანების რისკისგან. რეალურ ღირებულებად მიიჩნევა წერილში მოთავსებული დოკუმენტის დამზადების ღირებულება. ამასთან, სადაზღვევო თანხის ზღვრული ოდენობაა 2000 ლარი.

11.3.4. თუ წერილში რამოდენიმე დოკუმენტია მოთავსებული, მათი შერჩევით/ნაწილობრივ დაზღვევა არ არის შესაძლებელი.

11.3.5. გამგზავნი ვალდებულია დაზღვეული წერილის გაგზავნისას მოახდინოს მისი შიგთავსის დეკლარირება თითოეული დოკუმენტის დასახელებისა და ფასის (დოკუმენტის დამზადების ღირებულების) მითითებით.

11.3.6. გამგზავნი დასაზღვევ წერილს წარადგენს ღია სახით. შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი პირი გამგზავნთან ერთად ახდენს შიგთავსის დათვალიერებას, რათა დარწმუნდეს, რომ მასში მოთავსებულია გამგზავნის მიერ დეკლარირებული ყველა დოკუმენტი, რის შემდეგაც გამგზავნი მისი თანდასწრებით ახდენს წერილის დალუქვას. დაზღვეული წერილის შეფუთვა ყველა გადაბმის ადგილას უნდა დაილუქოს თვითწებადი ლენტით. დაზღვეული წერილის გაგზავნისას დაუშვებელია ე.წ. ფანჯრიანი კონვერტის გამოყენება.

11.3.7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გამგზავნს მოეთხოვება მითითებული ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტების (მაგ. დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმების ხარჯები; შესყიდვის საბუთი; საექსპერტო დასკვნა და სხვა) წარმოდგენა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ანაზღაურება მოხდება იმ ოდენობით, რომელსაც შპს „საქართველოს ფოსტა“ მიიჩნევს წერილის შიგთავსის რეალურ ღირებულებად.

11.3.8. ინფორმაცია დაზღვეული წერილის გამგზავნისა და ადრესატის, ასევე წერილის წონის, მისი შიგთავსისა და დაზღვევის თანხის შესახებ რეგისტრირდება შპს „საქართველოს ფოსტის“ ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში.

11.4. <u>ადგილობრივი ჰიბრიდული წერილის გაგზავნა</u>

11.4.1. გამგზავნს ჰიბრიდული წერილის გაგზავნა შეუძლია მხოლოდ შპს „საქართველოს ფოსტასთან“ წინასწარ დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე.

11.4.2. ჰიბრიდული წერილი გამგზავნის მიერ გადაცემულად ითვლება იმ დღეს, როდესაც შპს „საქართველოს ფოსტა“ მიიღებს მას ელექტრონული სისტემის საშუალებით. ამასთან, თუ ჰიბრიდული წერილი მიღებულია არასამუშაო დღეს, მისი მიღების დღედ ჩაითვლება შპს „საქართველოს ფოსტის“ მომდევნო სამუშაო დღე.

11.4.3. ჰიბრიდული წერილი, მისი ელექტრონული სისტემის საშუალებით მიღების შემდეგ, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ტრანსფორმირდება მატერიალურ ფორმატში და თავსდება კონვერტში.

11.4.4. ინფორმაცია ჰიბრიდული წერილის გამგზავნისა და ადრესატის შესახებ რეგისტრირდება შპს „საქართველოს ფოსტის“ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში.

11.4.5. ჰიბრიდული წერილის გაგზავნისას მისი შიგთავსის დეკლარირება არ მოითხოვება.

მუხლი 12. ადგილობრივი წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება

12.1. <u>ადგილობრივი მარტივი წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება</u>

12.1.1. მარტივი წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარების მიზნით კურიერი ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს.

12.1.2. მარტივი წერილი ჩაბარებულად ითვლება, თუ ის მოთავსებულია ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან გადაცემულია ადრესატისთვის, ან მის მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც კურიერს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს და განაცხადებს, რომ იცნობს ადრესატს.

12.1.3. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, კურიერი მარტივი წერილის შესახებ შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ. სადარბაზოს კარი, ადრესატის კარი),

ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება. შეტყობინების დატოვებით, შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე მარტივი წერილის არსებობის შესახებ.

12.2. <u>ადგილობრივი რეგისტრირებული და ჰიბრიდული წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება</u>

12.2.1. ადრესატის მისამართზე ჩაბარებას ექვემდებარება უნაკლო (დაზიანების, წონის სხვაობის და სხვა დეფექტის არმქონე), შემდეგი წონისა და სახეობის წერილი:

- ✓ <u>500 გრ-მდე წონის რეგისტრირებული წერილი, რომელსაც არ გააჩნია რაიმე ნაკლი (დაზიანება, წონის სხვაობა და სხვა);</u>
- ✓ <u>2 კგ-მდე წონის რეგისტრირებული წერილი, რომლის ადრესატია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი;</u>
- ✓ <u>ჰიბრიდული წერილი.</u>

12.2.2. კურიერი რეგისტრირებული და ჰიბრიდული წერილის ჩაბარების მიზნით ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს.

12.2.3. რეგისტრირებული და ჰიბრიდული წერილი, **რომლის ადრესატიც ფიზიკური პირია,** უნდა ჩაბარდეს შემდეგი წესის დაცვით:

- ➢ თუ ადრესატის მისამართად მითითებულია მისი საცხოვრებელი ბინის/სახლის მისამართი, საფოსტო გზავნილი ბარდება როგორც უშუალოდ ადრესატს, ასევე ადრესატის მისამართზე მყოფ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს წარუდგენს საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს და განუცხადებს, რომ ცხოვრობს ამ მისამართზე და იცნობს ადრესატს. თუ რეგისტრირებული და ჰიბრიდული წერილის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, მას გზავნილი იმ შემთხვევაში ბარდება, თუ ის ფლობს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს. სხვა შემთხვევაში, გზავნილი ბარდება მისამართზე მყოფ სრულწლოვან პირს;
- ➢ თუ ადრესატის მისამართად მითითებულია იურიდიული პირის მისამართი, საფოსტო გზავნილი ბარდება უშუალოდ ადრესატს, ან კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), გზავნილი შეიძლება ჩაბარდეს იქ მომუშავე ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს განუცხადებს, რომ იცნობს ადრესატს და წარუდგენს საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს.

12.2.4. რეგისტრირებული და ჰიბრიდული წერილი, **რომლის ადრესატიც იურიდიული პირია,** უნდა ჩაბარდეს შემდეგი წესის დაცვით:

- თუ ადრესატად მითითებულია მხოლოდ იურიდიული პირის სახელწოდება, ან იურიდიული პირის სახელწოდებასთან ერთად მითითებულია კონკრეტული ფიზიკური პირიც, გზავნილი ბარდება შესაბამის ფიზიკურ პირს, დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს . თუ შესაბამისი ფიზიკური პირი არ იმყოფება მისამართზე, ან დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), გზავნილი შეიძლება ჩაბარდეს იქ მომუშავე ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს განუცხადებს, რომ იცნობს შესაბამის ფიზიკურ პირს და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს;
- თუ იურიდიული პირის მისამართად მითითებულია საცხოვრებელი ბინის/სახლის მისამართი, ამ მისამართზე მყოფი სრულწლოვანი პირისათვის გადაცემული წერილი ითვლება სათანადო წესით ჩაბარებულად, თუ ასეთი პირი კურიერს განუცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს აღნიშნულ მისამართზე, იცის ადრესატის შესახებ და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს.

12.2.5. რეგისტრირებული და ჰიბრიდული წერილების ადრესატის მისამართზე ჩაბარება ხორციელდება კურიერის მიერ წერილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და გზავნილის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ.

12.2.6. თუ რაიმე მიზეზით კურიერი ვერ ახერხებს ადგილობრივი რეგისტრირებული ან ჰიბრიდული წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარებას (მაგ. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, ან კურიერს არავინ დახვდება ადრესატის მისამართზე, ან პირი, რომელიც დახვდება მისამართზე, არ არის უფლებამოსილი ჩაიბაროს საფოსტო გზავნილი, ან პირი (თუ ის არ არის უშუალოდ ადრესატი) უარს განაცხადებს მის ჩაბარებაზე და ა.შ.), ის ტოვებს შეტყობინებას, რომელშიც მიუთითებს სერვისცენტრის მისამართს, სადაც ადრესატს შეუძლია ჩაიბაროს გზავნილი. შეტყობინების დატოვებით შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე ადგილობრივი წერილის არსებობის შესახებ.

12.2.7. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის

მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

12.2.8. რეგისტრირებული წერილი, **რომლის ადრესატიც პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირია,** ჩაბარებულად ითვლება, თუ წერილი გადაცემულია პენიტენციური დაწესებულების წერილის მიღებაზე უფლებამოსილი პირისათვის. წერილი პენიტენციურ დაწესებულებაში ჩაბარებისას გადის შემოწმებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის შემდეგაც პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი პირი განსაზღვრავს წერილის უშუალო ადრსატისათვის გადაცემის, ან გადაცემაზე უარის თქმისა და გამგზავნისათვის დაბრუნების საკითხს.

12.3. **ადგილობრივი დაზღვეული წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება**

12.3.1. ადრესატის მისამართზე ჩაბარებას ექვემდებარება უნაკლო (დაზიანების, წონის სხვაობის და სხვა დეფექტის არმქონე) **500 გრ-მდე წონის დაზღვეული წერილი.**

12.3.2. დაზღვეული წერილის ჩაბარების მიზნით კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს.

12.3.3. დაზღვეული წერილი, **რომლის ადრესატიც ფიზიკური პირია,** ბარდება პირადად ადრესატს. ამასთან, თუ დაზღვეული წერილის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, მას გზავნილი იმ შემთხვევაში ბარდება, თუ ფლობს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს. სხვა შემთხვევაში, გზავნილი ბარდება მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, დაბადების მოწმობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი სხვა შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

12.3.4. დაზღვეული წერილი, **რომლის ადრესატიც იურიდიული პირია,** უნდა ჩაბარდეს შემდეგი წესის დაცვით:

- თუ ადრესატად მითითებულია მხოლოდ იურიდიული პირის სახელწოდება, გზავნილი ბარდება დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), ან დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია, გზავნილის ჩაბარება არ ხდება;
- თუ ადრესატად იურიდიული პირის სახელწოდების გარდა მითითებულია კონკრეტული ფიზიკური პირიც, გზავნილი ბარდება პირადად შესაბამის ფიზიკურ პირს, დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ

ერთეულს. თუ შესაბამისი ფიზიკური პირი არ იმყოფება მისამართზე, ან დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), დაზღვეული წერილის ჩაბარება არ ხდება.

12.3.5. დაზღვეული წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება ხორციელდება კურიერის მიერ გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და წერილის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ.

12.3.6. თუ რაიმე მიზეზით კურიერი ვერ ახერხებს ადგილობრივი დაზღვეული წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარებას (მაგ. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, ან კურიერს არავინ დახვდა ადრესატის მისამართზე, ან პირი, რომელიც დახვდა მისამართზე, არ არის უფლებამოსილი ჩაიბაროს საფოსტო გზავნილი და ა.შ.), კურიერი ტოვებს შეტყობინებას, რომელშიც მიუთითებს სერვისცენტრის მისამართს, სადაც ადრესატს შეუძლია ჩაიბაროს წერილი. შეტყობინების დატოვებით შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე ადგილობრივი დაზღვეული წერილის არსებობის შესახებ.

12.3.7. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

მუხლი 13. ადგილობრივი წერილის სერვისცენტრში ჩაბარება

13.1. სერვისცენტრში ჩაბარებას ექვემდებარება შემდეგი ადგილობრივი წერილები:

13.1.1. 500 გრ-ზე მეტი წონის რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი;

13.1.2. რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი მიუხედავად მისი წონისა, თუ ის ადრესატის მომსახურე სერვისცენტრში მიღებულია რაიმე ნაკლით (დაზიანებული, წონის სხვაობით და სხვა);

13.1.3. ადგილობრივი წერილი, რომლის ჩაბარებაც ვერ განხორციელდა ადრესატის მისამართზე ვიზიტის დროს;

13.1.4. მოკითხვამდე პირობით გაგზავნილი ადგილობრივი წერილი.

13.2. წინამდებარე დოკუმენტის **13.1.1. და 13.1.2.** ქვეპუნქტებით განსაზღვრული წერილების ჩაბარების მიზნით, შპს „საქართველოს ფოსტა“ ადრესატს უგზავნის შეტყობინებას შემდეგი წესის დაცვით:

13.2.1. თუ გზავნილზე დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, იგზავნება SMS შეტყობინება, რომელიც შეიცავს მითითებას, თუ სად უნდა ჩაიბაროს ადრესატმა წერილი. SMS შეტყობინების გაგზავნით ადრესატი ითვლება ინფორმირებულად მის სახელზე ადგილობრივი წერილის არსებობის შესახებ;

13.2.2. თუ გზავნილზე არ არის დატანილი ტელეფონის ნომერი, ან ამ ნომერზე ვერ ხორციელდება SMS შეტყობინების გაგზავნა, კურიერი ადრესატის მისამართზე ტოვებს შეტყობინებას, რომლითაც აცნობებს მის სახელზე გზავნილის არსებობის შესახებ. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

13.3. თუ ადგილობრივი წერილი „მოკითხვამდე“ პირობით იგზავნება, მასზე ადრესატის მისამართზე შეტყობინების დატოვება არ ხდება. ასეთი წერილი რჩება სერვისცენტრში, სადაც ადრესატს შეუძლია მისი ჩაბარება.

13.4. ადგილობრივი წერილები, რომლებზეც დატოვებულია/გაგზავნილია შეტყობინება, აგრეთვე წერილები „მოკითხვამდე“ პირობით და წერილები, რომელთა ჩაბარებაც ვერ განხორციელდა კურიერის მიერ ადრესატის მისამართზე ვიზიტის განხორციელების დროს, ბარდება სერვისცენტში შემდეგი პირობების დაცვით:

13.4.1. **თუ მარტივი, რეგისტრირებული და/ან ჰიბრიდული** წერილი დამისამართებულია ფიზიკური პირის სახელზე, ის შეიძლება ჩაბარდეს თავად ადრესატს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე, ან მის ნაცვლად მინდობილ პირს, რომელმაც საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს ადრესატის მიერ

სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. თუ ადრესატი იურიდიული პირია, წერილი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია მარტივი, რეგისტრირებული და/ან ჰიბრიდული წერილის ჩაბარება განახორციელოს სხვა ალტერნატიული მეთოდითაც, რომელიც დაადასტურებს ადრესატის ნების შესაბამისად წერილის ჩაბარების ფაქტს. ამასთან, თუ რეგისტრირებულ და/ან ჰიბრიდულ წერილს აქვს რაიმე ნაკლი და მიმღები უარს აცხადებს მის ჩაბარებაზე პრეტენზიის გარეშე, პრეტენზიის დაფიქსირების უფლება აქვს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს წერილის ჩაბარების მომენტში. წერილის მიმღების მიერ გამოთქმული პრეტენზია, რომელიც არ წარმოადგენს უშუალოდ ადრესატს, ან პრეტენზია, რომელიც დაფიქსირებულია წერილის ჩაბარების შემდეგ, არ ექვემდებარება განხილვას.

13.4.2. თუ **დაზღვეული** წერილი დამისამართებულია ფიზიკური პირის სახელზე, ის შეიძლება ჩაბარდეს მხოლოდ ადრესატს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, ან მის მინდობილ პირს, რომელმაც პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად უნდა წარმოადგინოს ადრესატის მიერ სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. თუ ადრესატი იურიდიული პირია, წერილი შეიძლება ჩაბარდეს დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

13.4.3. რეგისტრირებული, დაზღვეული და ჰიბრიდული წერილების სერვისცენტრში ჩაბარება ხორციელდება გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და გზავნილის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ. თუ მიმღები პირი არ არის წერილის უშუალო ადრესატი, მიმღებთან ერთად ასევე მოითხოვება იმ ინფორმაციის მითითებაც, რომლის საფუძველზეც დგინდება ადრესატის ნება წერილი ჩაიბაროს მიმღებმა (მაგ. მინდობილობის მონაცემები, ადრესატისთვის გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდი და სხვა).

თავი 6. ადგილობრივი ამანათის მახასიათებლები, მისი გაგზავნა და ჩაბარება

მუხლი 14. ადგილობრივი ამანათის მახასიათებლები

14.1.ადგილობრივი ამანათის გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი კატეგორიებით:

14.1.1. **რეგისტრირებული**-ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში;

14.1.2. **დაზღვეული** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ბარდება პირადად ადრესატს ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დაზღვეული თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 4000 ლარისა;

14.1.3. **სახლიდან სახლში** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ამანათის მიღება ხდება გამგზავნისთვის სასურველ მისამართზე და ბარდება ადრესატის მისამართზე ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში.

14.2. ადგილობრივი ამანათის წონა, მისი კატეგორიების მიხედვით, არ უნდა აღემატებოდეს:

- ✓ რეგისტრირებული ამანათის შემთხვევაში - 20 კგ-ს;
- ✓ დაზღვეული ამანათის შემთხვევაში - 20 კგ-ს;
- ✓ სახლიდან სახლში ამანათის შემთხვევაში - 15 კგ-ს.

მუხლი 15. ადგილობრივი ამანათის გაგზავნა

15.1. <u>ადგილობრივი რეგისტრირებული ამანათის გაგზავნა</u>

15.1.1. რეგისტრირებული ამანათის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია რეგისტრირებული ამანათი გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

15.1.2. რეგისტრირებული ამანათის გაგზავნა შეუძლია როგორც სრულწლოვან ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. თუ ამანათი ფიზიკური პირის სახელით იგზავნება, სავალდებულოა გამგზავნის, ხოლო გზავნილის წარმომდგენის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ამ უკანასკნელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენა. თუ გზავნილი იურიდიული პირის სახელით იგზავნება, გზავნილის წარმომდგენმა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად უნდა წარმოადგინოს იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი). ამასთან, თუ იურიდიულ პირს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას ევალება გზავნილის სპეციალური რეესტრის წარმოდგენაც.

15.1.3. თუ რეგისტრირებული ამანათის გამგზავნიც და ადრესატიც ფიზიკური პირები არიან, შესაძლებელია ასეთი ამანათის ფასდადებით გაგზავნა. აღნიშნული სერვისი გულისხმობს შესაძლებლობას, რეგისტრირებული ამანათის გაგზავნის საფასური გადახდილ იქნეს არა გამგზავნის მიერ მისი გაგზავნისას, არამედ ადრესატის მიერ - ამანათის ჩაბარებისას. ამასთან, რაიმე მიზეზით ამანათის გაგზავნის ღირებულების ადრესატის მიერ გადაუხდელობის შემთხვევაში, ამანათი არ ბარდება ადრესატს და ბრუნდება უკან - გამგზავნთან, რომელიც ვალდებულია რეგისტრირებული ამანათის ჩაბარებამდე დაფაროს მისი გაგზავნის ღირებულება.

15.1.4. გამგზავნს შეუძლია რეგისტრირებული ამანათი გააგზავნოს შემდეგი პირობით:

- სტანდარტული (ადრესატს ეგზავნება შეტყობინება მის სახელზე ამანათის არსებობის შესახებ და ამანათი მას ბარდება სერვისცენტრში);
- მოკითხვამდე (ადრესატის მისამართზე შეტყობინების დატოვება არ ხდება მის სახელზე ამანათის არსებობის შესახებ, ამანათის ჩაბარება მას შეუძლია სერვისცენტრში);
- ადრესატის მისამართზე ჩაბარებით (ადრესატს არ ეგზავნება შეტყობინება ამანათის ჩაბარების მიზნით, კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს).

15.1.5. რეგისტრირებული ამანათი შპს „საქართველოს ფოსტას“ გადაეცემა დახურული სახით. ამასთან, თუ შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გასაგზავნ ამანათში შესაძლოა მოთავსებული იყოს აკრძალული ნივთი, ან თუ გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ამანათის შიგთავსი შეფუთულია

არასათანადოდ, რამაც ტრანსპორტირებისას შესაძლოა სხვა საფოსტო გზავნილების დაზიანებაც გამოიწვიოს, მას უფლება აქვს გამგზავნს მოსთხოვოს ასეთი საფოსტო გზავნილის გახსნა და შიგთავსის დათვალიერება.

15.1.6. რეგისტრირებული ამანათის გაგზავნისას მისი შიგთავსის დეკლარირება არ არის სავალდებულო.

15.1.7. ინფორმაცია რეგისტრირებული ამანათის გამგზავნისა და ადრესატის, ასევე ამანათის წონის შესახებ რეგისტრირდება შპს „საქართველოს ფოსტის“ ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში

15.1.8. თუ ადგილობრივი რეგისტრირებული ამანათი პენიტენციურ დაწესებულებაში იგზავნება, წინამდებარე დოკუმენტის **15.1.2-15.1.6** ქვეპუნქტებით განსაზღვრული დებულებების ნაცვლად გამოიყენება შემდეგი წესები:

(ა) რეგისტრირებული ამანათის პენიტენციურ დაწესებულებაში გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ სერვისცენტრიდან სრულწლოვანი ფიზიკური პირის მიერ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;

(ბ) პენიტენციურ დაწესებულებაში რეგისტრირებული ამანათის გაგზავნისას მისი შიგთავსის დეკლარირება სავალდებულოა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

(გ) პენიტენციურ დაწესებულებაში რეგისტრირებული ამანათი იგზავნება ადრესატის მისამართზე ჩაბარების პირობით, რაც გულისხმობს ამანათის ჩაბარებას პენიტენციური დაწესებულების ამანათის მიღებაზე უფლებამოსილი პირისათვის;

(დ) რეგისტრირებული ამანათის პენიტენციურ დაწესებულებაში გაგზავნისას გამგზავნი თავად უნდა ფლობდეს ინფორმაციას შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში ამანათის გაგზავნასთან დაკავშირებით მოქმედი წესების შესახებ. აღნიშნული წესები შესაძლოა ითვალისწინებდეს ამანათის შიგთავსის მიმართ დაწესებულ შეზღუდვებს, ამანათის დასაშვებ ზღვრულ წონას და სხვა. შესაბამისად, შპს „საქართველოს ფოსტა“ არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შედეგზე, რომელიც შეიძლება მოყვეს გამგზავნის მიერ შესაბამისი წესების დარღვევით რეგისტრირებული ამანათის პენიტენციურ დაწესებულებაში გაგზავნას.

15.2. <u>ადგილობრივი დაზღვეული ამანათის გაგზავნა</u>

15.2.1. დაზღვეული ამანათის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს

„საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია დაზღვეული ამანათი გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

15.2.2. დაზღვეული ამანათის გაგზავნა შეუძლია როგორც სრულწლოვან ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. დაზღვეული ამანათის გასაგზავნად მოითხოვება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - ასევე სარეგისტრაციო მონაცემების (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი) წარმოდგენა. დაზღვეული ამანათი შპს „საქართველოს ფოსტას“ წარედგინება უშუალოდ გამგზავნის მიერ. იურიდიული პირის შემთხვევაში უშუალოდ გამგზავნად მიიჩნევა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი. გამგზავნის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის) წარმომადგენლობა დაიშვება უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

15.2.3. დაზღვეული ამანათის ფასდადებით გაგზავნა არ არის შესაძლებელი.

15.2.4. ამანათის დაზღვევა შესაძლებელია შიგთავსის რეალური ღირებულებით მისი დაკარგვისა და გარეგანი დაზიანების რისკისგან. რეალურ ღირებულებად მიიჩნევა ამანათში მოთავსებული ნივთის საბაზრო ღირებულება. ამასთან, სადაზღვევო თანხის ზღვრული ოდენობაა - 4000 ლარი.

15.2.5. თუ ამანათში რამოდენიმე ნივთია მოთავსებული, მათი შერჩევით/ნაწილობრივ დაზღვევა არ არის შესაძლებელი.

15.2.6. გამგზავნი ვალდებულია დაზღვეული ამანათის გაგზავნისას მოახდინოს მისი შიგთავსის დეკლარირება თითოეული ნივთის დასახელების, წონისა და ფასის მითითებით. ამასთან, თუ დაზღვეული ამანათით ძვირფასი ქვების/ლითონების ან მათი ნაკეთობების გაგზავნა ხდება, აუცილებელია მათი ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა და მასში ასახული ფასის მიხედვით ამანათის შიგთავსის დეკლარირება.

15.2.7. გამგზავნი დასაზღვევ ამანათს წარადგენს ღია სახით. შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი პირი გამგზავნთან ერთად ახორციელებს შიგთავსის დათვალიერებას, რათა დარწმუნდეს, რომ მასში მოთავსებულია გამგზავნის მიერ დეკლარირებული ყველა ნივთი, რის შემდეგაც გამგზავნი მისი თანდასწრებით ახდენს ამანათის დახურვა/დალუქვას. ამანათი ყველა გადაბმის ადგილას უნდა დაილუქოს თვითწებადი ლენტით და შეიფუთოს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი წესით.

15.2.8. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გამგზავნს მოეთხოვება მითითებული ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტების (მაგ. შესყიდვის საბუთი, საექსპერტო დასკვნა და ა.შ.) წარმოდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანაზღაურება

მოხდება იმ ოდენობით, რომელსაც შპს „საქართველოს ფოსტა“ მიიჩნევს ამანათის შიგთავსის რეალურ ღირებულებად.

15.2.9. გამგზავნს შეუძლია დაზღვეული ამანათი გააგზავნოს შემდეგი პირობით:

- სტანდარტული (ადრესატს ეგზავნება შეტყობინება მის სახელზე ამანათის არსებობის შესახებ და ამანათი პირადად ადრესატს ბარდება სერვისცენტრში);
- მოკითხვამდე (ადრესატის მისამართზე შეტყობინების დატოვება არ ხდება მის სახელზე ამანათის არსებობის შესახებ, ამანათის ჩაბარება პირადად ადრესატს შეუძლია სერვისცენტრში);
- ადრესატის მისამართზე ჩაბარებით (ადრესატს არ ეგზავნება შეტყობინება, ამანათის პირადად ადრესატისთვის ჩაბარების მიზნით კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს).

15.2.10. ინფორმაცია დაზღვეული ამანათის გამგზავნისა და ადრესატის, ასევე ამანათის წონის, მისი შიგთავსისა და დაზღვეული თანხის შესახებ რეგისტრირდება შპს „საქართველოს ფოსტის“ ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში.

15.3. <u>ადგილობრივი სახლიდან სახლში ამანათის გაგზავნა</u>

15.3.1. სახლიდან სახლში ამანათის გაგზავნა ხორციელდება კურიერის საშუალებით.

15.3.2. სახლიდან სახლში ამანათის გაგზავნა შეუძლია როგორც სრულწლოვან ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. ამანათის ფიზიკური პირის მიერ გაგზავნის შემთხვევაში, სავალდებულოა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენა. თუ ამანათი იურიდიული პირის სახელით იგზავნება, მის სარეგისტრაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იმ პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი ასლი, ვინც უშუალოდ აგზავნის სახლიდან სახლში ამანათს.

15.3.3. თუ სახლიდან სახლში ამანათის გამგზავნიც და ადრესატიც ფიზიკური პირები არიან, შესაძლებელია ასეთი ამანათის ფასდადებით გაგზავნა. აღნიშნული სერვისი გულისხმობს შესაძლებლობას, ამანათის გაგზავნის საფასური გადახდილ იქნეს არა გამგზავნის მიერ მისი გაგზავნისას, არამედ ადრესატის მიერ - ამანათის ჩაბარებისას. ამასთან, რაიმე მიზეზით ამანათის გაგზავნის ღირებულების ადრესატის მიერ გადაუხდელობის შემთხვევაში, ამანათი არ ბარდება ადრესატს და ბრუნდება უკან - გამგზავნთან, რომელიც ვალდებულია სახლიდან სახლში ამანათის ჩაბარებამდე დაფაროს მისი გაგზავნის ღირებულება.

15.3.4. სახლიდან სახლში ამანათის გასაგზავნად შეკვეთა მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ ქოლცენტრში დარეკვით, ელექტრონული ფოსტის

მიმართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით.

15.3.5. სახლიდან სახლში ამანათის გაგზავნაზე შეკვეთის გაკეთება შეუძლია როგორც ამანათის გამგზავნს, ასევე ადრესატს. შეკვეთის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ წარუდგინოს სრული ინფორმაცია გამგზავნისა და ადრესატის, მათი მისამართებისა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრების შესახებ, ასევე ინფორმაცია გასაგზავნი ამანათის შიგთავსის, მისი ზომისა და წონის შესახებ.

15.3.6. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი ინფორმაციის დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ ასეთი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას სახლიდან სახლში ამანათის შეკვეთის მიღებაზე.

15.3.7. მომხმარებლის მიერ სრული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შეკვეთა რეგისტრირდება ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში და სახლიდან სახლში ამანათს ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი.

15.3.8. შეკვეთის რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, კურიერი ახორციელებს ვიზიტს გამგზავნთან, სახლიდან სახლში ამანათის მიღების მიზნით.

15.3.9. გამგზავნთან ვიზიტის ზუსტი დროის წინასწარ შეთანხმება არ ხდება. კურიერი უფლებამოსილია დაურეკოს გამგზავნს მხოლოდ მისამართის მოძიების გაადვილების მიზნით.

15.3.10. კურიერი გამგზავნთან ვიზიტისას ამოწმებს შეკვეთაში დაფიქსირებული მონაცემების სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეაქვს მასში. თუ კურიერი მიიჩნევს, რომ ამანათის რეალური წონა არ შეესაბამება შეკვეთაში დაფიქსირებულ მონაცემს, მას უფლება აქვს მოითხოვოს გზავნილის მისი თანდასწრებით აწონვა. თუ აწონვის შემდეგ აღმოჩნდება ცდომილება რეალურ წონასა და შეკვეთაში აღნიშნულ მონაცემებს შორის, კურიერი აკორექტირებს შეკვეთას, უთითებს რეალურ წონას და მომსახურების ღირებულების შეცვლილ ფასს. თუ გამგზავნი უარს აცხადებს ამანათის აწონვაზე, კურიერს უფლება აქვს არ მიიღოს გზავნილი გამგზავნისგან. კურიერს ასევე უფლება აქვს უარი თქვას ამანათის მიღებაზე, თუ გზავნილის რეალური წონის/ზომის გათვალისწინებით აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია მისი კურიერის სატრანსპორტო საშუალებით ტრანსპორტირება.

15.3.11. სახლიდან სახლში ამანათი კურიერს გადაეცემა დახურული სახით. ამასთან, თუ კურიერი მიიჩნევს, რომ გასაგზავნ ამანათში შესაძლოა მოთავსებული იყოს აკრძალული ნივთი, ან თუ გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ამანათის შიგთავსი შეფუთულია არასათანადოდ, რამაც ტრანსპორტირებისას შესაძლოა სხვა საფოსტო გზავნილების დაზიანებაც გამოიწვიოს, კურიერს უფლება აქვს გამგზავნს მოსთხოვოს ასეთი საფოსტო გზავნილის გახსნა და შიგთავსის დათვალიერება.
თუ კურიერი მიიჩნევს, რომ გზავნილის შეფუთვა არასაკმარისია, მას უფლება აქვს მოსთხოვოს გამგზავნს შეფუთვის გამოსწორება, ან უარი თქვას ამანათის მიღებაზე. კურიერი ასევე უარს ამბობს გზავნილის მიღებაზე, თუ შიგთავსის დათვალიერებისას მასში აკრძალულ ნივთს აღმოაჩენს.

15.3.12. სახლიდან სახლში ამანათის მიღება-ჩაბარების დასტურად, შეკვეთის განაცხადზე ხელს აწერენ გამგზავნი და კურიერი და უთითებენ ხელმოწერის თარიღს, რომელიც წარმოადგენს სახლიდან სახლში ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის დღეს.

მუხლი 16. ადგილობრივი რეგისტრირებული ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება

16.1. თუ ადგილობრივი რეგისტრირებული ამანათი გაგზავნილია **სტანდარტული პირობით,** მისი ჩაბარების მიზნით ადრესატს ეგზავნება შეტყობინება. ამასთან:

16.1.1. თუ ამანათზე დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, იგზავნება SMS შეტყობინება, რომელიც შეიცავს მითითებას, თუ სად უნდა ჩაიბაროს ადრესატმა გზავნილი. SMS შეტყობინების გაგზავნით ადრესატი ითვლება ინფორმირებულად მის სახელზე ადგილობრივი ამანათის არსებობის შესახებ;

16.1.2. თუ ამანათზე არ არის დატანილი ტელეფონის ნომერი, ან ამ ნომერზე ვერ ხორციელდება SMS შეტყობინების გაგზავნა, კურიერი ადრესატის მისამართზე ტოვებს შეტყობინებას, რომლითაც აცნობებს მის სახელზე ამანათის არსებობის შესახებ. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე

უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

16.1.3. სტანდარტული პირობით გაგზავნილი რეგისტრირებული ამანათი, რომელზეც დატოვებულია/გაგზავნილია შეტყობინება, ბარდება სერვისცენტში. ამასთან, თუ **რეგისტრირებული ამანათი** დამისამართებულია ფიზიკური პირის სახელზე, ის შეიძლება ჩაბარდეს სრულწლოვან ადრესატს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე, ან მის ნაცვლად მინდობილ პირს, რომელმაც საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს ადრესატის მიერ სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. თუ ადრესატი იურიდიული პირია, ამანათი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია რეგისტრირებული ამანათის ჩაბარება განახორციელოს სხვა ალტერნატიული მეთოდითაც, რომელიც დაადასტურებს ადრესატის ნების შესაბამისად ამანათის ჩაბარების ფაქტს.

16.1.4. თუ სტანდარტული პირობით გაგზავნილ **რეგისტრირებულ ამანათს** აქვს რაიმე ნაკლი და მიმღები უარს აცხადებს მის ჩაბარებაზე პრეტენზიის გარეშე, პრეტენზიის დაფიქსირების უფლება აქვს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს ან მის მინდობილ პირს, ამანათის ჩაბარების მომენტში. ამანათის მიმღების მიერ გამოთქმული პრეტენზია, რომელიც არ წარმოადგენს უშუალოდ ადრესატს ან მის მინდობულ პირს, ან პრეტენზია, რომელიც დაფიქსირებულია ამანათის ჩაბარების შემდეგ, არ ექვემდებარება განხილვას.

16.2. თუ ადგილობრივი რეგისტრირებული ამანათი გაგზავნილია **მოკითხვამდე პირობით,** მასზე ადრესატის მისამართზე შეტყობინების დატოვება არ ხდება. მოკითხვამდე პირობით რეგისტრირებული ამანათი რჩება სერვისცენტრში, სადაც მისი ჩაბარების უფლება აქვთ წინამდებარე დოკუმენტის **16.1.3.** ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებს.

16.3. თუ ადგილობრივი რეგისტრირებული ამანათი გაგზავნილია **ადრესატის მისამართზე ჩაბარების პირობით,** მაგრამ ამანათი ადრესატის მომსახურე სერვისცენტრში შესულია რაიმე ნაკლით (დაზიანებილი, წონის სხვაობით და სხვა), ასეთი ამანათის ჩაბარება ხორციელდება წინამდებარე დოკუმენტის **16.1**. პუნქტით განსაზღვრული დებულებების შესაბამისად, ხოლო პენიტენციურ დაწესებულებაში გასაგზავნად განკუთვნილი ამანათი ბრუნდება უკან გამგზავნთან. სხვა შემთხვევაში **ადრესატის მისამართზე ჩაბარების პირობით** გაგზავნილი ამანათის ჩაბარების მიზნით კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს.

16.3.1. თუ რეგისტრირებული ამანათის ადრესატია ფიზიკური პირი, ის უნდა ჩაბარდეს შემდეგი წესის დაცვით:

- თუ ადრესატის მისამართად მითითებულია მისი საცხოვრებელი ბინის/სახლის მისამართი, ამანათი ბარდება როგორც უშუალოდ ადრესატს, ასევე ადრესატის მისამართზე მყოფ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს და განუცხადებს, რომ ცხოვრობს ამ მისამართზე და იცნობს ადრესატს. თუ ამანათის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, ამანათი ბარდება მისამართზე მყოფ სრულწლოვან პირს;
- თუ ადრესატის მისამართად მითითებულია იურიდიული პირის მისამართი, ამანათი ბარდება უშუალოდ ადრესატს, თუ ის სრულწლოვანია, ან კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), გზავნილი შეიძლება ჩაბარდეს იქ მომუშავე ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს განუცხადებს, რომ იცნობს ადრესატს და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს.

16.3.2. თუ რეგისტრირებული ამანათის ადრესატია იურიდიული პირი, ის ბარდება შემდეგი წესის დაცვით:

- თუ ადრესატად მითითებულია მხოლოდ იურიდიული პირის სახელწოდება, ან იურიდიული პირის სახელწოდებასთან ერთად მითითებულია კონკრეტული ფიზიკური პირიც, ამანათი ბარდება პირადად შესაბამის ფიზიკურ პირს, თუ ის სრულწლოვანია, დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ შესაბამისი ფიზიკური პირი არ იმყოფება მისამართზე ან ის არ არის სრულწლოვანი, ან თუ დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), ამანათი შეიძლება ჩაბარდეს იქ მომუშავე ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს განუცხადებს, რომ იცნობს შესაბამის ფიზიკურ პირს და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს;
- თუ იურიდიული პირის მისამართად მითითებულია საცხოვრებელი ბინის/სახლის მისამართი, ამ მისამართზე მყოფი სრულწლოვანი პირისათვის გადაცემული ამანათი ითვლება სათანადო წესით ჩაბარებულად, თუ ასეთი პირი კურიერს განუცხადებს რომ ცხოვრობს/მუშაობს აღნიშნულ მისამართზე, იცის ადრესატის შესახებ და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს.

16.3.3. რეგისტრირებული ამანათი, რომლის წონაც არ აღემატება 10 კგ-ს, ადრესატს ბარდება კონკრეტული მისამართის კართან, ხოლო 10 კგ-ზე მეტი წონის რეგისტრირებული ამანათი - კონკრეტული მისამართის შენობის შესასვლელთან.

16.3.4. თუ რაიმე მიზეზით კურიერი ვერ ახერხებს ადგილობრივი რეგისტრირებული ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარებას (მაგ. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, ან კურიერს არავინ დახვდება ადრესატის მისამართზე, ან პირი, რომელიც დახვდება მისამართზე, არ არის უფლებამოსილი ჩაიბაროს ამანათი, ან პირი (თუ ის არ არის უშუალოდ ადრესატი) უარს განაცხადებს ამანათის ჩაბარებაზე და ა.შ.), ის ტოვებს შეტყობინებას, რომელშიც მიუთითებს სერვისცენტრის მისამართს, სადაც ადრესატს შეუძლია ამანათის ჩაბარება. შეტყობინების დატოვებით შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე ადგილობრივი ამანათის არსებობის შესახებ.

16.3.5. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

16.3.6. თუ რეგისტრირებული ამანათის ადრესატია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი, გზავნილი ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია პენიტენციური დაწესებულების ამანათის მიღებაზე უფლებამოსილი პირისთვის. ამანათი პენიტენციურ დაწესებულებაში ჩაბარებისას გადის შემოწმებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის შემდეგაც პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი პირი, შპს „საქართველოს ფოსტისგან“ დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამანათის უშუალო ადრესატისათვის გადაცემის, ან მის გადაცემაზე უარის თქმისა და უკან - გამგზავნისათვის დაბრუნების საკითხს.

16.4. რეგისტრირებული ამანათის ჩაბარება ხორციელდება მისი მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და ამანათის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ. თუ ამანათის ჩაბარება ხდება სერვისცენტრში და ამანათის მიმღებს არ წარმოადგენს უშუალოდ ადრესატი, მიმღებთან ერთად ასევე მოითხოვება იმ ინფორმაციის მითითებაც, რომლის

საფუძველზეც დგინდება ადრესატის ნება ამანათი ჩაიბაროს მიმღებმა (მაგ. მინდობილობის მონაცემები, ადრესატისთვის გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდი და სხვა).

მუხლი 17. ადგილობრივი დაზღვეული ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება

17.1. თუ ადგილობრივი დაზღვეული ამანათი გაგზავნილია **სტანდარტული პირობით,** მისი ჩაბარების მიზნით ადრესატს ეგზავნება შეტყობინება. ამასთან:

17.1.1. თუ ამანათზე დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, იგზავნება SMS შეტყობინება, რომელიც შეიცავს მითითებას, თუ სად უნდა ჩაიბაროს ადრესატმა გზავნილი. SMS შეტყობინების გაგზავნით ადრესატი ითვლება ინფორმირებულად მის სახელზე ადგილობრივი ამანათის არსებობის შესახებ.

17.1.2. თუ ამანათზე არ არის დატანილი ტელეფონის ნომერი, ან ამ ნომერზე ვერ ხორციელდება SMS შეტყობინების გაგზავნა, კურიერი ადრესატის მისამართზე ტოვებს შეტყობინებას, რომლითაც აცნობებს მის სახელზე ამანათის არსებობის შესახებ. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

17.1.3. სტანდარტული პირობით გაგზავნილი დაზღვეული ამანათი, რომელზეც დატოვებულია/გაგზავნილია შეტყობინება, ბარდება სერვისცენტში. ამასთან, თუ **დაზღვეული ამანათი** დამისამართებულია ფიზიკურ პირზე, ის შეიძლება ჩაბარდეს მხოლოდ ადრესატს, თუ ის სრულწლოვანია, ან მის მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე. თუ ადრესატი იურიდიული პირია, ამანათი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

17.2. თუ ადგილობრივი დაზღვეული ამანათი გაგზავნილია **მოკითხვამდე პირობით,** მასზე ადრესატის მისამართზე შეტყობინების დატოვება არ ხდება. მოკითხვამდე პირობით

დაზღვეული ამანათი რჩება სერვისცენტრში, სადაც მისი ჩაბარების უფლება აქვთ წინამდებარე დოკუმენტის **17.1.3.** ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებს.

17.3. თუ ადგილობრივი დაზღვეული ამანათი გაგზავნილია **ადრესატის მისამართზე ჩაბარების პირობით,** მაგრამ ამანათი ადრესატის მომსახურე სერვისცენტრში შესულია რაიმე ნაკლით (დაზიანებული, წონის სხვაობით და სხვა), ამანათის ჩაბარება ხდება წინამდებარე დოკუმენტის **17.1.** პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად. სხვა შემთხვევაში **ადრესატის მისამართზე ჩაბარების პირობით** გაგზავნილი დაზღვეული ამანათის ჩაბარების მიზნით კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს. ამასთან:

17.3.1. თუ დაზღვეული ამანათის ადრესატია ფიზიკური პირი, მისი ჩაბარება ხდება მხოლოდ უშუალოდ ადრესატისთვის, ან მინდობილი პირისთვის, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. ამასთან, თუ დაზღვეული ამანათის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, გზავნილი ბარდება მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, დაბადების მოწმობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი სხვა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

17.3.2. თუ დაზღვეული ამანათის ადრესატია იურიდიული პირი, ის ბარდება შემდეგი წესის დაცვით:

- თუ ადრესატად მითითებულია მხოლოდ იურიდიული პირის სახელწოდება, დაზღვეული ამანათი ბარდება დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ დაზღვეული ამანათის ჩაბარება დირექტორისთვის შეუძლებელია, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), დაზღვეული ამანათის ჩაბარება არ ხდება;
- თუ ადრესატად იურიდიული პირის სახელწოდების გარდა მითითებულია კონკრეტული ფიზიკური პირიც, დაზღვეული ამანათი ბარდება პირადად შესაბამის ფიზიკურ პირს, თუ ის სრულწლოვანია, დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ შესაბამისი ფიზიკური პირი არ იმყოფება მისამართზე, ან დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), დაზღვეული ამანათის ჩაბარება არ ხდება.

17.3.3. დაზღვეული ამანათი, რომლის წონაც არ აღემატება 10 კგ-ს, ადრესატს ბარდება კონკრეტული მისამართის კართან, ხოლო 10 კგ-ზე მეტი წონის დაზღვეული ამანათი - კონკრეტული მისამართის შენობის შესასვლელთან.

17.3.4. თუ რაიმე მიზეზით კურიერი ვერ ახერხებს ადგილობრივი დაზღვეული ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარებას (მაგ. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ

შენობაში შესვლა შეუძლებელია, ან კურიერს არავინ დახვდა ადრესატის მისამართზე, ან პირი, რომელიც დახვდა მისამართზე, არ არის უფლებამოსილი ჩაიბაროს ამანათი და ა.შ.), კურიერი ტოვებს შეტყობინებას, რომელშიც მიუთითებს სერვისცენტრის მისამართს, სადაც ადრესატს შეუძლია ამანათის ჩაბარება. შეტყობინების დატოვებით შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე ადგილობრივი ამანათის არსებობის შესახებ.

17.3.5. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

17.4. დაზღვეული ამანათის ჩაბარება ხორციელდება მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და ამანათის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ. თუ ამანათის მიმღები პირი წარმოდგენილია ადრესატის მინდობილობით, ასეთი ამანათის გაცემისას მიმღების მონაცემებთან ერთად ასევე ფიქსირდება მინდობილობის მონაცემებიც.

მუხლი 18. ადგილობრივი სახლიდან სახლში ამანათის ადრესატისთვის ჩაბარება

18.1. თუ ადგილობრივ სახლიდან სახლში ამანათს, მისი ადრესატისთვის ჩაბარებამდე რაიმე ნაკლი აღმოაჩნდა (დაზიანება და სხვა), ასეთი ამანათის ჩაბარება ხორციელდება წინამდებარე დოკუმენტის **16.1.** პუნქტით განსაზღვრული დებულების შესაბამისად. სხვა შემთხვევაში, ადგილობრივი სახლიდან სახლში ამანათის ჩაბარების მიზნით კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს. ამასთან:

18.1.1. თუ სახლიდან სახლში ამანათის ადრესატია ფიზიკური პირი, ის უნდა ჩაბარდეს შემდეგი წესის დაცვით:

- თუ ადრესატის მისამართად მითითებულია მისი საცხოვრებელი ბინის/სახლის მისამართი, ამანათი ბარდება როგორც უშუალოდ ადრესატს, ასევე ადრესატის მისამართზე მყოფ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს და განუცხადებს, რომ ცხოვრობს ამ

მისამართზე და იცნობს ადრესატს. თუ ამანათის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, ამანათი ბარდება მისამართზე მყოფ სრულწლოვან პირს.

- თუ ადრესატის მისამართად მითითებულია იურიდიული პირის მისამართი, ამანათი ბარდება უშუალოდ ადრესატს, თუ ის სრულწლოვანია, ან კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ შესაბამისი ფიზიკური პირი არ იმყოფება მისამართზე, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), გზავნილი შეიძლება ჩაბარდეს იქ მომუშავე ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს განუცხადებს, რომ იცნობს ადრესატს და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს.

18.1.2. თუ სახლიდან სახლში ამანათის ადრესატია იურიდიული პირი, ის ბარდება შემდეგი წესის დაცვით:

- თუ ადრესატად მითითებულია მხოლოდ იურიდიული პირის სახელწოდება, ან იურიდიული პირის სახელწოდებასთან ერთად მითითებულია კონკრეტული ფიზიკური პირიც, ამანათი ბარდება შესაბამის ფიზიკურ პირს, დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ შესაბამისი ფიზიკური პირი არ იმყოფება მისამართზე ან ის არ არის სრულწლოვანი, ან თუ დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), ამანათი შეიძლება ჩაბარდეს იქ მომუშავე ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს განუცხადებს, რომ იცნობს შესაბამის ფიზიკურ პირს და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს;
- თუ იურიდიული პირის მისამართად მითითებულია საცხოვრებელი ბინის/სახლის მისამართი, ამ მისამართზე მყოფი სრულწლოვანი პირისათვის გადაცემული ამანათი ითვლება სათანადო წესით ჩაბარებულად, თუ ასეთი პირი კურიერს განუცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს აღნიშნულ მისამართზე, იცის ადრესატის შესახებ და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს.

18.2. სახლიდან სახლში ამანათი, რომლის წონაც არ აღემატება 10 კგ-ს, ადრესატს ბარდება კონკრეტული მისამართის კართან, ხოლო 10 კგ-ზე მეტი წონის სახლიდან სახლში ამანათი - კონკრეტული მისამართის შენობის შესასვლელთან.

18.3. თუ რაიმე მიზეზით კურიერი ვერ ახერხებს სახლიდან სახლში ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარებას (მაგ. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, ან კურიერს არავინ დახვდა ადრესატის მისამართზე, ან პირი, რომელიც დახვდა მისამართზე, არ არის უფლებამოსილი ჩაიბაროს ამანათი, ან პირი (თუ ის არ არის უშუალოდ ადრესატი) უარს განაცხადებს ამანათის ჩაბარებაზე და სხვა), კურიერი ტოვებს

შეტყობინებას, რომელშიც მიუთითებს სერვისცენტრის მისამართს, სადაც ადრესატს შეუძლია ამანათის ჩაბარება. შეტყობინების დატოვებით შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე ადგილობრივი სახლიდან სახლში ამანათის არსებობის შესახებ.

18.4. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

18.5. სახლიდან სახლში ამანათის ჩაბარება ხორციელდება მისი მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და ამანათის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ. თუ სახლიდან სახლში ამანათის ჩაბარება ხდება სერვისცენტრში და ამანათის მიმღებს არ წარმოადგენს უშუალოდ ადრესატი, მიმღებთან ერთად ასევე მოითხოვება იმ ინფორმაციის მითითებაც, რომლის საფუძველზეც დგინდება ადრესატის ნება ამანათი ჩაიბაროს მიმღებმა (მაგ. მინდობილობის მონაცემები, ადრესატისთვის გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდი და სხვა).

თავი 7. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის დამატებითი სერვისები

მუხლი 19. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის დამატებითი სერვისების სახეები

19.1. მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს შემდეგი დამატებითი სერვისებით:

- 19.1.1. 12/12;
- 19.1.2. გზავნილი ჩაბარების დასტურით;
- 19.1.3. ორჯერადი ვიზიტი;
- 19.1.4. პირადად ადრესატისთვის ჩაბარება;
- 19.1.5. მისამართზე ჩაბარების სერვისი;
- 19.1.6. გადამისამართება;
- 19.1.7. შენახვის ვადის გაზრდა;
- 19.1.8. ვადაზე ადრე უკან დაბრუნება;
- 19.1.9. ცნობა საფოსტო მომსახურების შესახებ;

19.1.10. გზავნილის არქივიდან გამოთხოვა;
19.1.11. გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა;
19.1.12. სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარა.

მუხლი 20. დამატებითი სერვისი - 12/12

20.1. დამატებითი სერვისი - **12/12** გულისხმობს ერთი და იმავე ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში ადგილობრივი საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარებას დაჩქარებულად, შემდეგ ვადებში:

- არაუგვიანეს იმავე დღის 17:00 საათისა, თუ 12/12 საფოსტო გზავნილი მიღებულია სამუშაო დღის 12:00 საათამდე;
- არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღის 12:00 საათისა, თუ 12/12 საფოსტო გზავნილი მიღებულია სამუშაო დღის 12:00 საათის შემდეგ.

20.2. დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგი ადგილობრივი საფოსტო გზავნილების გაგზავნისას:

- რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი;
- ადრესატის მისამართზე ჩაბარების პირობით გაგზავნილი რეგისტრირებული და დაზღვეული, აგრეთვე სახლიდან სახლში ამანათი.

20.3. დამატებითი სერვისის - 12/12 არჩევის შემთხვევაში საფოსტო გზავნილის ჩაბარება ხორციელდება:

20.3.1. რეგისტრირებული წერილის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის 12.2.2.-12.2.5. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
20.3.2. დაზღვეული წერილის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის 12.3.2.-12.3.5. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
20.3.3. რეგისტრირებული ამანათის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის 16.3.1.-16.3.3. ქვეპუნქტებითა და 16.4. პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
20.3.4. დაზღვეული ამანათის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის 17.3.1.-17.3.3. ქვეპუნქტებითა და 17.4. პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

20.4. საფოსტო გზავნილის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ის ბრუნდება უკან გამგზავნთან და ბარდება მას შემდეგი წესის დაცვით:

- უკან დაბრუნებული წერილი, მიუხედავად მისი წონისა, გამგზავნს უბრუნდება არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, კურიერის მიერ მისამართზე ერთჯერადი ვიზიტის განხორციელების გზით;
- უკან დაბრუნებული ამანათის შემთხვევაში, არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა გამგზავნს ეგზავნება შეტყობინება, ხოლო ამანათის ჩაბარება გამგზავნს შეუძლია

სერვისცენტრში, არაუგვიანეს ამანათის გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 21. დამატებითი სერვისი - გზავნილი ჩაბარების დასტურით

21.1. დამატებითი სერვისი - **გზავნილი ჩაბარების დასტურით** გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას, ადგილობრივი საფოსტო გზავნილის გაგზავნისას მოითხოვოს მისი ჩაბარების/ჩაუბარებლობის შესახებ შემდეგი ინფორმაციის წერილობით გაცემა:

- გზავნილის კოდი; გამგზავნის და ადრესატის ვინაობა და მისამართი;
- გზავნილის ჩაბარების შემთხვევაში, იმ პირის ვინაობა და ხელმოწერა, რომელმაც ჩაიბარა საფოსტო გზავნილი. ამასთან, თუ ჩამბარებელი პირი არ არის გზავნილის უშუალო ადრესატი, ასევე მისი კავშირი ადრესატთან;
- გზავნილის ჩაუბარებლობის შემთხვევაში - მისი ჩაუბარებლობის მიზეზი.

21.2. დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგი ადგილობრივი საფოსტო გზავნილების გაგზავნისას:

- რეგისტრირებული წერილი და ამანათი (გარდა წერილისა და ამანათისა, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში იგზავნება);
- დაზღვეული წერილი და ამანათი;
- სახლიდან სახლში ამანათი.

21.3. ჩაბარების დასტური რეგისტრირდება ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში, ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი, იგზავნება ღია სახით და მასზე ვრცელდება რეგისტრირებული წერილისთვის განსაზღვრული დებულებები, თუ წინამდებარე მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.

21.4. ჩაბარების დასტური, გარდა წინამდებარე დოკუმენტის **21.5**. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, გამგზავნს ბარდება წინამდებარე დოკუმენტის **34.2.** პუნქტით განსაზღვრულ ვადებში. ამასთან, ვადის ათვლა იწყება საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების მეორე დღიდან და გამგზავნს ბარდება შემდეგი წესით:

21.4.1. თუ ჩაბარების დასტურზე მითითებულია გამგზავნის მისამართი - ის ბარდება წინამდებარე დოკუმენტის 12.2.2.-12.2.5. ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. ამასთან, ჩაბარების დასტურის გამგზავნისთვის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ის ინახება სერვისცენტრში, საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადით. აღნიშნული ვადის განმავლობაში გამგზავნს შეუძლია ჩაბარების დასტურის სერვისცენტრში ჩაბარება.

21.4.2. თუ ჩაბარების დასტურზე არ არის მითითებული გამგზავნის მისამართი, ან მის ნაცვლად მითითებულია სერვისცენტრის მისამართი, ჩაბარების დასტური მიიჩნევა მოკითხვამდე პირობით. ასეთ შემთხვევაში გამგზავნს შეუძლია ჩაიბაროს ჩაბარების დასტური სერვისცენტრში საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

21.5. თუ საფოსტო გზავნილი გაგზავნილია 12/12 დამატებითი სერვისით, მისი ჩაბარების დასტური გამგზავნს ბარდება საფოსტო გზავნილის ჩაბარებიდან მეორე სამუშაო დღეს.

21.6. თუ საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება ვერ ხორციელდება, ჩაუბარებელი გზავნილის ჩაბარების დასტური გამგზავნს უბრუნდება საფოსტო გზავნილთან ერთად, შესაბამისი სახეობის საფოსტო გზავნილის უკან დაბრუნებისთვის დადგენილი წესით.

მუხლი 22. დამატებითი სერვისი - ორჯერადი ვიზიტი

22.1. დამატებითი სერვისი - **ორჯერადი ვიზიტი** გულისხმობს ადგილობრივი წერილის ჩაბარების მიზნით კურიერის მიერ ადრესატის მისამართზე ვიზიტის განხორციელებას ორჯერ, ნაცვლად სტანდარტული ერთჯერადი ვიზიტისა.

22.2. დამატებითი სერვისით სარგებლობა შეუძლია გამგზავნს რეგისტრირებული, დაზღვეული და ჰიბრიდული წერილის გაგზავნისას.

22.3. კურიერი საფოსტო გზავნილის ჩაბარების მიზნით პირველად ვიზიტს ახორციელებს იმ წესით, რომელიც დადგენილია კონკრეტული სახეობის საფოსტო გზავნილისათვის. თუ კურიერი, პირველი ვიზიტის განხორციელებისას ვერ შეძლებს საფოსტო გზავნილის ჩაბარებას წინამდებარე დოკუმენტის **12.2.6.-12.2.7**. ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით, ადრესატის მისამართზე დატოვებს შეტყობინებას ადრესატის სახელზე საფოსტო გზავნილის არსებობისა და მისი მეორე დღეს სერვისცენტრში ჩაბარების შესაძლებლობის შესახებ. თუ ადრესატი არ ისარგებლებს აღნიშნული უფლებით, კურიერი ადრესატის მისამართზე განმეორებით ვიზიტს განახორციელებს პირველი ვიზიტიდან **მესამე სამუშაო დღეს.** მეორე ვიზიტის კვლავ უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, გზავნილი ადრესატისთვის გადაცემის მიზნით ინახება სერვისცენტრში, წერილის შენახვისათვის დადგენილი ვადით. თუ აღნიშნულ ვადაში ადრესატი არ გამოცხადდება სერვისცენტრში და/ან არ ჩაიბარებს საფოსტო გზავნილს, წერილი უბრუნდება გამგზავნს.

მუხლი 23. დამატებითი სერვისი - პირადად ადრესატისთვის ჩაბარება

23.1. დამატებითი სერვისი - **პირადად ადრესატისთვის ჩაბარება** გულისხმობს ადგილობრივი საფოსტო გზავნილის მხოლოდ იმ პირისთვის ჩაბარებას, რომლის სახელზეც

დამისამართებულია გზავნილი. პირადად ადრესატისათვის ჩაბარების პირობით გაგზავნილი საფოსტო გზავნილის სხვა პირისათვის ჩაბარება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

23.2. დამატებითი სერვისით სარგებლობა შეუძლია გამგზავნს შემდეგი ადგილობრივი საფოსტო გზავნილების გაგზავნისას:

- რეგისტრირებული წერილი და ამანათი (გარდა წერილისა და ამანათისა, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში იგზავნება);
- სახლიდან სახლში ამანათი.

23.3. პირადად ადრესატისთვის ჩაბარების პირობით გაგზავნილი რეგისტრირებული წერილის ადრესატისათვის ჩაბარება ხდება წინამდებარე დოკუმენტით დაზღვეული წერილის ჩაბარებისთვის განსაზღვრული წესის შესაბამისად.

23.4. პირადად ადრესატისთვის ჩაბარების პირობით გაგზავნილი რეგისტრირებული და სახლიდან სახლში ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხდება წინამდებარე დოკუმენტით დაზღვეული ამანათის ჩაბარებისათვის განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 24. დამატებითი სერვისი - გზავნილის მისამართზე ჩაბარება

24.1. დამატებითი სერვისი - **გზავნილის მისამართზე ჩაბარება** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, შეუკვეთოს ადგილობრივი საფოსტო გზავნილის იმ მისამართზე მიტანა და ჩაბარება, რომელიც დატანილია საფოსტო გზავნილზე. ამასთან, თუ მომხმარებელს სურს მისამართის ცვლილება და გზავნილის შეცვლილ მისამართზე ჩაბარება, მან ასევე უნდა ისარგებლოს დამატებითი სერვისით - გადამისამართება.

24.2. დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე და დამატებით სერვისზე:

24.2.1. რეგისტრირებული, დაზღვეული და ჰიბრიდული წერილი;

24.2.2. რეგისტრირებული, დაზღვეული და სახლიდან სახლში ამანათი;

24.2.3. დამატებითი სერვისი - ჩაბარების დასტური.

24.3. დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

24.3.1. იმ ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე, რომლებზეც წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესის შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული ადრესატის მისამართზე ჩაბარება, მათ შორის, საფოსტო გზავნილზე, რომელსაც აქვს რაიმე ნაკლი. ამ შემთხვევაში მომხმარებელი კარგავს პრეტენზიის გაცხადებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

24.3.2. იმ ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე, რომელთა მისამართზე ჩაბარებაც გათვალისწინებულია წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესით, თუმცა კურიერის მიერ მისამართზე ვიზიტის განხორციელების დროს საფოსტო გზავნილი ვერ ჩაბარდა.

24.4. მომხმარებელს, გზავნილის მისამართზე ჩაბარების სერვისით სარგებლობა შეუძლია კონკრეტული საფოსტო გზავნილის შენახვის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი ვადის ამოწურვამდე ერთი სამუშაო დღით ადრე. ამასთან, თუ საფოსტო გზავნილი გაგზავნილია შპს „საქართველოს ფოსტასთან“ ინდივიდუალურ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირის მიერ, ასეთ გზავნილზე სერვისით სარგებლობის პერიოდი შესაძლოა შემცირდეს შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

24.5. მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ვინაიდან საფოსტო გზავნილთან მიმართებაში, რაიმე სახის პრეტენზიის ან/და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაფიქსირება მხოლოდ საფოსტო გზავნილის სერვისცენტრში ჩაბარების შემთხვევაშია შესაძლებელი, გზავნილის მისამართზე ჩაბარების სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, ის დაკარგავს საფოსტო გზავნილთან მიმართებაში მოთხოვნის უფლებას.

24.6. შეკვეთა დამატებითი სერვისით სარგებლობის შესახებ მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ ქოლცენტრში დარეკვით, სერვისცენტრში შეკვეთის გაფორმებით, ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით.

24.7. სერვისის შეკვეთა შეუძლია საფოსტო გზავნილის როგორც გამგზავნს, ასევე ადრესატს.

24.8. შეკვეთის განმხორციელებელი პირი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, გამგზავნისა და ადრესატის მონაცემები, მათი მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ასევე გზავნილის მაიდენტიფიცირებელი კოდი.

24.9. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას საფოსტო გზავნილის მისამართზე ჩაბარების სერვისის შეკვეთის მიღებაზე.

24.10. მომხმარებლის მიერ სრული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა უზრუნველყოფს შეკვეთის რეგისტრაციას.

24.11. მომხმარებელს საშუალება აქვს ერთ შეკვეთაში გააერთიანოს 5 გზავნილი იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გზავნილების ჯამური წონა არ აღემატება 10 კგ-ს, გზავნილები იგზავნება ერთ

მისამართზე და ერთი ადრესატის სახელზე. ასეთი შეკვეთის საფასური შეადგენს ერთი გზავნილის მისამართზე ჩაბარების სერვისისთვის დადგენილ მომსახურების საფასურს.

24.12. სერვისის საფასურის გადახდა შესაძლებელია როგორც წინასწარ, ასევე საფოსტო გზავნილის მომხმარებლისთვის ჩაბარებისას. ამასთან, რაიმე მიზეზით სერვისის ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, საფოსტო გზავნილი არ ბარდება მომხმარებელს.

24.13. მომხმარებელს შეუძლია სერვისი შეუკვეთოს **„სტანდარტული“** ან **„სასწრაფო“** პირობით.

24.13.1. **„სტანდარტული“** პირობის შემთხვევაში, გზავნილის მისამართზე ჩაბარება ხორციელდება შემდეგ ვადებში:

- 2 (ორი) სამუშაო დღე, თუ გამგზავნისა და ადრესატის მისამართები მდებარეობს ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში;
- 3 (სამი) სამუშაო დღე, თუ გამგზავნისა და ადრესატის მისამართები მდებარეობს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში, თუმცა არა სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში;
- 5 (ხუთი) სამუშაო დღე, თუ გამგზავნისა ან ადრესატის მისამართი მდებარეობს სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში.

შენიშვნა: თუ საფოსტო გზავნილის ადრესატი იურიდიული პირია, შაბათი დღე სამუშაო დღედ არ ჩაითვლება.

24.13.2. **„სასწრაფო“** პირობით შეკვეთის გაფორმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილია საფოსტო გზავნილის იმავე ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაბარება. ამასთან, გზავნილის მისამართზე ჩაბარების ვადებია:

- არაუგვიანეს იმავე დღის 17:00 საათისა, თუ საფოსტო გზავნილი მიღებულია სამუშაო დღის 12:00 საათამდე;
- არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღის 12:00 საათისა, თუ საფოსტო გზავნილი მიღებულია სამუშაო დღის 12:00 საათის შემდეგ.

24.14. საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება:

24.14.1.რეგისტრირებული და ჰიბრიდული წერილის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის **12.2.2.-12.2.5** ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

24.14.2.დაზღვეული წერილის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის **12.3.2.-12.3.5** ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

24.14.3.რეგისტრირებული და სახლიდან სახლში ამანათის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის **16.3.1.-16.3.3**. ქვეპუნქტებითა და 16.4. პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

24.14.4.დაზღვეული ამანათის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის **17.3.1.-17.3.3.** ქვეპუნქტებითა და **17.4.** პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

24.15. თუ გზავნილის წონა არ აღემატება 10 კგ-ს, ის ბარდება კონკრეტული მისამართის კართან, ხოლო 10 კგ-ზე მეტი წონის გზავნილი - კონკრეტული მისამართის შენობის შესასვლელთან.

24.16. მომხმარებელთან ვიზიტის ზუსტი დროის წინასწარ შეთანხმება არ ხდება. კურიერი უფლებამოსილია დაურეკოს მას, მხოლოდ მისამართის მოძიების გაადვილების მიზნით.

24.17. თუ კურიერი ვიზიტის განხორციელებისას ვერ შეძლებს საფოსტო გზავნილის ჩაბარებას, წინამდებარე დოკუმენტის **12.2.6.-12.2.7.** ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით, მისამართზე დატოვებს შეტყობინებას, ხოლო საფოსტო გზავნილს დააბრუნებს უკან სერვისცენტში, სადაც მომხმარებელს საშუალება ექნება ჩაიბაროს ის, სერვისზე შეკვეთის განხორციელებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. საფოსტო გზავნილის ჩაბარება შესაძლებელია მხოლოდ სერვისის საფასურის დაფარვის შემთხვევაში.

მუხლი 25. დამატებითი სერვისი - გადამისამართება

25.1. დამატებითი სერვისი - **გზავნილის გადამისამართება** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, შეცვალოს გამგზავნის ან ადრესატის ვინაობა (სახელი, გვარი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება) და/ან მისამართი. ამასთან, თუ მომხმარებელი, მისამართის ცვლილებასთან ერთად, ასევე მოითხოვს გზავნილის შეცვლილ მისამართზე ჩაბარებას, მან ასევე უნდა ისარგებლოს დამატებითი სერვისით - გზავნილის მისამართზე ჩაბარება.

25.2. გადამისამართების (როგორც ვინაობის, ასევე მისამართის ცვლილების) სერვისით სარგებლობის უფლება აქვს საფოსტო გზავნილის გამგზავნს, ან მის წარმომდგენს. საფოსტო გზავნილის ადრესატს შეუძლია ისარგებლოს ადრესატის მისამართის ცვლილების სერვისით იმ საფოსტო გზავნილზე, რომლის გამგზავნიც არ არის შპს „საქართველოს ფოსტასთან“ ინდივიდუალურ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირი.

25.3. დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე და დამატებით სერვისზე:

25.3.1. რეგისტრირებული, დაზღვეული და ჰიბრიდული წერილი;

25.3.2. რეგისტრირებული, დაზღვეული და სახლიდან სახლში ამანათი;

25.3.3. დამატებითი სერვისი - ჩაბარების დასტური.

25.4. მომხმარებელს, გადამისამართების სერვისით სარგებლობა შეუძლია შემდეგ ვადებში:

25.4.1. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო გზავნილის ჩაბარების პროცესის დაწყებამდე.

25.4.2. კონკრეტული საფოსტო გზავნილის შენახვის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი ვადის ამოწურვამდე ერთი სამუშაო დღით ადრე. ამასთან, თუ საფოსტო გზავნილი გაგზავნილია შპს „საქართველოს ფოსტასთან“ ინდივიდუალურ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირის მიერ, ასეთ გზავნილზე სერვისით სარგებლობის პერიოდი შესაძლოა შემცირდეს შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

25.5. შეკვეთა ვინაობის ცვლილების შესახებ მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ხოლო მისამართის ცვლილების შესახებ შეკვეთა ასევე შეიძლება განხორციელდეს ქოლცენტრში დარეკვით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით.

25.6. გამგზავნი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, შევსებული და ხელმოწერილი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი. თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

25.7. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას გადამისამართების შეკვეთის მიღებაზე.

25.8. მომხმარებლის მიერ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების ასახვას ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში.

მუხლი 26. დამატებითი სერვისი - შენახვის ვადის გაზრდა

26.1. დამატებითი სერვისი - **შენახვის ვადის გაზრდა** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, შეაჩეროს ადრესატისათვის ჩაუბარებელი გზავნილის გამგზავნისთვის უკან დაბრუნების პროცესი, ასეთი გზავნილისთვის შენახვის ვადის გაზრდის გზით.

26.2. სერვისით სარგებლობა შეუძლია საფოსტო გზავნილის გამგზავნს ან მის წარმომდგენს. საფოსტო გზავნილის ადრესატს შეუძლია ისარგებლოს შენახვის ვადის გაზრდის სერვისით

იმ საფოსტო გზავნილზე, რომლის გამგზავნიც არ არის შპს „საქართველოს ფოსტასთან“ ინდივიდუალურ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირი.

26.3. დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე:

- რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი;
- რეგისტრირებული, დაზღვეული და სახლიდან სახლში ამანათი.

26.4. მომხმარებელს სერვისით სარგებლობა შეუძლია შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო გზავნილის გამგზავნისთვის უკან დაბრუნების პროცესის დაწყებამდე.

26.5. მომხმარებელი ვერ ისარგებლებს შენახვის ვადის გაზრდის სერვისით, თუ:

- საფოსტო გზავნილი გაიგზავნა დამატებითი სერვისის - 12/12 გამოყენებით;
- საფოსტო გზავნილი დაარქივებულია;
- საფოსტო გზავნილის ჩაბარებაზე უარი განაცხადა ადრესატმა;
- საფოსტო გზავნილი გადაცემულია სახელმწიფოსთვის.

26.6. შენახვის ვადის გაზრდა შესაძლებელია ორი ვადით - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით და მხოლოდ ერთჯერადად.

26.7. შეკვეთა გზავნილის შენახვის ვადის გაზრდის შესახებ მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით.

26.8. მომხმარებელი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, შევსებული და ხელმოწერილი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი. თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

26.9. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას შეკვეთის მიღებაზე.

26.10. მომხმარებლის მიერ სრული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა ადასტურებს შეკვეთას.

26.11. შეკვეთის შესაბამისად მოთხოვნილი შენახვის ვადის ათვლა იწყება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ შეკვეთის დადასტურების დღიდან. ამასთან, ავტომატურად ანულირდება ის ვადა, რომლითაც ინახებოდა გზავნილი შეკვეთის გაფორმებამდე.

26.12. შენახვის ვადის განმავლობაში ადრესატს შეუძლია ეწვიოს სერვისცენტრს და ჩაიბაროს საფოსტო გზავნილი, ან ისარგებლოს შპს „საქართველოს ფოსტის“ დამატებითი სერვისებით.

26.13. თუ შენახვის ვადის გაზრდა განხორციელდება ადრესატის მოთხოვნით, მაგრამ ამ ვადის განმავლობაში გამგზავნი მოითხოვს გზავნილის უკან დაბრუნებას, პრიორიტეტი მიენიჭება გამგზავნის მოთხოვნას და გზავნილი მას დაუბრუნდება.

მუხლი 27. დამატებითი სერვისი - ვადაზე ადრე უკან დაბრუნება

27.1. დამატებითი სერვისი - **ვადაზე ადრე უკან დაბრუნება** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ყოველგვარი დადგენილი შენახვის ვადის გარეშე, მოითხოვოს გზავნილის უკან დაბრუნება.

27.2. სერვისით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ გამგზავნს და გზავნილის წარმომდგენს.

27.3. დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე:

- რეგისტრირებული, დაზღვეული და ჰიბრიდული წერილი;
- რეგისტრირებული, დაზღვეული და სახლიდან სახლში ამანათი.

27.4. გამგზავნს სერვისით სარგებლობა შეუძლია შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო გზავნილის შენახვის ვადის გასვლის ბოლო დღემდე. ამასთან, გამგზავნი ვერ ისარგებლებს ვადაზე ადრე უკან დაბრუნების სერვისით, თუ საფოსტო გზავნილი მან გააგზავნა დამატებითი სერვისის - 12/12 გამოყენებით.

27.5. შეკვეთა გზავნილის ვადაზე ადრე უკან დაბრუნების შესახებ მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით.

27.6. მომხმარებელი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, შევსებული და ხელმოწერილი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი. თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

27.7. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლისგან დამატებით მიღებული ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას შეკვეთის მიღებაზე.

27.8. მომხმარებლის მიერ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში ადასტურებს შეკვეთას, რის შემდეგაც, საფოსტო გზავნილი უბრუნდება გამგზავნს და ბარდება მას, კონკრეტული სახეობის საფოსტო გზავნილის ჩაბარებისთვის დადგენილი წესით და ვადაში.

მუხლი 28. დამატებითი სერვისი - ცნობა საფოსტო მომსახურების შესახებ

28.1. დამატებითი სერვისი - **ცნობა საფოსტო მომსახურების შესახებ** გულისხმობს შპს „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით გაგზავნილი/მიღებული ადგილობრივი საფოსტო გზავნილის შესახებ ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში დაცული მონაცემების, აგრეთვე შპს „საქართველოს ფოსტის“ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის წერილობითი დოკუმენტის სახით გაცემას.

28.2. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის შესახებ ცნობის გაცემა ხორციელდება შემდეგი პირობების შესაბამისად:

28.2.1. ცნობა არ გაიცემა ადგილობრივ მარტივ წერილსა და საფოსტო ბარათზე;

28.2.2. ცნობის გაცემა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გზავნილის გაგზავნიდან ცნობის მოთხოვნის თაობაზე განცხადების მიღებამდე არ არის გასული 3 (სამი) წელზე მეტი.

28.2.3. საფოსტო მომსახურების შესახებ ცნობის მოთხოვნის უფლება აქვს გამგზავნს, ადრესატს, მათ წარმომადგენელს უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, აგრეთვე გზავნილის უშუალოდ ჩამბარებელ პირს (მიმღებს) ან წარმომდგენს;

28.2.4. შეკვეთა საფოსტო მომსახურების შესახებ ცნობის მოთხოვნის თაობაზე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამგზავნისა და ადრესატის ვინაობისა და მათი მისამართების შესახებ. ამასთან, თუ მოთხოვნილია ინფორმაცია კონკრეტული გზავნილის შესახებ, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია გზავნილის კოდის შესახებ;

28.2.5. ფიზიკურ პირს შეუძლია ერთი შეკვეთით მოითხოვოს ინფორმაცია 5 საფოსტო გზავნილზე, ან ერთთვიან პერიოდზე, მაგრამ არაუმეტეს 20 გზავნილისა, ხოლო

იურიდიულ პირს - 5 გზავნილზე ან 15 დღიან პერიოდზე, მაგრამ არაუმეტეს 20 გზავნილისა. ერთ შეკვეთაში მოთხოვნილი ინფორმაცია შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ გაიცემა ერთ დოკუმენტად;

28.2.6. შეკვეთა მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით;

28.2.7. მომხმარებელი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, შევსებული და ხელმოწერილი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი. თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა;

28.2.8. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას შეკვეთის მიღებაზე.

28.3. თუ მომხმარებელს სურს ინფორმაციის მიღება შპს „საქართველოს ფოსტის“ საქმიანობასთან დაკავშირებით, ის უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს სერვისცენტრს, ან გამოაგზავნოს განცხადება ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge. განცხადებასთან ერთად, შპს „საქართველოს ფოსტას“ უნდა წარედგინოს მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი.

28.4. მომხმარებელი თავისუფლდება მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებისგან, თუ:

28.4.1. სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს/პირის შესაბამისი გადაწყვეტილებით ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში შპს „საქართველოს ფოსტას“ ევალება ინფორმაციის უსასყიდლოდ გაცემა;

28.4.2. ინფორმაციას ითხოვს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;

28.4.3. ინფორმაციას ითხოვს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული პირი;

28.4.4. შპს „საქართველოს ფოსტის“ შიდა მოკვლევის საფუძველზე დადგინდება, რომ

კომპანიის მხრიდან ადგილი ჰქონდა საფოსტო მომსახურების პირობების დარღვევას;

28.4.5. შპს „საქართველოს ფოსტამ“ ვერ უზრუნველყო გზავნილის ჩაბარების დასტურის დადგენილი წესით ჩაბარება.

28.5. მომხმარებლის მიერ სრული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში ამზადებს ცნობას და უგზავნის განმცხადებელს, მის მიერ შერჩეული ფორმით (განმცხადებლის მისამართზე ჩაბარებით, სერვისცენტრიდან გატანით, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით).

მუხლი 29. დამატებითი სერვისი - გზავნილის არქივიდან გამოთხოვა

29.1. დამატებითი სერვისი - **გზავნილის არქივიდან გამოთხოვა** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, საფოსტო გზავნილის ჩაბარების მიზნით გამოითხოვოს შპს „საქართველოს ფოსტის“ არქივში შენახული საფოსტო გზავნილი.

29.2. სერვისის მოთხოვნის უფლება აქვს გამგზავნს, ადრესატს, მათ წარმომადგენელს უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, აგრეთვე წარმომდგენს.

29.3. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე:

- რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი, ასევე ჩაბარების დასტური;
- რეგისტრირებული, დაზღვეული, სახლიდან სახლში და პენიტენციური ამანათი.

29.4. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია საფოსტო გზავნილის გაგზავნიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

29.5. მომხმარებელი თავისუფლდება გზავნილის არქივიდან გამოთხოვის შესახებ მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებისგან, თუ:

29.5.1. სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს/პირის შესაბამისი გადაწყვეტილებითით ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში შპს „საქართველოს ფოსტას“ ევალება გზავნილის უსასყიდლოდ გამოთხოვა;

29.5.2. სერვისით სარგებლობას ითხოვს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;

29.5.3. სერვისით სარგებლობას ითხოვს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული პირი;

29.5.4. გზავნილის დაარქივება მოხდა შპს „საქართველოს ფოსტის“ შეცდომით.

29.6. შეკვეთა გზავნილის არქივიდან გამოთხოვის შესახებ მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე

services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით.

29.7. მომხმარებელი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, შევსებული და ხელმოწერილი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი. თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

29.8. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას შეკვეთის მიღებაზე.

29.9. მომხმარებლის მიერ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში ადასტურებს შეკვეთას, რის შემდეგაც 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს არქივიდან გამოთხოვილი საფოსტო გზავნილის ტრანსპორტირებას მომხმარებლის სასურველ სერვისცენტრში.

მუხლი 30. დამატებითი სერვისი - გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა

30.1. დამატებითი სერვისი - **გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა** გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას, უარი თქვას შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გასაგზავნად უკვე გადაცემული ადგილობრივი საფოსტო გზავნილის დანიშნულებით გაგზავნაზე.

30.2. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე:

30.2.1. რეგისტრირებული, დაზღვეული და ჰიბრიდული წერილი;

30.2.2. რეგისტრირებული, დაზღვეული და სახლიდან სახლში ამანათი;

30.3. სერვისით სარგებლობა უფასოა, თუ გამგზავნი საფოსტო გზავნილის გაგზავნას განახორციელებს სერვისცენტრიდან, ხოლო საფოსტო გზავნილის უკან დაბრუნებას მოითხოვს იმავე დღის განსაზღვრულ დრომდე და იმავე სერვისცენტრში პირადად გამოცხადებით. კონკრეტული სერვისცენტრისთვის განსაზღვრულ დროდ მიიჩნევა შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ წინასწარ დადგენილი ფოსტის ცვლის დრო. სერვისის უფასოდ მისაღებად გამგზავნმა უნდა წარმოადგინოს საფოსტო გზავნილის გაგზავნის მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ასეთ შემთხვევაში, გამგზავნს იმავე სერვისცენტრში უკან უბრუნდება საფოსტო გზავნილი და მის მიერ გადახდილი გაგზავნის

ღირებულება. თუ დასაბრუნებელი საფოსტო გზავნილი გაგზავნილია ფასდადების პირობით, გამგზავნს მხოლოდ საფოსტო გზავნილი უბრუნდება.

30.4. გარდა წინამდებარე დოკუმენტის **30.3.** პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, სერვისით სარგებლობა ფასიანია.

30.5. ფასიანი სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, გამგზავნს საშუალება აქვს შპს „საქართველოს ფოსტას“ განცხადებით მიმართოს ნებისმიერ სერვისცენტრში ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge , არაუგვიანეს საფოსტო გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის დღის 17:00 საათისა, ხოლო შაბათს - არაუგვიანეს 14:00 საათისა.

30.6. სერვისით სარგებლობის შესახებ განცხადებასთან ერთად შპს „საქართველოს ფოსტას“ წარედგინება/ეგზავნება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარდგენა/გაგზავნა.

30.7. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ გამგზავნისგან მიღებული ინფორმაცია არასაკმარისია.

30.8. ფასიანი სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, საფოსტო გზავნილის უკან დაბრუნება ხდება შემდეგი წესის დაცვით:

30.8.1. თუ საფოსტო გზავნილი გაგზავნილია სერვისცენტრიდან, მისი უკან დაბრუნება ხდება იმავე სერვისცენტრში;

30.8.2. გამგზავნის მისამართზე კურიერის საშუალებით მიღებული საფოსტო გზავნილები გამგზავნს უკან უბრუნდება იმავე მისამართზე;

30.8.3. ჰიბრიდული წერილები ნადგურდება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი წესით.

30.9. **გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმის** ფასიანი სერვისის ღირებულების ანაზღაურება წარმოებს შემდეგი წესის დაცვით:

30.9.1. თუ საფოსტო გზავნილის გაგზავნის ღირებულება გადახდილია, სერვისის ღირებულების დაკავება ხდება გადახდილი თანხიდან, ხოლო დარჩენილი თანხა უკან უბრუნდება გამგზავნს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, თანხის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით;

30.9.2. თუ საფოსტო გზავნილი გაგზავნილია ფასდადების პირობით, გამგზავნისთვის მისი დაბრუნება ხორციელდება მხოლოდ სერვისის ღირებულების ანაზღაურების შემდეგ;

30.9.3. თუ საფოსტო გზავნილი გაგზავნილია შპს „საქართველოს ფოსტასთან“ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, სერვისის ღირებულების ანაზღაურება წარმოებს ასეთი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და წესით.

მუხლი 31. დამატებითი სერვისი - სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარა

31.1. დამატებითი სერვისი - **სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარა** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, მარტივი კატეგორიის საფოსტო გზავნილი ჩაიბაროს სააბონენტო საფოსტო ყუთის საშუალებით.

31.2. სერვისით სარგებლობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შპს „საქართველოს ფოსტასთან“ დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების გაფორმების მიზნით პირს შეუძლია მიმართოს შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრს.

თავი 8. მოთხოვნები ადგილობრივი საფოსტო გზავნილის მიმართ

მუხლი 32. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის შეფუთვის წესი

32.1. თუ წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისი დებულებებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საფოსტო გზავნილი შპს „საქართველოს ფოსტას“ შესაძლოა წარედგინოს დახურული სახით.

32.2. გზავნილის სათანადოდ შეფუთვაზე პასუხისმგებელია გამგზავნი. მან უნდა უზრუნველყოს გზავნილის იმგვარი შეფუთვა, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის, აგრეთვე მასთან ერთად გადასაზიდი სხვა გზავნილების დაზიანება (მათ შორის, დასველება) ტრანსპორტირების დროს.

32.3. საფოსტო გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ არ დაიფაროს მასზე დატანილი ინფორმაცია. შეფუთვის ზედაპირი უნდა იძლეოდეს მასზე მისამართის ან ტრანსპორტირებისთვის საჭირო სხვა იარლიყების/შტამპების დაკვრის/დატანის შესაძლებლობას.

32.4. საფოსტო გზავნილის შესაფუთად რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას:

32.4.1. წერილებისთვის - თუ წონა არ აღემატება 150 გრ-ს - საფოსტო კონვერტები, ხოლო უფრო მეტი წონისთვის - რბილი, ჰაერ-ბუშტოვან სარჩულიანი კონვერტები;

32.4.2. ამანათებისთვის - რბილი, ჰაერ-ბუშტოვან სარჩულიანი კონვერტები, გოფრირებული მუყაოს, ფანერის, ხის, პოლიმერული, პენოპლასტის მყარი ყუთები.

32.5. გამგზავნის მიერ საფოსტო გზავნილის შეფუთვა უნდა განხორციელდეს მისი წონის, ფორმისა და შიგთავსის მასალისა და ხასიათის (თხევადი, მსხვრევადი, მყარი და ა.შ.) მიხედვით, ასევე გზავნილის ტრანსპორტირების ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

32.6. გზავნილი უნდა იყოს შეფუთული იმაზე გათვლით, რომ:

- გაუძლოს დიდ მანძილზე ტრანსპორტირებას;
- მრავალჯერად გადატვირთვას ან დამუშავებას, დახარისხებას;

- კლიმატის, ტემპერატურისა და ატმოსფერული წნევის ცვალებადობას;
- ფიზიკურ ზემოქმედებას, ზეწოლას, ვიბრაციას, რყევას.

32.7. საფოსტო გზავნილი სათანადოდ შეფუთულად ითვლება მაშინ, თუ ის 80 კგ-ის ზეწოლისა და/ან 80 სმ სიმაღლიდან მყარ ზედაპირზე თავისუფალი ვარდნის შემდეგ დაუზიანებელი რჩება.

32.8. გამგზავნის მიერ შესაფუთი მასალის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს გზავნილის შიგთავსის სახეობა/თვისებები, მისი წონა და ფორმა. შესაფუთმა მასალამ და შიგთავსის სწორად შეფუთვამ უნდა უზრუნველყოს მისი დაცვა და მთლიანობის შენარჩუნება ტრანსპორტირებისას (მაგ. ყუთში სიცარიელის დატოვების შემთხვევაში, ის შესაძლოა დაიპრესოს/დაიჩუტოს, ხოლო ზედმეტად სავსე ყუთი - პირიქით, შინაგანი ზემოქმედების შედეგად გასკდეს).

32.9. თუ საფოსტო გზავნილში რამოდენიმე ნივთია მოთავსებული, აღნიშნული ნივთები უნდა შეიფუთოს ცალ-ცალკე და შემდეგ მოხდეს მათი მყარად განთავსება გასაგზავნ შეფუთვაში.

32.10. მნიშვნელოვანია, რომ საფოსტო გზავნილის რყევის შემთხვევაში, მასში მოთავსებული ნივთები არ მოძრაობდეს. შიგთავსის მოძრაობის შესაზღუდად, გზავნილის შიგნით რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას შემდეგი შემავსებელი მასალები:

- მუყაო;
- გაზეთი;
- ჰაერ-ბუშტოვანი ცელოფანი;
- პოროლონის ღრუბელი;
- პენოპლასტი;
- კრაფტის ქაღალდი.

32.11. საფოსტო გზავნილი ყველა მხრიდან მყარად უნდა იყოს დახურული, რათა გამოირიცხოს ტრანსპორტირებისა და დამუშავების პროცესში გზავნილიდან ნივთის გადმოვარდნა. ამ მიზნით გამგზავნმა უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

32.11.1. კონვერტის გამოყენების შემთხვევაში მასში არ მოათავსოს დოკუმენტების/ნივთების ის რაოდენობა, რომელსაც ვერ გაუძლებს კონვერტის თვითწებადი ნაწილი და გაიხსნება, ან კონვერტი ნებისმიერ სხვა ადგილას გასკდება;

32.11.2. ყუთის ან შეფუთვის სხვა სახეობის გამოყენებისას გზავნილის დალუქვა უნდა მოხდეს სულ მცირე 5 სმ-იანი თვითწებადი ლენტის მთელი გზავნილის ირგვლივ არანაკლებ სამჯერადი შემოტარებით.

32.12. შიგთავსის სახეობის მიხედვით, დაცული უნდა იყოს შეფუთვის შემდეგი წესები:

32.12.1. **ცხიმის შემცველი ნივთიერებები,** რომლებიც ადვილად არ გადაიქცევა სითხედ, როგორიცაა საცხები, ნახევრად თხევადი საპონი, ფისი და სხვა, პირველადი

შესაფუთი მასალით (ყუთი, ნაჭრის ტომარა, პლასტმასის კონტეინერი და სხვ.) უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული შიგთავსის გაჟონვა;

32.12.2. **მშრალი საღებავი ფხვნილები,** როგორიცაა მეთილენის ლურჯი და სხვა, დაიშვება მხოლოდ ჰერმეტულად დახურულ ლითონის ყუთებში, რომლებიც, თავის მხრივ, უნდა მოთავსდეს შესაბამისი შემწოვი და დამცავი მასალით ამოვსებულ მყარ ყუთებში;

32.12.3. **მშრალი არასაღებავი ფხვნილები** უნდა მოთავსდეს მყარ კონტეინერებში (ყუთი, ტომარა), რომლებიც, თავის მხრივ. განთავსდება მყარ ყუთებში;

32.12.4. **მინისგან დამზადებული ან სხვა მსხვრევადი/მტვრევადი ნივთები** უნდა შეიფუთოს ჰაერბუშტოვანი ცელოფნით, ქსოვილით ან სხვა მსგავსი შესაფუთი მასალით და მოთავსდეს მყარ ყუთში, რომელიც ამოვსებული იქნება შესაბამისი დამცავი მასალით, რათა ტრანსპორტირების პროცესში თავიდან იქნას აცილებული ნივთსა და ყუთის კედლებს შორის ხახუნი, ხოლო თუ გზავნილში რამდენიმე ნივთია - ასევე ამ ნივთებს შორის ხახუნი;

32.12.5. **წვეტიანი ან ბასრი ნივთები** უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში, ხოლო ყუთში წვეტიანი და ბასრი ნაწილები უნდა შეიფუთოს ისეთი მასალით (ჰაერ-ბუშტოვანი ცელოფანი, თვითწებადი ლენტი და ა.შ.), რომელიც უზრუნველყოფს როგორც ამ ნივთის უსაფრთხოებას ტრანსპორტირების დროს, ასევე ყუთის შესაძლო დაზიანების შემთხვევაში - დაიცავს სხვა გზავნილებს დაზიანებისგან;

32.12.6. ძვირფასი ქვები/ლითონები ან მათი ნაკეთობები უნდა მოთავსდეს მყარი ლითონის ან ხის ყუთში, რომლის კედლის სისქეც მინიმუმ 1 სმ იქნება. ამასთან, თუ ხის ყუთი დამზადებული იქნება ფანერისგან, მისი სისქე შეიძლება იყოს 5 მმ-მდე იმ პირობით, რომ ყუთის კიდეები გამაგრებული იქნება კუთხოვანებით.

32.13. თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, პენიტენციური ამანათის შეფუთვის მიმართ დადგენილი იქნება დამატებითი მოთხოვნები ან შეფუთვის განსხვავებული წესები, გამგზავნმა პენიტენციური ამანათის გაგზავნა უნდა განახორციელოს ამ მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 33. აკრძალვები და შეზღუდვები ადგილობრივი საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ

33.1. დაუშვებელია ისეთი საფოსტო გზავნილის გაგზავნა, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე დოკუმენტისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ პირობებსა და

მოთხოვნებს, მათ შორის, აკრძალულია საფოსტო გზავნილის გაგზავნა თაღლითობის ან სხვა დანაშაულის ჩადენის ან მისი ხელშეწყობის მიზნით.

33.2. საფოსტო გზავნილით აკრძალულია შემდეგი დოკუმენტების/ნივთების გაგზავნა:

33.2.1. ნარკოტიკები და ფსიქოტროპული ნივთიერებები, ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის განსაზღვრების შესაბამისად, აგრეთვე საქართველოში აკრძალული ნივთიერებები;

33.2.2. ნებისმიერი საგნები, რომლებიც დაკავშირებულია პედოფილიასა და ბავშვთა პორნოგრაფიასთან;

33.2.3. უხამსი ან ამორალური ხასიათის საგნები;

33.2.4. კონტრაფაქტული და მეკობრული საგნები;

33.2.5. მიმდინარე და პირადი მიმოწერის შემცველი დოკუმენტები, გაგზავნილი იმ პირების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ გამგზავნს, ადრესატს ან მათთან მცხოვრებ პირებს;

33.2.6. ცოცხალი ცხოველები;

33.2.7. ფულის ნიშნები;

33.2.8. საგნები, რომლებიც თავიანთი ხასიათით ან შეფუთვით შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს ფოსტის თანამშრომლებს ან მესამე პირებს, აბინძურებდეს ან აფუჭებდეს სხვა გზავნილებს, საფოსტო ტექნიკას ან მესამე პირის საკუთრებას;

33.2.9. სახიფათო ტვირთის კატეგორიას მიკუთვნებული საგნები, მათ შორის:

- ❖ ინერტული ფეთქებადი მოწყობილობა და საბრძოლო მასალა, მათ შორის, ინერტული ყუმბარები და ჭურვები და სხვა ანალოგიური საგნები, ასევე ასეთი მოწყობილობების და საგნების მულაჟები;
- ❖ რადიაქტიული ნივთიერებები;
- ❖ ინფექციური ნივთიერებები;
- ❖ ლითიუმის ელემენტები და ლითიუმის ბატარიები (როგორც ცალკე, ასევე მოწყობილობაში მოთავსებული).

33.3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების, საკოლექციო მონეტების, წარმომდგენის სასარგებლოდ ანაზღაურებას დაქვემდებარებული ნებისმიერი სახის ფასიანი ქაღალდების, სამგზავრო ჩეკების, საბანკო ბარათების, პლატინის, ოქროს ან ვერცხლის, ძვირფასი ქვების, საიუველირო ნაწარმის და სხვა ძვირფასი ნივთების გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ დაზღვევით.

33.4. თუ საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია დამატებითი დოკუმენტის (ნებართვის) წარდგენის ვალდებულება, ასეთი გზავნილის გაგზავნა ან ადრესატისათვის ჩაბარება განხორციელდება გამგზავნის მიერ მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

33.5. შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია უარი თქვას საფოსტო გზავნილის გაგზავნაზე ან მისი ადრესატისთვის ჩაბარებაზე, თუ მიიჩნევს, რომ საფოსტო გზავნილი შეიცავს წინამდებარე დოკუმენტის 33.2. პუნქტით განსაზღვრულ აკრძალულ შიგთავსს.

33.6. პენიტენციურ დაწესებულებაში გასაგზავნი გზავნილის შიგთავსის მიმართ დამატებით მოქმედებს გზავნილის გაგზავნის დღისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვები და შეზღუდვები.

თავი 9. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის ჩაბარების ვადები, ჩაუბარებელი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადა და მისი უკან დაბრუნების წესი

მუხლი 34. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების ვადები

34.1. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების ვადის ათვლა იწყება მისი შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემისა და ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში რეგისტრაციის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან, ხოლო თუ საფოსტო გზავნილი არ რეგისტრირდება, მისი შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის მომდევნო სამუშაო დღიდან.

34.2. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების, მათ შორის, შეტყობინების ფურცლის ადრესატის მისამართზე დატოვების ვადებია:

- <u>2 (ორი) სამუშაო დღე,</u> თუ გამგზავნისა და ადრესატის მისამართები მდებარეობს ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში;
- <u>3 (სამი) სამუშაო დღე,</u> თუ გამგზავნისა და ადრესატის მისამართები მდებარეობს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, გარდა სპეციალური ადმინისტრაციული ერთეულისა;
- <u>5 (ხუთი) სამუშაო დღე,</u> თუ გამგზავნისა და ადრესატის მისამართები მდებარეობს სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში.

34.3. ადგილობრივ საფოსტო გზავნილზე SMS შეტყობინების გაგზავნის ვადაა:

- <u>2 (ორი) სამუშაო დღე.</u>

<u>**შენიშვნა:**</u> თუ საფოსტო გზავნილის ადრესატი იურიდიული პირია, შაბათი დღე სამუშაო დღედ არ ჩაითვლება.

მუხლი 35. ჩაუბარებელი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადა და მისი უკან დაბრუნების წესი

35.1. საფოსტო გზავნილი, რომელიც კურიერის მიერ მისამართზე ვიზიტის განხორციელების დროს ვერ ჩაბარდება ადრესატს, ასევე საფოსტო გზავნილი, რომელზეც დატოვებული/გაგზავნილი იქნება შეტყობინება, შეინახება შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში შემდეგი ვადით:

- საფოსტო ბარათი - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე;
- წერილი - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე;
- რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათი - 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
- სახლიდან სახლში ამანათი - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე;
- მოკითხვამდე პირობით ნებისმიერი სახეობის გზავნილი - 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

35.2. შენახვის ვადის ათვლა იწყება სერვისცენტრის მიერ ადგილობრივი საფოსტო გზავნილის ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში რეგისტრაციის მომდევნო დღიდან, ხოლო თუ საფოსტო გზავნილი არ რეგისტრირდება, მისი შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის მომდევნო სამუშაო დღიდან.

35.3. საფოსტო გზავნილი, რომელიც ვერ ჩაბარდება ადრესატს და გაუვა წინამდებარე დოკუმენტის **35.1**. პუნქტით განსაზღვრული შენახვის ვადა, დაუბრუნდება გამომგზავნს.

35.4. თუ საფოსტო გზავნილის ჩაბარებაზე უარს განაცხადებს ადრესატი, გზავნილი დაუბრუნდება გამგზავნს წინამდებარე დოკუმენტის **35.1**. პუნქტით განსაზღვრული ვადის დაუცველად.

35.5. გამგზავნისათვის საფოსტო გზავნილის დაბრუნება არ ხდება, თუ საფოსტო გზავნილზე არ არის დატანილი გამგზავნის შესახებ ინფორმაცია.

35.6. უკან დაბრუნებული საფოსტო გზავნილი გამგზავნს ბარდება წინამდებარე დოკუმენტის **34-ე** მუხლით განსაზღვრულ ვადაში. ამასთან, გამგზავნისათვის გზავნილის ჩაბარება ხორციელდება ადრესატისათვის დადგენილი ჩაბარების წესის იდენტურად, შესაბამისი საფოსტო გზავნილის სახეობის გათვალისწინებით.

35.7. თუ საფოსტო გზავნილი გაგზავნილია შპს „საქართველოს ფოსტასთან“ ინდივიდუალურ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირის მიერ, ასეთი გზავნილის 35.1. პუნქტით განსაზღვრული შენახვის ვადა შესაძლოა შემცირდეს შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

კარი III
საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილი

თავი 10. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის სახეები და კატეგორიები

მუხლი 36. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის სახეები

36.1. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის სახეებია:

- საფოსტო ბარათი;
- წერილი;
- მცირე პაკეტი;
- M ტომარა;
- ამანათი;
- EMS გზავნილი(დოკუმენტი/ნივთი).

მუხლი 37. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის კატეგორიები

37.1.საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის სახეები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

37.1.1. საფოსტო ბარათის კატეგორიაა:
- ✓ მარტივი.

37.1.2. წერილის კატეგორიებია:
- ✓ მარტივი;
- ✓ მარტივი პლიუსი;
- ✓ რეგისტრირებული;
- ✓ დაზღვეული.

37.1.3. **მცირე პაკეტის კატეგორიებია:**
- ✓ მარტივი;
- ✓ მარტივი პლიუსი.

37.1.4. **M ტომარას კატეგორიაა:**
- ✓ რეგისტრირებული.

37.1.5. ამანათის კატეგორიებია:
- ✓ რეგისტრირებული;
- ✓ დაზღვეული.

37.1.6. **EMS გზავნილის (დოკუმენტი/ნივთი) კატეგორიებია:**
- ✓ სტანდარტული;
- ✓ დაზღვეული.

თავი 11. საერთაშორისო გამავალი საფოსტო ბარათის მახასიათებლები და მისი გაგზავნა

მუხლი 38. საერთაშორისო გამავალი საფოსტო ბარათის მახასიათებლები

38.1. საერთაშორისო გამავალი საფოსტო ბარათის გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ მარტივი კატეგორიით.

38.2. საერთაშორისო გამავალ მარტივ საფოსტო ბარათს არ ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და არ აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერის გარეშე, მის შესახებ ინფორმაცია ვერ გაიცემა, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

მუხლი 39. საერთაშორისო გამავალი საფოსტო ბარათის გაგზავნა

39.1. გამგზავნს საერთაშორისო გამავალი საფოსტო ბარათის გაგზავნის შესაძლებლობა აქვს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დეკლარირებულ ქვეყნებში. ქვეყნების ჩამონათვალი მოცემულია შპს „საქართველოს ფოსტის“ ვებგვერდზე www.gpost.ge.

39.2. საერთაშორისო გამავალი საფოსტო ბარათის გაგზავნა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც საფოსტო ბარათზე დაიტანს გაგზავნის ღირებულების შესაბამის საფოსტო მარკას და საფოსტო ბარათს მოათავსებს შპს „საქართველოს ფოსტის“ საფოსტო ყუთში, ან გადასცემს სერვისცენტრს გასაგზავნად.

39.3. საერთაშორისო გამავალი საფოსტო ბარათის გაგზავნისას მისი მონაცემების ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში რეგისტრაცია არ ხორციელდება.

თავი 12. საერთაშორისო გამავალი წერილის მახასიათებლები და მისი გაგზავნა

მუხლი 40. საერთაშორისო გამავალი წერილის მახასიათებლები

40.1. საერთაშორისო წერილის გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი კატეგორიებით:

40.1.1. **მარტივი** - არ ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და არ აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერის გარეშე, მის შესახებ ინფორმაცია ვერ

გაიცემა, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას;

40.1.2. **მარტივი პლიუს** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერის გარეშე, მის შესახებ გაიცემა ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემებში დაცული ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

40.1.3. **რეგისტრირებული** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ჩაბარების სხვა ალტერნატიული მეთოდით (რომელიც უზრუნველყოფს გზავნილის ჩაბარების ფაქტის დადასტურების საშუალებას), მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში;

40.1.4. **დაზღვეული** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ჩაბარების სხვა ალტერნატიული მეთოდით (რომელიც უზრუნველყოფს გზავნილის ჩაბარების ფაქტის დადასტურების საშუალებას), მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დაზღვეული თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 2000 სსუ (SDR) -სა.

40.2. საერთაშორისო გამავალი წერილის წონა, მიუხედავად მისი კატეგორიისა, არ უნდა აღემატებოდეს 2 კგ-ს.

მუხლი 41. საერთაშორისო გამავალი წერილის გაგზავნა

41.1. გამგზავნს საერთაშორისო გამავალი წერილის გაგზავნის შესაძლებლობა აქვს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დეკლარირებულ ქვეყნებში. ამასთან, დაზღვეული წერილის გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას აქვს დაზღვეული წერილის მომსახურების სერვისი. ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც შპს „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით შესაძლებელია წერილის

(მათ შორის, დაზღვეული წერილის) გაგზავნა, მოცემულია შპს „საქართველოს ფოსტის“ ვებგვერდზე www.gpost.ge.

41.2. <u>საერთაშორისო გამავალი მარტივი წერილის გაგზავნა</u>

41.2.1. მარტივი წერილის გაგზავნა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც წერილზე დაიტანს გაგზავნის ღირებულების შესაბამის საფოსტო მარკას და მოათავსებს შპს „საქართველოს ფოსტის“ საფოსტო ყუთში, ან გადასცემს სერვისცენტრს გასაგზავნად.

41.2.2. თუ გამოყენებული მარკების ღირებულება არ შეესაბამება გზავნილის გაგზავნის ღირებულებას, შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, არ გააგზავნოს ასეთი წერილი.

41.2.3. მარტივი წერილის გაგზავნისას მისი მონაცემების ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში რეგისტრაცია არ ხორციელდება.

41.3. <u>საერთაშორისო გამავალი მარტივი პლიუს და რეგისტრირებული წერილის გაგზავნა</u>

41.3.1. მარტივი პლიუს და რეგისტრირებული წერილის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია რეგისტრირებული წერილი გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

41.3.2. მარტივი პლიუს და რეგისტრირებული წერილის გაგზავნა შეუძლია როგორც ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. თუ წერილი ფიზიკური პირის სახელით იგზავნება, სავალდებულოა გამგზავნის, ხოლო გზავნილის წარმომდგენის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ამ უკანასკნელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენა. თუ გზავნილი იურიდიული პირის სახელით იგზავნება, გზავნილის წარმომდგენმა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი). ამასთან, თუ იურიდიულ პირს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას ასევე ევალება გზავნილების სპეციალური რეესტრის წარმოდგენაც.

41.3.3. მარტივი პლიუს და რეგისტრირებული წერილი შპს „საქართველოს ფოსტას“ გადაეცემა დახურული სახით. ამასთან, თუ შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გასაგზავნ გზავნილში შესაძლოა მოთავსებული იყოს აკრძალული ნივთი, ან ისეთი ნივთი, რომელიც არ იგზავნება

წერილის კატეგორიით, მას უფლება აქვს გამგზავნს მოსთხოვოს საფოსტო გზავნილის გახსნა და შიგთავსის დათვალიერება.

41.3.4. ინფორმაცია მარტივი პლიუს და რეგისტრირებული წერილის გამგზავნისა და ადრესატის, ასევე წერილის წონის შესახებ რეგისტრირდება შპს „საქართველოს ფოსტის“ ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში.

41.4. <u>საერთაშორისო გამავალი დაზღვეული წერილის გაგზავნა</u>

41.4.1. დაზღვეული წერილის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია დაზღვეული წერილი გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

41.4.2. დაზღვეული წერილის გაგზავნა შეუძლია როგორც ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. დაზღვეული წერილის გასაგზავნად მოითხოვება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, ასევე სარეგისტრაციო მონაცემების (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი) წარმოდგენა. დაზღვეული წერილი შპს „საქართველოს ფოსტას“ წარედგინება უშუალოდ გამგზავნის მიერ. იურიდიული პირის შემთხვევაში უშუალოდ გამგზავნად მიიჩნევა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი. გამგზავნის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის) წარმომადგენლობა დაიშვება უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

41.4.3. წერილის დაზღვევა შესაძლებელია შიგთავსის რეალური ღირებულებით მისი დაკარგვისა და გარეგანი დაზიანების რისკისგან. რეალურ ღირებულებად მიიჩნევა გზავნილში მოთავსებული დოკუმენტის დამზადების ღირებულება. ამასთან, სადაზღვევო თანხის ზღვრული ოდენობაა 2000 სსუ (SDR).

41.4.4. თუ გზავნილში რამოდენიმე დოკუმენტია მოთავსებული, მათი შერჩევით/ნაწილობრივ დაზღვევა არ არის შესაძლებელი.

41.4.5. გამგზავნი ვალდებულია დაზღვეული წერილის გაგზავნისას წარმოადგინოს მასში მოთავსებული დოკუმენტების ჩამონათვალი, თითოეული დოკუმენტის დასახელებისა და ფასის (დოკუმენტის დამზადების ღირებულების) მითითებით.

41.4.6. გამგზავნი დასაზღვევ წერილს წარადგენს ღია სახით. შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი პირი გამგზავნთან ერთად ახორციელებს შიგთავსის დათვალიერებას, რათა დარწმუნდეს, რომ მასში მოთავსებულია გამგზავნის მიერ ჩამონათვალში მითითებული ყველა დოკუმენტი, რის შემდეგაც გამგზავნი მისი

თანდასწრებით ახდენს წერილის დახურვა/დალუქვას. წერილის შეფუთვა ყველა გადაბმის ადგილას უნდა დაილუქოს თვითწებადი ლენტით. დაზღვეული წერილის გაგზავნისას დაუშვებელია ე.წ. ფანჯრიანი კონვერტის გამოყენება.

41.4.7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, გამგზავნს მოეთხოვება მითითებული ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტების (მაგ. დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმების ხარჯები; შესყიდვის საბუთი; საექსპერტო დასკვნა და ა.შ.) წარმოდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, ანაზღაურება მოახდინოს იმ ოდენობით, რომელსაც მიიჩნევს წერილის შიგთავსის რეალურ ღირებულებად.

41.4.8. ინფორმაცია დაზღვეული წერილის გამგზავნისა და ადრესატის, ასევე წერილის წონის, მისი შიგთავსისა და დაზღვევის თანხის შესახებ რეგისტრირდება შპს „საქართველოს ფოსტის“ ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში.

თავი 13. საერთაშორისო გამავალი მცირე პაკეტის მახასიათებლები და მისი გაგზავნა

მუხლი 42. საერთაშორისო გამავალი მცირე პაკეტის მახასიათებლები

42.1. საერთაშორისო გამავალი მცირე პაკეტის გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი კატეგორიებით:

42.1.1. **მარტივი** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი თუმცა არ აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერის გარეშე, მის შესახებ შესაძლოა გაიცეს მხოლოდ შპს „საქართველოს ფოსტის“ ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში დაცული ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას;

42.1.2. **მარტივი პლიუს** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერის გარეშე, მის შესახებ გაიცემა ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემებში დაცული ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

42.2. საერთაშორისო გამავალი მცირე პაკეტის წონა, მიუხედავად მისი კატეგორიისა, არ უნდა აღემატებოდეს 2 კგ-ს.

მუხლი 43. საერთაშორისო გამავალი მცირე პაკეტის გაგზავნა

43.1. გამგზავნს საერთაშორისო გამავალი მცირე პაკეტის გაგზავნა შეუძლია შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დეკლარირებულ ქვეყნებში. ასეთი ქვეყნების ჩამონათვალი მოცემულია შპს „საქართველოს ფოსტის“ ვებგვერდზე www.gpost.ge.

43.1. <u>საერთაშორისო გამავალი მარტივი და მარტივი პლიუს მცირე პაკეტის გაგზავნა</u>

43.1.1. მარტივი და მარტივი პლიუს მცირე პაკეტის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია ამ კატეგორიების მცირე პაკეტი გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

43.1.2. მარტივი და მარტივი პლიუს მცირე პაკეტის გაგზავნა შეუძლია როგორც სრულწლოვან ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. თუ მცირე პაკეტი ფიზიკური პირის სახელით იგზავნება, სავალდებულოა გამგზავნის, ხოლო გზავნილის წარმომდგენის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ამ უკანასკნელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენა. თუ მცირე პაკეტი იურიდიული პირის სახელით იგზავნება, საფოსტო გზავნილის წარმომდგენმა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი), ხოლო თუ იურიდიულ პირს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას ასევე ევალება გზავნილების სპეციალური რეესტრის წარმოდგენაც.

43.1.3. მარტივი და მარტივი პლიუს მცირე პაკეტი შპს „საქართველოს ფოსტას“ გადაეცემა დახურული სახით. ამასთან, თუ შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გასაგზავნ გზავნილში შესაძლოა მოთავსებული იყოს აკრძალული ნივთი, ან თუ გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ საფოსტო გზავნილის შიგთავსი დეკლარირებულია არასწორად/არასრულად და არასწორი ღირებულებით, ან შიგთავსი შეფუთულია არასათანადოდ, რამაც ტრანსპორტირებისას შესაძლოა სხვა საფოსტო გზავნილების დაზიანებაც გამოიწვიოს, შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს გამგზავნს მოსთხოვოს მცირე პაკეტის გახსნა და შიგთავსის დათვალიერება.

თავი 14. საერთაშორისო გამავალი M ტომარას მახასიათებლები და მისი გაგზავნა

მუხლი 44. საერთაშორისო გამავალი M ტომარას მახასიათებლები

44.1. საერთაშორისო გამავალი M ტომარას გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი კატეგორიით:

44.1.1. **რეგისტრირებული** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ჩაბარების სხვა ალტერნატიული მეთოდით (რომელიც უზრუნველყოფს გზავნილის ჩაბარების ფაქტის დადასტურების საშუალებას), მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში;

44.2. საერთაშორისო გამავალი M ტომარას წონა არ უნდა აღემატებოდეს 30 კგ-ს.

მუხლი 45. საერთაშორისო გამავალი M ტომარას გაგზავნა

45.1. გამგზავნს საერთაშორისო გამავალი რეგისტრირებული M ტომარას გაგზავნის შესაძლებლობა აქვს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დეკლარირებულ იმ ქვეყანაში, რომლის საფოსტო ადმინისტრაციასაც აქვს რეგისტრირებული M ტომარას მომსახურების სერვისი. ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც შპს „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით შესაძლებელია რეგისტრირებულ M ტომარას გაგზავნა, მოცემულია შპს „საქართველოს ფოსტის“ ვებგვერდზე www.gpost.ge

45.1. საერთაშორისო გამავალი რეგისტრირებული M ტომარას გაგზავნა

45.1.1. რეგისტრირებული M ტომარას გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია რეგისტრირებული M ტომარა გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

45.1.2. რეგისტრირებული M ტომარას გაგზავნა შეუძლია როგორც სრულწლოვან ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. თუ საფოსტო გზავნილი ფიზიკური პირის სახელით იგზავნება, სავალდებულოა გამგზავნის, ხოლო გზავნილის წარმომდგენის

საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ამ უკანასკნელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენა. თუ M ტომარა იურიდიული პირის სახელით იგზავნება, გზავნილის წარმომდგენმა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი).

45.1.3. რეგისტრირებული M ტომარა შპს „საქართველოს ფოსტას“ გადაეცემა დახურული სახით. ამასთან, თუ შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გასაგზავნ გზავნილში შესაძლოა მოთავსებული იყოს აკრძალული ნივთი, ან თუ გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ საფოსტო გზავნილის შიგთავსი დეკლარირებულია არასწორად/არასრულად და არასწორი ღირებულებით, ან შიგთავსი შეფუთულია არასათანადოდ, რამაც ტრანსპორტირებისას შესაძლოა სხვა საფოსტო გზავნილების დაზიანებაც გამოიწვიოს, შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს გამგზავნს მოსთხოვოს საფოსტო გზავნილის გახსნა და შიგთავსის დათვალიერება.

თავი 15. საერთაშორისო გამავალი ამანათის მახასიათებლები და მისი გაგზავნა

მუხლი 46. საერთაშორისო გამავალი ამანათის მახასიათებლები

46.1. საერთაშორისო გამავალი ამანათის გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი კატეგორიებით:

46.1.1. **რეგისტრირებული** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ჩაბარების სხვა ალტერნატიული მეთოდით (რომელიც უზრუნველყოფს გზავნილის ჩაბარების ფაქტის დადასტურების საშუალებას), მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში;

46.1.2. **დაზღვეული** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ჩაბარების სხვა ალტერნატიული მეთოდით (რომელიც უზრუნველყოფს გზავნილის ჩაბარების ფაქტის დადასტურების

საშუალებას), მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ შემთხვევებში და დაზღვეული თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 4000 სსუ (SDR) -სა.

46.2. საერთაშორისო გამავალი ამანათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 20 კგ-ს.

მუხლი 47. საერთაშორისო გამავალი ამანათის გაგზავნა

47.1. გამგზავნს საერთაშორისო გამავალი ამანათის გაგზავნის შესაძლებლობა აქვს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დეკლარირებულ ქვეყნებში. ამასთან, დაზღვეული ამანათის გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას აქვს დაზღვეული ამანათის მომსახურების სერვისი. ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც შპს „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით შესაძლებელია ამანათის (მათ შორის, დაზღვეული ამანათის) გაგზავნა, მოცემულია შპს „საქართველოს ფოსტის“ ვებგვერდზე www.gpost.ge.

47.2. <u>საერთაშორისო გამავალი რეგისტრირებული ამანათის გაგზავნა</u>

47.2.1. რეგისტრირებული ამანათის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია რეგისტრირებული ამანათი გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

47.2.2. რეგისტრირებული ამანათის გაგზავნა შეუძლია როგორც სრულწლოვან ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. თუ საფოსტო გზავნილი ფიზიკური პირის სახელით იგზავნება, სავალდებულოა გამგზავნის, ხოლო გზავნილის წარმომდგენის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ამ უკანასკნელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენა. თუ გზავნილი იურიდიული პირის სახელით იგზავნება, გზავნილის წარმომდგენმა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი), ხოლო თუ იურიდიულ პირს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას ასევე ევალება გზავნილების სპეციალური რეესტრის წარმოდგენაც.

47.2.3. რეგისტრირებული ამანათი შპს „საქართველოს ფოსტას“ გადაეცემა დახურული სახით. ამასთან, თუ შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი

მიიჩნევს, რომ გასაგზავნ ამანათში შესაძლოა მოთავსებული იყოს აკრძალული ნივთი, ან თუ გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ საფოსტო გზავნილის შიგთავსი დეკლარირებულია არასწორად/არასრულად და არასწორი ღირებულებით, ან შიგთავსი შეფუთულია არასათანადოდ, რამაც ტრანსპორტირებისას შესაძლოა სხვა საფოსტო გზავნილების დაზიანებაც გამოიწვიოს, შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს გამგზავნს მოსთხოვოს ამანათის გახსნა და შიგთავსის დათვალიერება.

47.3. <u>საერთაშორისო გამავალი დაზღვეული ამანათის გაგზავნა</u>

47.3.1. დაზღვეული ამანათის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია დაზღვეული ამანათი გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

47.3.2. დაზღვეული ამანათის გაგზავნა შეუძლია როგორც სრულწლოვან ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. დაზღვეული ამანათის გასაგზავნად მოითხოვება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, ასევე სარეგისტრაციო მონაცემების (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი) წარმოდგენა. დაზღვეული ამანათი შპს „საქართველოს ფოსტას“ წარედგინება უშუალოდ გამგზავნის მიერ. იურიდიული პირის შემთხვევაში უშუალოდ გამგზავნად მიიჩნევა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი. გამგზავნის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის) წარმომადგენლობა დაიშვება უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

47.3.3. ამანათის დაზღვევა შესაძლებელია შიგთავსის რეალური ღირებულებით მისი დაკარგვისა და გარეგანი დაზიანების რისკისგან. რეალურ ღირებულებად მიიჩნევა ნივთის საბაჟო დეკლარაციაში მითითებული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს ნივთის საბაზრო ღირებულებაზე მეტი. ამასთან, სადაზღვევო თანხის ზღვრული ოდენობაა 4000 სსუ (SDR).

47.3.4. თუ ამანათში რამოდენიმე ნივთია მოთავსებული, მათი შერჩევით/ნაწილობრივ დაზღვევა არ არის შესაძლებელი.

47.3.5. გამგზავნი ამანათს წარადგენს ღია სახით. შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი პირი გამგზავნთან ერთად ახორციელებს შიგთავსის დათვალიერებას, რათა დარწმუნდეს, რომ მასში მოთავსებულია გამგზავნის მიერ დეკლარირებული ყველა ნივთი, რის შემდეგაც გამგზავნი მისი თანდასწრებით ახდენს ამანათის დახურვა/დალუქვას. დაზღვეული ამანათი ყველა გადაბმის ადგილას უნდა

დაილუქოს თვითწებადი ლენტით და შეიფუთოს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი წესით.

47.3.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში გამგზავნს მოეთხოვება საბაჟო დეკლარაციაში მითითებული ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტების (მაგ. შესყიდვის საბუთი, საექსპერტო დასკვნა და ა.შ.) წარმოდგენა. თუ ამანათით ძვირფასი ქვები/ლითონები ან მათი ნაკეთობები იგზავნება, მათი ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს წინასწარ, ამანათის გაგზავნისას. აღნიშნული წესების დაუცველობის შემთხვევაში შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, ანაზღაურება მოახდინოს იმ ოდენობით, რომელსაც მიიჩნევს ამანათის შიგთავსის რეალურ ღირებულებად.

თავი 16. საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის მახასიათებლები და მისი გაგზავნა

მუხლი 48. საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის მახასიათებლები

48.1. საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილი მისი შიგთავსის მიხედვით იყოფა დოკუმენტად და ნივთად.

48.2. EMS გზავნილის (როგორც დოკუმენტის, ასევე ნივთის) გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი კატეგორიებით:

48.2.1. **სტანდარტული EMS გზავნილი** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ჩაბარების სხვა ალტერნატიული მეთოდით (რომელიც უზრუნველყოფს გზავნილის ჩაბარების ფაქტის დადასტურების საშუალებას), მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ შემთხვევებში და ზღვრული თანხის ფარგლებში;

48.2.2. **დაზღვეული** - ენიჭება მაიდენტიფიცირებელი კოდი და აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ჩაბარების სხვა ალტერნატიული მეთოდით (რომელიც უზრუნველყოფს გზავნილის ჩაბარების ფაქტის დადასტურების საშუალებას), მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ შემთხვევებში და დაზღვეული თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს:

- EMS გზავნილზე (დოკუმენტი) - 2000 სსუ (SDR);
- EMS გზავნილზე (ნივთი) - 4000 სსუ (SDR).

48.3. თუ EMS გზავნილით დოკუმენტი იგზავნება, მისი წონა არ უნდა აღემატებოდეს 2 კგ-ს, ხოლო ნივთის გაგზავნის შემტხვევაში, მაქსიმალური წონაა 20 კგ.

მუხლი 49. საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის გაგზავნა

49.1. გამგზავნს საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის (როგორც სტანდარტული, ასევე დაზღვეული) გაგზავნის შესაძლებლობა აქვს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დეკლარირებულ ქვეყნებში. ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც შპს „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით შესაძლებელია EMS გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული EMS გზავნილის) გაგზავნა, მოცემულია შპს „საქართველოს ფოსტის“ ვებგვერდზე www.gpost.ge.

49.2. <u>საერთაშორისო გამავალი სტანდარტული EMS გზავნილის (როგორც დოკუმენტის, ასევე ნივთის) გაგზავნა</u>

49.2.1. სტანდარტული EMS გზავნილის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია სტანდარტული EMS გზავნილი გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

49.2.2. სტანდარტული EMS გზავნილის გაგზავნა შეუძლია როგორც სრულწლოვან ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. თუ EMS გზავნილი ფიზიკური პირის სახელით იგზავნება, სავალდებულოა გამგზავნის, ხოლო გზავნილის წარმომდგენის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ასევე ამ უკანასკნელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენა. თუ EMS გზავნილი იურიდიული პირის სახელით იგზავნება, გზავნილის წარმომდგენმა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი).

49.2.3. EMS გზავნილი შპს „საქართველოს ფოსტას“ გადაეცემა დახურული სახით. ამასთან, თუ შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გასაგზავნ EMS გზავნილში შესაძლოა მოთავსებული იყოს აკრძალული ნივთი, ან თუ გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ საფოსტო გზავნილის შიგთავსი დეკლარირებულია არასწორად/არასრულად და არასწორი ღირებულებით, ან შიგთავსი შეფუთულია

არასათანადოდ, რამაც ტრანსპორტირებისას შესაძლოა სხვა საფოსტო გზავნილების დაზიანებაც გამოიწვიოს, შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს გამგზავნს მოსთხოვოს ასეთი EMS გზავნილი გახსნა და შიგთავსის დათვალიერება.

49.3. <u>საერთაშორისო გამავალი დაზღვეული EMS გზავნილის (როგორც დოკუმენტის, ასევე ნივთის) გაგზავნა</u>

49.3.1. დაზღვეული EMS გზავნილის გაგზავნა შესაძლებელია სერვისცენტრიდან. ამასთან, თუ მომხმარებელს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას შეუძლია დაზღვეული EMS გზავნილი გააგზავნოს კურიერის გამოძახების გზითაც.

49.3.2. დაზღვეული EMS გზავნილის გაგზავნა შეუძლია როგორც სრულწლოვან ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს. დაზღვეული EMS გზავნილის გასაგზავნად მოითხოვება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, ასევე სარეგისტრაციო მონაცემების (საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი) წარმოდგენა. დაზღვეული EMS გზავნილი შპს „საქართველოს ფოსტას“ წარედგინება უშუალოდ გამგზავნის მიერ. იურიდიული პირის შემთხვევაში უშუალოდ გამგზავნად მიიჩნევა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი. გამგზავნის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის) წარმომადგენლობა დაიშვება უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

49.3.3. EMS გზავნილის დაზღვევა შესაძლებელია შიგთავსის რეალური ღირებულებით მისი დაკარგვისა და გარეგანი დაზიანების რისკისგან. რეალურ ღირებულებად მიიჩნევა დოკუმენტის/ნივთის საბაჟო დეკლარაციაში მითითებული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს მის საბაზრო ღირებულებაზე მეტი. ამასთან, სადაზღვევო თანხის ზღვრული ოდენობაა EMS გზავნილი დოკუმენტისთვის 2000 სსუ (SDR), ხოლო EMS გზავნილი ნივთისთვის - 4000 სსუ (SDR).

49.3.4. თუ EMS გზავნილში რამოდენიმე დოკუმენტი/ნივთია მოთავსებული, მათი შერჩევით/ნაწილობრივ დაზღვევა არ არის შესაძლებელი.

49.3.5. გამგზავნი დასაზღვევ EMS გზავნილს წარადგენს ღია სახით. შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი პირი გამგზავნთან ერთად ახორციელებს შიგთავსის დათვალიერებას, რათა დარწმუნდეს, რომ მასში მოთავსებულია გამგზავნის მიერ დეკლარირებული ყველა ნივთი, რის შემდეგაც გამგზავნი მისი თანდასწრებით ახდენს EMS გზავნილის დახურვა/დალუქვას. დაზღვეული EMS გზავნილის ყველა გადაბმის

ადგილას უნდა დაილუქოს თვითწებადი ლენტით და შეიფუთოს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი წესით.

49.3.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, გამგზავნს მოეთხოვება საბაჟო დეკლარაციაში მითითებული ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტების (მაგ. შესყიდვის საბუთი, საექსპერტო დასკვნა და ა.შ.) წარმოდგენა. თუ EMS გზავნილით (ნივთი) ძვირფასი ქვები/ლითონები ან მათი ნაკეთობები იგზავნება, მათი ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს წინასწარ, EMS გზავნილის გაგზავნისას. აღნიშნული წესების დაუცველობის შემთხვევაში შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, ანაზღაურება მოახდინოს იმ ოდენობით, რომელსაც მიიჩნევს EMS გზავნილის შიგთავსის რეალურ ღირებულებად.

თავი 17. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის დამატებითი სერვისები

მუხლი 50. დამატებითი სერვისების სახეები

50.1. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის გამგზავნს შეუძლია ისარგებლოს შემდეგი დამატებითი სერვისებით:

50.1.1. გადამისამართება;

50.1.2. გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა.

მუხლი 51. დამატებითი სერვისი - გადამისამართება

51.1. დამატებითი სერვისი - **გზავნილის გადამისამართება** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, საფოსტო გზავნილის გაგზავნის შემდეგ შეცვალოს ადრესატის ვინაობა (სახელი, გვარი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება) და/ან მისამართი.

51.2. გადამისამართების (როგორც ვინაობის, ასევე მისამართის ცვლილების) სერვისით სარგებლობის უფლება აქვს საფოსტო გზავნილის გამგზავნს ან მის წარმომდგენს.

51.3. გადამისამართების სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა გამგზავნს აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ ქვეყნის საფოსტო ადმინისტაციას, სადაც საფოსტო გზავნილი გაიგზავნა, აქვს ასეთი სერვისი. ამასთან, გამგზავნს გადამისამართების სერვისით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ იმ ქვეყნის ფარგლებში, სადაც საფოსტო გზავნილი გაიგზავნა.

51.4. დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ საერთაშორისო გამავალ საფოსტო გზავნილებზე:

51.4.1. რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი;

51.4.2. რეგისტრირებული M ტომარა;

51.4.3. რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათი;

51.4.4. სტანდარტული და დაზღვეული EMS გზავნილი.

51.5. გამგზავნს გადამისამართების სერვისით სარგებლობა შეუძლია დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ საფოსტო გზავნილის ჩაბარების პროცესის დაწყებამდე. ამასთან, თუ საფოსტო გზავნილი შეჩერებული იქნა საბაჟო ორგანოს მიერ ან დაექვემდებარა დაბეგვრას, ასეთი გზავნილის გადამისამართება ვერ განხორციელდება.

51.6. შეკვეთა გადამისამართების შესახებ მიიღება შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით.

51.7. გამგზავნი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, შევსებული და ხელმოწერილი განცხადება და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

51.8. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ გამგზავნისგან მიღებული ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს, უარი თქვას გადამისამართების შეკვეთის მიღებაზე.

51.9. საერთაშორისო გამავალ გზავნილებზე გადამისამართების სერვისი ხორციელდება უფასოდ.

51.10. შპს „საქართველოს ფოსტა“ თავისუფლდება პასუხიმგებლობისგან გადამისამართების პროცესის განუხორციელებლობის ან არადროული განხორციელებისათვის, როდესაც აღნიშნულის მიზეზი გზავნილის დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ოპერატორია.

მუხლი 52. დამატებითი სერვისი - გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა

52.1. დამატებითი სერვისი - **გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა** გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას, უარი თქვას შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გასაგზავნად უკვე

გადაცემული საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის ქვეყნის ფარგლებს გარეთ შემდგომ გაგზავნაზე.

52.2. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ საერთაშორისო გამავალ საფოსტო გზავნილებზე:

52.1.1. მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი;

52.1.2. მარტივი და მარტივი პლიუს მცირე პაკეტი;

52.1.3. რეგისტრირებული M ტომარა;

52.1.4. რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათი;

52.1.5. სტანდარტული და დაზღვეული EMS გზავნილი.

52.3. სერვისით სარგებლობა უფასოა, თუ გამგზავნი საფოსტო გზავნილის გაგზავნას განახორციელებს სერვისცენტრიდან, ხოლო საფოსტო გზავნილის უკან დაბრუნებას მოითხოვს იმავე დღის განსაზღვრულ დრომდე და იმავე სერვისცენტრში პირადად გამოცხადებით. კონკრეტული სერვისცენტრისთვის განსაზღვრულ დროდ მიიჩნევა შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ წინასწარ დადგენილი ფოსტის ცვლის დრო. სერვისის უფასოდ მისაღებად გამგზავნმა უნდა წარმოადგინოს საფოსტო გზავნილის გაგზავნის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ასეთ შემთხვევაში, გამგზავნს იმავე სერვისცენტრში უკან უბრუნდება საფოსტო გზავნილი და მის მიერ გადახდილი გაგზავნის ღირებულება.

52.4. გარდა წინამდებარე დოკუმენტის **52.3.** პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, სერვისით სარგებლობა ფასიანია.

52.5. ფასიანი სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, გამგზავნს საშუალება აქვს შპს „საქართველოს ფოსტას“ განცხადებით მიმართოს ნებისმიერ სერვისცენტრში ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge , არაუგვიანეს საფოსტო გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის დღის 17:00 საათისა, ხოლო შაბათს - არაუგვიანეს 14:00 საათისა.

52.6. სერვისით სარგებლობის შესახებ განცხადებასთან ერთად შპს „საქართველოს ფოსტას“ წარედგინება/ეგზავნება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარდგენა/გაგზავნა.

52.7. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ გამგზავნისგან მიღებული ინფორმაცია არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას წინამდებარე დოკუმენტის 52.8 პუნქტით გათვალისწინებული თანხის უკან დაბრუნებაზე და გააგზავნოს საფოსტო გზავნილი დანიშნულებით.

52.8. ფასიანი სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, საფოსტო გზავნილის უკან დაბრუნება ხდება შემდეგი წესის დაცვით:

52.8.1. თუ საფოსტო გზავნილი გაგზავნილია სერვისცენტრიდან, მისი უკან დაბრუნება ხდება იმავე სერვისცენტრში;

52.8.2. გამგზავნის მისამართზე კურიერის საშუალებით მიღებული საფოსტო გზავნილები გამგზავნს უკან უბრუნდება იმავე მისამართზე;

52.9. **გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმის** ფასიანი სერვისის ღირებულების ანაზღაურება წარმოებს შემდეგი წესის დაცვით:

52.9.1. თუ საფოსტო გზავნილის გაგზავნის ღირებულება გადახდილია, სერვისის ღირებულების დაკავება ხდება გადახდილი თანხიდან, ხოლო დარჩენილი თანხა უკან უბრუნდება გამგზავნს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, თანხის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით;

52.9.2. თუ საფოსტო გზავნილი გაგზავნილია შპს „საქართველოს ფოსტასთან“ დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულების ფარგლებში, სერვისის ღირებულების ანაზღაურება წარმოებს ასეთი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და წესით.

თავი 18. მოთხოვნები საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის მიმართ

მუხლი 53. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის სავალდებულო საბაჟო დეკლარირება

53.1. საბაჟო დეკლარაციის შევსება სავალდებულოა მცირე პაკეტის, M ტომარას, ამანათისა და EMS გზავნილის გაგზავნისას. საბაჟო დეკლარაციის შევსება ასევე სავალდებულოა წერილის გაგზავნისას, თუ ამას ითხოვს დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობა, ან წერილი იგზავნება კომერციული დანიშნულებით, ან თუ მისი წონა აღემატება ერთ კილოგრამს . საბაჟო დეკლარაცია თან უნდა დაერთოს საფოსტო გზავნილს. ამასთან, მასში შეტანილი ინფორმაცია ასევე რეგისტრირდება შპს „საქართველოს ფოსტის“ ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში და საერთაშორისო ელექტრონული სისტემების გამოყენებით გადაეცემა დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას.

53.2. გამგზავნს შეუძლია საბაჟო დეკლარაციაში შესატანი ინფორმაციის ნუსხასა და მისი შევსების წესს გაეცნოს შპს „საქართველოს ფოსტის“ ვებგვერდზე www.gpost.ge.

53.3. საბაჟო დეკლარაცია ივსება გამგზავნის სახელით და პასუხისმგებლობით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ ხდება საბაჟო დეკლარაციის შევსება, მასში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია გამგზავნი.

53.4. გამგზავნის მიერ საბაჟო დეკლარაციაში არასწორი ინფორმაციის შეტანის, მათ შორის, გასაგზავნი ნივთების არასწორად/არასრულად ან/და არასწორი ღირებულებით დეკლარირების შემთხვევაში, საფოსტო გზავნილი შესაძლოა დაექვემდებაროს საქართველოს, ტრანზიტული და/ან დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების, ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოების და/ან საფოსტო ადმინისტრაციების მხრიდან დაბეგვრას, დაჯარიმებას, უკან დაბრუნებას და/ან ჩამორთმევას.

53.5. შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას საფოსტო გზავნილის გაგზავნაზე, თუ გამგზავნი სრულად არ წარმოადგენს საბაჟო დეკლარაციის შესავსებად საჭირო ინფორმაციას.

53.6. საფოსტო გზავნილის გაგზავნის პროცედურის დასრულებამდე გამგზავნი ვალდებულია გაეცნოს საბაჟო დეკლარაციას და ხელმოწერით დაადასტუროს მასში ასახული ინფორმაციის სისწორე, აგრეთვე ის ფაქტი, რომ გზავნილი არ შეიცავს კანონმდებლობით და წინამდებარე დოკუმენტით აკრძალულ ნივთებს.

მუხლი 54. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის შეფუთვის წესი

54.1. თუ წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისი დებულებებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილი შპს „საქართველოს ფოსტას“ წარედგინება დახურული სახით.

54.2. გზავნილის სათანადოდ შეფუთვაზე პასუხისმგებელია გამგზავნი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გზავნილის იმგვარი შეფუთვა, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის, აგრეთვე მასთან ერთად გადასაზიდი სხვა გზავნილების დაზიანება (მათ შორის, დასველება) ტრანსპორტირების დროს.

54.3. გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ არ დაიფაროს მასზე დატანილი ინფორმაცია.

54.4. შეფუთვის ზედაპირი უნდა იძლეოდეს მასზე მისამართის ან ტრანსპორტირებისთვის საჭირო სხვა იარლიყების/შტამპების დაკვრის/დატანის საშუალებას.

54.5. გზავნილის შესაფუთად რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას:

54.5.1. წერილისთვის - თუ წონა არ აღემატება 150 გრ-ს - საფოსტო კონვერტი, ხოლო უფრო მეტი წონისთვის - რბილი, ჰაერ-ბუშტოვან სარჩულიანი კონვერტი;

54.5.2. მცირე პაკეტისა და ამანათისთვის - რბილი, ჰაერ-ბუშტოვან სარჩულიანი კონვერტი, გოფრირებული მუყაოს, ფანერის, ხის, პოლიმერული, პენოპლასტის მყარი ყუთი;

54.5.3. M ტომარასთვის - მყარი ჭილოფის ან პოლიეთილენის მასალისგან დამზადებული ტომარა;

54.5.4. EMS დოკუმენტისთვის - რბილი, ჰაერ-ბუშტოვან სარჩულიანი კონვერტი;

54.5.5. EMS ნივთისთვის - რბილი, ჰაერ-ბუშტოვან სარჩულიანი კონვერტი, გოფრირებული მუყაოს, ფანერის, ხის, პოლიმერული, პენოპლასტის მყარი ყუთი;

54.5.6. გამგზავნის მიერ გზავნილის შეფუთვა უნდა განხორციელდეს მისი წონის, ფორმისა და შიგთავსის მასალისა და ხასიათის (თხევადი, მსხვრევადი, მყარი და ა.შ.) მიხედვით, ასევე გზავნილის ტრანსპორტირების ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

54.6. გზავნილი უნდა იყოს შეფუთული იმაზე გათვლით, რომ:

- გაუძლოს დიდ მანძილზე ტრანსპორტირებას;
- მრავალჯერად გადატვირთვას ან დამუშავებას, დახარისხებას;
- კლიმატის, ტემპერატურისა და ატმოსფერული წნევის ცვალებადობას;
- ფიზიკურ ზემოქმედებას, ზეწოლას, ვიბრაციას, რყევას.

54.7. გზავნილი სათანადოდ შეფუთულად ითვლება მაშინ, თუ ის 80 კგ-ის ზეწოლისა და/ან 80 სმ სიმაღლიდან მყარ ზედაპირზე თავისუფალი ვარდნის შემდეგ დაუზიანებელი რჩება.

54.8. გამგზავნის მიერ შესაფუთი მასალის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს გზავნილის შიგთავსის სახეობა/თვისებები, მისი წონა და ფორმა. შესაფუთმა მასალამ და შიგთავსის სწორად შეფუთვამ უნდა უზრუნველყოს მისი დაცვა და მთლიანობის შენარჩუნება ტრანსპორტირებისას (მაგ. ყუთში სიცარიელის დატოვების შემთხვევაში, ის შესაძლოა დაიპრესოს/დაიჩუტოს, ხოლო ზედმეტად სავსე ყუთი - პირიქით, შინაგანი ზემოქმედების შედეგად გასკდეს).

54.9. თუ გზავნილში რამოდენიმე ნივთია მოთავსებული, აღნიშნული ნივთები უნდა შეიფუთოს ცალ-ცალკე და ამის შემდეგ მოხდეს მათი მყარად მოთავსება გასაგზავნ შეფუთვაში.

54.10. მნიშვნელოვანია, რომ გზავნილის რყევის შემთხვევაში მასში მოთავსებული ნივთები არ მოძრაობდეს. შიგთავსის მოძრაობის შესაზღუდად გზავნილის შიგნით რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას შემდეგი შემავსებელი მასალები:

- მუყაო;
- გაზეთი;
- ჰაერ-ბუშტოვანი ცელოფანი;
- პოროლონის ღრუბელი;
- პენოპლასტი;
- კრაფტის ქაღალდი.

54.11. გზავნილი ყველა მხრიდან მყარად უნდა იყოს დახურული, რათა გამოირიცხოს ტრანსპორტირებისა და დამუშავების პროცესში გზავნილიდან ნივთის გადმოვარდნა. ამ მიზნით გამგზავნმა უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

54.11.1. კონვერტის გამოყენების შემთხვევაში მასში არ მოათავსოს დოკუმენტის/ნივთის ის რაოდენობა, რომელსაც ვერ გაუძლებს კონვერტის თვითწებადი ნაწილი და გაიხსნება, ან კონვერტი ნებისმიერ სხვა ადგილას გასკდება;

54.11.2. ყუთის ან შეფუთვის სხვა სახეობის გამოყენებისას გზავნილის დალუქვა უნდა მოხდეს სულ მცირე 5 სმ-იანი თვითწებადი ლენტის მთელი გზავნილის ირგვლივ არანაკლებ სამჯერადი შემოტარებით.

54.12. შიგთავსის სახეობის მიხედვით დაცული უნდა იყოს შეფუთვის შემდეგი წესები:

54.12.1. **ცხიმის შემცველი ნივთიერებები,** რომლებიც ადვილად არ გადაიქცევა სითხედ, როგორიცაა საცხები, ნახევრად თხევადი საპონი, ფისი და სხვა, პირველადი შესაფუთი მასალით (ყუთი, ნაჭრის ტომარა, პლასტმასის კონტეინერი და სხვ.) უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული შიგთავსის გაჟონვა.

54.12.2. **მშრალი საღებავი ფხვნილები,** როგორიცაა მეთილენის ლურჯი და სხვა, დაიშვება მხოლოდ ჰერმეტულად დახურულ ლითონის ყუთებში, რომლებიც, თავის მხრივ, განთავსებული უნდა იქნას შესაბამისი შემწოვი და დამცავი მასალით ამოვსებულ მყარ ყუთებში.

54.12.3. **მშრალი არასაღებავი ფხვნილები** უნდა მოთავსდეს მყარ კონტეინერებში (ყუთი, ტომარა), რომლებიც, თავის მხრივ, მოთავსდება მყარ ყუთებში.

54.12.4. **მინისგან დამზადებული ან სხვა მსხვრევადი/მტვრევადი ნივთები** უნდა შეიფუთოს ჰაერ-ბუშტოვანი ცელოფნით, ქსოვილით ან სხვა მსგავსი შესაფუთი მასალით და მოთავსდეს მყარ ყუთში, რომელიც ამოვსებული იქნება შესაბამისი დამცავი მასალით, რათა ტრანსპორტირების პროცესში თავიდან იქნას აცილებული ნივთსა და ყუთის კედლებს შორის ხახუნი, ხოლო თუ გზავნილში რამდენიმე ნივთია - ასევე ამ ნივთებს შორის ხახუნი.

54.12.5. **წვეტიანი ან ბასრი ნივთები** უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში, ხოლო თავად ყუთში - წვეტიანი და ბასრი ნაწილები უნდა შეიფუთოს ისეთი მასალით (ჰაერ-ბუშტოვანი ცელოფანი, თვითწებადი ლენტი და ა.შ.), რომელიც უზრუნველყოფს როგორც ნივთის უსაფრთხოებას ტრანსპორტირების დროს, ასევე ყუთის შესაძლო დაზიანების შემთხვევაში დაიცავს სხვა გზავნილებს დაზიანებისგან.

54.12.6. ძვირფასი ქვები/ლითონები ან მათი ნაკეთობები უნდა მოთავსდეს მყარი ლითონის ან ხის ყუთში, რომლის კედლის სისქეც მინიმუმ 1 სმ იქნება. ამასთან,

თუ ხის ყუთი დამზადებული იქნება ფანერისგან, მისი სისქე შეიძლება იყოს 5 მმ-მდე იმ პირობით, რომ ყუთის კიდეები გამაგრებული იქნება კუთხოვანებით.

მუხლი 55. აკრძალვები და შეზღუდვები საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ

55.1. დაუშვებელია ისეთი საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის გაგზავნა, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე დოკუმენტითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის, აკრძალულია საფოსტო გზავნილის გაგზავნა თაღლითობის ხელშესაწყობად ან გადასახდელი თანხის გადახდის თავიდან არიდების მიზნით.

55.2. საფოსტო გზავნილით აკრძალულია შემდეგი დოკუმენტების/ნივთების გაგზავნა:

55.2.1. ნარკოტიკები და ფსიქოტროპული ნივთიერებები, ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის განსაზღვრების შესაბამისად, ან დანიშნულების ქვეყანაში აკრძალული სხვა ნივთიერებები;

55.2.2. ნებისმიერი საგნები, რომლებიც დაკავშირებულია პედოფილიასა და ბავშვთა პორნოგრაფიასთან;

55.2.3. უხამსი ან ამორალური ხასიათის საგნები;

55.2.4. კონტრაფაქტული და მეკობრული საგნები;

55.2.5. ფულის ნიშნები;

55.2.6. მიმდინარე და პირადი მიმოწერის შემცველი დოკუმენტები, გაგზავნილი იმ პირების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ გამგზავნს, ადრესატს ან მათთან მცხოვრებ პირებს;

55.2.7. საგნები, რომლებიც თავიანთი ხასიათით ან შეფუთვით შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს ფოსტის თანამშრომლებს ან მესამე პირებს, აბინძურებდეს ან აფუჭებდეს სხვა გზავნილებს, საფოსტო ტექნიკას ან მესამე პირის საკუთრებას;

55.2.8. სახიფათო ტვირთის კატეგორიას მიკუთვნებული საგნები, მათ შორის:

- ❖ ინერტული ფეთქებადი მოწყობილობა და საბრძოლო მასალა, მათ შორის, ინერტული ყუმბარები და ჭურვები და სხვა ანალოგიური საგნები, ასევე ასეთი მოწყობილობების და საგნების მულაჟები;
- ❖ აალებადი ნივთიერებები;
- ❖ რადიაქტიული ნივთიერებები;
- ❖ ინფექციური ნივთიერებები;
- ❖ ლითიუმის ელემენტები და ლითიუმის ბატარიები (როგორც ცალკე, ასევე მოწყობილობაში მოთავსებული).

55.3. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების/ნივთების გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი შეზღუდვებით:

55.3.1. აკრძალულია ცოცხალი ცხოველების გაგზავნა, გარდა შემდეგი გამონაკლისებისა:

- მცირე პაკეტით შესაძლოა გაიგზავნოს ფუტკრები, წურბელები და აბრეშუმის ჭიები;
- მცირე პაკეტით და მხოლოდ უფლებამოსილ ორგანოებს/დაწესებულებებს შორის შესაძლოა გაიგზავნოს პარაზიტები და მავნებლების გამანადგურებელი მწერები მათი კვლევის მიზნით;
- მცირე პაკეტით და მხოლოდ უფლებამოსილ ორგანოებს/დაწესებულებებს შორის შესაძლოა გაიგზავნოს დროსოფილის ოჯახის ბუზები, განკუთვნილი ბიოსამედიცინო კვლევისთვის;

55.3.2. საკოლექციო მონეტების ან წარმომდგენის სასარგებლოდ ანაზღაურებას დაქვემდებარებული ნებისმიერი სახის ფასიანი ქაღალდების, სამგზავრო ჩეკების, საბანკო ბარათების, პლატინის, ოქროს ან ვერცხლის, ძვირფასი ქვების, საიუველირო ნაწარმის და სხვა ძვირფასი ნივთების გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ დაზღვევით;

55.3.3. ბეჭდვითი გამოცემების და უსინათლოთათვის განკუთვნილი საფოსტო გზავნილების გაგზავნა შესაძლებელია ანოტაციის და რაიმე მიმდინარე ან პირადი მიმოწერის შინაარსის მქონე დოკუმენტების გარეშე.

55.4. ნებისმიერი ქვეყანა უფლებამოსილია წინამდებარე დოკუმენტის **55.2.-55.3**. პუნქტებით განსაზღვრული აკრძალვებისა და შეზღუდვების გარდა, საკუთარ ქვეყანაში შემავალი საფოსტო გზავნილების შიგთავსის მიმართ დაადგინოს დამატებითი აკრძალვები და შეზღუდვები. შესაბამისად, კონკრეტულ ქვეყანაში საფოსტო გზავნილის გაგზავნისას წინამდებარე დოკუმენტის **55.2.-55.3**. პუნქტებით განსაზღვრულ აკრძალვებთან და შეზღუდვებთან ერთად, ასევე მოქმედებს შესაბამისი ქვეყნის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

55.5. თუ საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია დამატებითი დოკუმენტის (ნებართვის) წარდგენის ვალდებულება, ასეთი გზავნილის გაგზავნა განხორციელდება გამგზავნის მიერ მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

55.6. შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია უარი თქვას საფოსტო გზავნილის გაგზავნაზე, თუ მიიჩნევს, რომ საფოსტო გზავნილი შეიცავს წინამდებარე დოკუმენტის **55.2**. პუნქტით განსაზღვრულ აკრძალულ შიგთავსს, ან იგზავნება წინამდებარე დოკუმენტის **55.3.** პუნქტით დადგენილი შეზღუდვების გაუთვალისწინებლად.

55.7. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილი დანიშნულების ქვეყანაში გაგზავნამდე გადის უსაფრთხოებისა და საბაჟო კონტროლს. თუ აღნიშნული პროცედურის გავლისას საფოსტო გზავნილში აღმოჩენილი იქნება დოკუმენტი/ნივთი, რომლის გაგზავნაც

აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით, ან მისი გადაზიდვა შესაძლოა საფრთხის შემქმნელი იყოს სატრანსპორტო საშუალებისთვის, ასეთი საფოსტო გზავნილი დაექვემდებარება ამოღებას და/ან გამგზავნისათვის დაბრუნებას.

თავი 19. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის საქართველოდან გაგზავნისა და დანიშნულების ქვეყანაში ტრანსპორტირების ვადები

მუხლი 56. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის საქართველოდან გაგზავნის ვადები

56.1. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის საქართველოდან გაგზავნის ვადებია:

- 1 (ერთი) სამუშაო დღე მისი გასაგზავნად მიღებიდან, თუ საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილი მიღებულია ქ. თბილისში;
- 2 (ორი) სამუშაო დღე მისი გასაგზავნად მიღებიდან, თუ საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილი მიღებულია ადმინისტრაციულ ერთეულში, ქ. თბილისისა და სპეციალური ადმინისტრაციული ერთეულების გარდა;
- 3 (სამი) სამუშაო დღე მისი გასაგზავნად მიღებიდან, თუ საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილი მიღებულია სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში.

მუხლი 57. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ტრანსპორტირების ვადები

57.1. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ტრანსპორტირების ვადებია:

- ევროპის ქვეყნები - 3 (სამი) სამუშაო დღე - საერთაშორისო საფოსტო გზავნილის საქართველოდან გაგზავნის მომდევნო დღიდან;
- სხვა ქვეყნები, ევროპის გარდა - 6 (ექვსი) სამუშაო დღე - საერთაშორისო საფოსტო გზავნილის საქართველოდან გაგზავნის მომდევნო დღიდან.

თავი 20. დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ საფოსტო გზავნილის მიღება და მისი ადრესატისთვის ჩაბარება

მუხლი 58. დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ საფოსტო გზავნილის მიღება

58.1. დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაცია, საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის მიღების შემდეგ, მას გადასცემს საბაჟო ორგანოს, გზავნილის საბაჟო კონტროლის გავლის მიზნით.

58.2. საბაჟო ორგანო, როგორც შპს „საქართველოს ფოსტისგან“, ასევე დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციისგან დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს, თუ რა ღონისძიებები გაატაროს კონკრეტულ საფოსტო გზავნილთან მიმართებაში. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია საბაჟო შემოწმების შემდეგ დაუყოვნებლივ დაუბრუნოს საფოსტო გზავნილი დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას მისი ადრესატისთვის ჩაბარების მიზნით, მიიღოს გადაწყვეტილება საფოსტო გზავნილის შეჩერების შესახებ, გახსნას და დაათვალიეროს შიგთავსი, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენა, მათ შორის, თუ ჩათვლის, რომ საფოსტო გზავნილის შიგთავსი არასწორად/არასრულად ან/და არასწორი ღირებულებით არის დეკლარირებული. საფოსტო გზავნილში აკრძალული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს უარი თქვას ქვეყანაში მის შეშვებაზე და მოახდინოს ნივთის ჩამორთმევა ან გზავნილის გამომგზავნ ქვეყანაში დაბრუნება.

58.3. თუ საფოსტო გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ტრანსპორტირება ტრანზიტული ქვეყნის გამოყენებით ხდება, ტრანზიტული ქვეყნის საბაჟო ორგანოს ასევე უფლება აქვს შეაჩეროს საფოსტო გზავნილი, თუ ჩათვლის, რომ გზავნილის შიგთავსი არასწორად/არასრულად არის დეკლარირებული ან შეიცავს აკრძალულ ნივთს. ასეთი გზავნილი შეიძლება დაექვემდებაროს ჩამორთმევას ან უკან დაბრუნებას.

58.4. საფოსტო გზავნილი, მისი გაგზავნის მიზნისა (საჩუქრად, კომერციული დანიშნულებით გაგზავნილი თუ სხვა) და დეკლარირებული ღირებულების მიუხედავად, დანიშნულების ქვეყანაში შესვლისას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლებელია დაექვემდებაროს დაბეგვრას. ასეთ შემთხვევაში საფოსტო გზავნილი საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლოა არ ჩაბარდეს ადრესატს გზავნილის დეკლარირებამდე ან/და შესაბამისი გადასახადის გადახდამდე. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში საფოსტო გზავნილი ბრუნდება უკან.

58.5. საერთაშორისო საფოსტო გზავნილი, რომელიც გაივლის საბაჟო შემოწმებას, გადაეცემა დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას მისი ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით.

მუხლი 59. დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება

59.1.საფოსტო გზავნილი დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ ადრესატს ბარდება შემდეგი წესის დაცვით:

59.1.1. საფოსტო ბარათის, ასევე მარტივი და მარტივი პლიუს წერილის ჩაბარება როგორც წესი ხორციელდება მისი ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში მოთავსების გზით. ამასთან, თუ ადრესატს არ აქვს სააბონენტო საფოსტო ყუთი, ან მარტივი ან მარტივი პლიუს წერილის ზომის გამო გზავნილის სააბონენტო საფოსტო ყუთში მოთავსება შეუძლებელია, ან თუ ასეთი წერილის წონა აჭარბებს 500 გრ-ს, გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება განხორციელდება სხვა ალტერნატიული გზით, დანიშნულების ქვეყანაში დადგენილი წესის შესაბამისად. მომხმარებელს საშუალება აქვს გზავნილების საძიებო სისტემის საშუალებით თვალყური ადევნოს მარტივი პლიუს წერილის განვლადობისა და მისი ჩაბარების შესახებ ინფორმაციას.

59.1.2. მარტივი და მარტივი პლიუს მცირე პაკეტის ჩაბარების წესი დგინდება დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ. მომხმარებელს საშუალება აქვს გზავნილების საძიებო სისტემების საშუალებით თვალყური ადევნოს მარტივი პლიუს მცირე პაკეტის განვლადობისა და მისი ჩაბარების შესახებ ინფორმაციას.

59.1.3. რეგისტრირებული და დაზღვეული წერილის, M ტომარისა და ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება ადრესატის ან დანიშნულების ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით ან დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ჩაბარების სხვა ალტერნატიული მეთოდით, რომელიც უზრუნველყოფს გზავნილის ჩაბარების ფაქტის დადასტურების საშუალებას. 500 გრ-მდე რეგისტრირებული და დაზღვეული წერილის ჩაბარება ხორციელდება ადრესატის მისამართზე. თუმცა დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ადრესატის მისამართზე ჩაბარებას შესაძლოა ასევე დაექვემდებაროს როგორც 500 გრ-ზე მეტი წონის წერილები, ასევე M ტომარა და ამანათი. მომხმარებელს საშუალება აქვს გზავნილების საძიებო სისტემის საშუალებით თვალყური ადევნოს გზავნილის განვლადობისა და მისი ჩაბარების შესახებ ინფორმაციას. მას ასევე უფლება აქვს შპს „საქართველოს ფოსტას“

მოსთხოვოს გზავნილის განვლადობისა და ჩაბარების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.

59.1.4. EMS გზავნილის (როგორც დოკუმენტის, ასევე ნივთის) ჩაბარება ხდება ადრესატის მისამართზე უშუალოდ ადრესატის ან დანიშნულების ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. ამასთან, თუ გამგზავნი EMS გზავნილის გაგზავნისას, ადრესატის მისამართად მიუთითებს სააბონენტო საფოსტო ყუთის ნომერს, EMS გზავნილის ჩაბარება განხორციელდება ადრესატის ხელმოწერის გარეშე, მისი სააბონენტო საფოსტო ყუთში მოთავსებით. მომხმარებელს საშუალება აქვს გზავნილების საძიებო სისტემის საშუალებით თვალყური ადევნოს EMS გზავნილის განვლადობისა და მისი ჩაბარების შესახებ ინფორმაციას. მას ასევე უფლება აქვს შპს „საქართველოს ფოსტას“ მოსთხოვოს გზავნილის განვლადობისა და ჩაბარების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.

59.1.5. საფოსტო გზავნილი, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთან იგზავნება, მიუხედავად საფოსტო გზავნილის სახეობის და კატეგორიისა, ბარდება დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ პირს, დადგენილი წესით.

59.2. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ჩაბარების ვადები დგინდება თითოეული დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ და საფოსტო გზავნილის სახეობების მიხედვით შეადგენს:

59.2.1. EMS გზავნილისთვის - 1 (ერთი) სამუშაო დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღემდე, საფოსტო გზავნილის დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციისათვის გადაცემის დღიდან;

59.2.2. ყველა სახეობის საფოსტო გზავნილისთვის, გარდა EMS გზავნილისა - 2 (ორი) სამუშაო დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღემდე, საფოსტო გზავნილის დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციისთვის გადაცემის დღიდან.

59.3. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საფოსტო გზავნილის შეჩერების შემთხვევაში, საფოსტო გზავნილის ჩაბარების ვადის დინება ჩერდება და ეს პერიოდი მხედველობაში არ მიიღება ჩაბარების ვადის გამოთვლისას.

თავი 21. ჩაუბარებელი საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადები და მისი უკან დაბრუნების წესი

მუხლი 60. ჩაუბარებელი საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადები და მისი უკან დაბრუნების წესი

60.1. თუ საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის ჩაბარება ვერ ხორციელდება ადრესატისათვის, ის ინახება დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული შემდეგი ვადით:

- EMS გზავნილი - 15 (თხუთმეტი) დღე;
- ყველა სახეობის საფოსტო გზავნილი, გარდა EMS გზავნილისა - დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით - 15 (თხუთმეტი) დღიდან 30 (ოცდაათი) დღემდე.

60.2. თუ საფოსტო გზავნილის ჩაბარებაზე ადრესატი უარს განაცხადებს, გზავნილი შესაძლებელია უკან დაბრუნდეს წინამდებარე დოკუმენტის **60.1.** პუნქტით განსაზღვრული ვადის დაუცველად.

60.3. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილი, რომელიც ვერ ჩაბარდება ადრესატს და გაუვა წინამდებარე დოკუმენტის **60.1.** პუნქტით განსაზღვრული შენახვის ვადა, დაბრუნდება უკან გამომგზავნთან. ამასთან, დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაცია შპს „საქართველოს ფოსტისგან“ დამოუკიდებლად განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალების სახეობას (საჰაერო, სახლემეთო, საზღვაო), აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში იმ ტრანზიტულ ქვეყანას, რომლის გავლითაც მოახდენს საფოსტო გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ დაბრუნებას.

60.4. დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას უფლება აქვს შპს „საქართველოს ფოსტას“ წარუდგინოს საფოსტო გზავნილის უკან დაბრუნების ხარჯის ანგარიში. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება მოხდება გამგზავნის მიერ, დაბრუნებული საფოსტო გზავნილის მისთვის ჩაბარებამდე.

კარი IV
საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილი

თავი 22. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის სახეები და კატეგორიები

მუხლი 61. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის სახეები

61.1. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის სახეებია:

- საფოსტო ბარათი;
- წერილი;
- მცირე პაკეტი;
- M ტომარა;
- ამანათი;
- EMS გზავნილი (დოკუმენტი/ნივთი).

მუხლი 62. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის კატეგორიები

62.1.საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის სახეები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

62.1.1. საფოსტო ბარათის კატეგორიაა:

- ✓ მარტივი.

62.1.2. წერილის კატეგორიებია:

- ✓ მარტივი;
- ✓ მარტივი პლიუს;
- ✓ რეგისტრირებული;
- ✓ დაზღვეული.

62.1.3. **მცირე პაკეტის კატეგორიებია:**

- ✓ მარტივი;
- ✓ მარტივი პლიუს;
- ✓ რეგისტრირებული (მიიღება მხოლოდ ცალკეული ქვეყნებიდან, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე).

62.1.4. **M ტომარას კატეგორიებია:**

- ✓ მარტივი;
- ✓ მარტივი პლიუს;

- ✓ რეგისტრირებული;
- ✓ დაზღვეული.

62.1.5. ამანათის კატეგორიებია:

- ✓ რეგისტრირებული;
- ✓ დაზღვეული.

62.1.6. **EMS გზავნილის (დოკუმენტი/ნივთი) კატეგორიებია:**

- ✓ სტანდარტული;
- ✓ დაზღვეული.

თავი 23. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის საქართველოში მიღება

მუხლი 63. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის საქართველოში მიღება

63.1. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის საქართველოში ტრანსპორტირებასა და მისი შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემას უზრუნველყოფს საფოსტო გზავნილის გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაცია.

63.2. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის საქართველოში მიღებას შპს „საქართველოს ფოსტა“ ახორციელებს საერთაშორისო გაცვლის ცენტრში, რის შემდეგაც საფოსტო გზავნილი გადის საბაჟო შემოწმებას.

63.3. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის საბაჟო შემოწმებისას, საბაჟო ორგანო შპს „საქართველოს ფოსტისგან“ დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს, თუ რა ღონისძიებები გაატაროს კონკრეტულ საფოსტო გზავნილთან მიმართებაში. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია საბაჟო შემოწმების შემდეგ დაუყოვნებლივ დაუბრუნოს საფოსტო გზავნილი შპს „საქართველოს ფოსტას“ მისი ადრესატისთვის ჩაბარების მიზნით, მიიღოს გადაწყვეტილება საფოსტო გზავნილის შეჩერების შესახებ, გახსნას და დაათვალიეროს შიგთავსი, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენა, მათ შორის, თუ ჩათვლის, რომ საფოსტო გზავნილის შიგთავსი არასწორად/არასრულად ან/და არასწორი ღირებულებით არის დეკლარირებული. საფოსტო გზავნილში აკრძალული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს უარი თქვას ქვეყანაში მის შეშვებაზე და მოახდინოს ნივთის ჩამორთმევა ან გზავნილის გამომგზავნ ქვეყანაში დაბრუნება.

63.4. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საფოსტო გზავნილის შეჩერების შემთხვევაში, საფოსტო გზავნილის ჩაბარების ვადის დინება ჩერდება.

63.5. საფოსტო გზავნილის საქართველოში შემოსვლის შემდეგ, მისი სავალდებულო საბაჟო დეკლარირების საჭიროებისა და დაბეგვრის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო ორგანო, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია საფოსტო გზავნილის ადრესატი, რომელიც ვალდებულია საფოსტო გზავნილის დეკლარირება მოახდინოს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მისი მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ან ამავე ვადაში განაცხადოს თანხმობა საფოსტო გზავნილის სახელმწიფოსთვის გადაცემაზე. საფოსტო გზავნილის დეკლარირებამდე, მისი ადრესატისთვის ჩაბარება არ ხდება. ადრესატის მიერ საფოსტო გზავნილის დეკლარირების ვადის დაუცველობის შემთხვევაში, საფოსტო გზავნილი შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დაბრუნდება უკან გამომგზავნ ქვეყანაში მისი გამგზავნისთვის ჩაბარების მიზნით.

63.6. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილი, რომელიც გაივლის საბაჟო შემოწმებას, გადაეცემა შპს „საქართველოს ფოსტას“, დახარისხდება ადრესატის მომსახურე სერვისცენტრის მიხედვით და ჩაბარდება ადრესატს, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესით.

თავი 24. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო ბარათის მახასიათებლები და მისი ჩაბარება

მუხლი 64. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო ბარათის მახასიათებლები

64.1. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო ბარათი არის მარტივი კატეგორიის საფოსტო გზავნილი.

64.2. საერთაშორისო შემომავალ მარტივ საფოსტო ბარათს არ აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერის გარეშე, მის შესახებ ინფორმაცია ვერ გაიცემა, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

მუხლი 65. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო ბარათის ადრესატისთვის ჩაბარება

65.1. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო ბარათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება შემდეგი წესის დაცვით:

65.1.1. კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს;

65.1.2. საფოსტო ბარათი ჩაბარებულად ითვლება, თუ ის მოთავსებულია ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან თუ ის

გადაცემულია ადრესატისთვის, ან მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც კურიერს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს და განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად.

65.1.3. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, კურიერი საფოსტო ბარათის შესახებ შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ. სადარბაზოს კარი, ადრესატის კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება. შეტყობინების დატოვებით შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე საფოსტო ბარათის არსებობის შესახებ;

65.2. თუ საფოსტო ბარათი იგზავნება „მოკითხვამდე“ პირობით, მასზე ადრესატის მისამართზე შეტყობინების დატოვება არ ხდება. ასეთი გზავნილი რჩება სერვისცენტრში, სადაც ადრესატს საშუალება აქვს ჩაიბაროს ის.

65.3. თუ ადრესატს მისამართზე ვერ ჩაბარდა საფოსტო ბარათი, მისი სერვისცენტში ჩაბარება შეუძლია:

65.3.1. ადრესატი ფიზიკური პირის შემთხვევაში - თავად ადრესატს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე, ან მის ნაცვლად მინდობილ პირს, რომელმაც საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს ადრესატის მიერ სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

65.3.2. ადრესატი იურიდიული პირის შემთხვევაში - მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

65.3.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია საფოსტო ბარათის ჩაბარება განახორციელოს სხვა ალტერნატიული მეთოდითაც, რომელიც დაადასტურებს ადრესატის ნების შესაბამისად გზავნილის ჩაბარების ფაქტს.

თავი 25. საერთაშორისო შემომავალი წერილის მახასიათებლები და მისი ჩაბარება

მუხლი 66. საერთაშორისო შემომავალი წერილის მახასიათებლები

66.1. გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციისგან შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიღებულ წერილს აქვთ შემდეგი მახასიათებლები:

66.1.1. **მარტივი** - არ აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერის გარეშე, მის შესახებ ინფორმაცია ვერ გაიცემა, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

66.1.2. **მარტივი პლიუს** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ალტერნატიული წესით, მის შესახებ გაიცემა ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემებში დაცული ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

66.1.3. **რეგისტრირებული** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში;

66.1.4. **დაზღვეული** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დაზღვეული თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 2000 სსუ (SDR) -სა.

მუხლი 67. საერთაშორისო შემომავალი წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება

67.1. <u>საერთაშორისო შემომავალი მარტივი წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება</u>

67.1.1. საერთაშორისო შემომავალი მარტივი წერილის ჩაბარების მიზნით კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს.

67.1.2. მარტივი წერილი ჩაბარებულად ითვლება, თუ ის მოთავსებულია ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან ის გადაცემულია ადრესატისთვის, ან მის მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც კურიერს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს და განაცხადებს, რომ იცნობს ადრესატს.

67.1.3. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, კურიერი მარტივი წერილის შესახებ შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ. სადარბაზოს კარი, ადრესატის კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

შეტყობინების დატოვებით, შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე მარტივი წერილის არსებობის შესახებ.

67.2. <u>საერთაშორისო შემომავალი მარტივი პლიუს და რეგისტრირებული წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება</u>

67.2.1. ადრესატის მისამართზე ჩაბარებას ექვემდებარება:

- ✓ <u>500 გრ-მდე წონის მარტივი პლიუს წერილი, თუ მას არ აქვს რაიმე ნაკლი და მასზე არ არის მოთხოვნილი სავალდებულო საბაჟო დეკლარირება;</u>
- ✓ <u>500 გრ-მდე წონის რეგისტრირებული წერილი, თუ მას არ აქვს რაიმე ნაკლი და მასზე არ არის მოთხოვნილი სავალდებულო საბაჟო დეკლარირება.</u>

67.2.2. მარტივი პლიუს და რეგისტრირებული წერილის ჩაბარების მიზნით კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს.

67.2.3. მარტივი პლიუს და რეგისტრირებული წერილი, **რომლის ადრესატიც ფიზიკური პირია,** უნდა ჩაბარდეს შემდეგი წესის დაცვით:

- ➢ თუ ადრესატის მისამართად მითითებულია მისი საცხოვრებელი ბინის/სახლის მისამართი, საფოსტო გზავნილი ბარდება როგორც უშუალოდ ადრესატს, ასევე ადრესატის მისამართზე მყოფ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს წარუდგენს საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს და განუცხადებს, რომ ცხოვრობს ამ მისამართზე და იცნობს ადრესატს. თუ წერილის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, მას გზავნილი იმ შემთხვევაში ბარდება, თუ ის ფლობს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს. სხვა შემთხვევაში, გზავნილი ბარდება მისამართზე მყოფ სრულწლოვან პირს;
- ➢ თუ ადრესატის მისამართად მითითებულია იურიდიული პირის მისამართი, წერილი ბარდება უშუალოდ ადრესატს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), წერილი შეიძლება ჩაბარდეს იქ მომუშავე ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს განუცხადებს, რომ იცნობს ადრესატს და წარუდგენს საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს.

67.2.4. მარტივი პლიუს და რეგისტრირებული წერილი, **რომლის ადრესატიც იურიდიული პირია,** უნდა ჩაბარდეს შემდეგი წესის დაცვით:

- ➢ თუ ადრესატად მითითებულია მხოლოდ იურიდიული პირის სახელწოდება, ან იურიდიული პირის სახელწოდებასთან ერთად მითითებულია კონკრეტული

ფიზიკური პირიც, გზავნილი ბარდება შესაბამის ფიზიკურ პირს, დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ შესაბამისი ფიზიკური პირი არ იმყოფება მისამართზე, ან დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), გზავნილი შეიძლება ჩაბარდეს იქ მომუშავე ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს განუცხადებს, რომ იცნობს შესაბამის ფიზიკურ პირს და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს;

- თუ იურიდიული პირის მისამართად მითითებულია საცხოვრებელი ბინის/სახლის მისამართი, ამ მისამართზე მყოფი სრულწლოვანი პირისათვის გადაცემული წერილი ითვლება სათანადო წესით ჩაბარებულად, თუ ასეთი პირი კურიერს განუცხადებს რომ ცხოვრობს/მუშაობს აღნიშნულ მისამართზე, იცის ადრესატის შესახებ და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს.

67.2.5. მარტივი პლიუს და რეგისტრირებული წერილების ადრესატის მისამართზე ჩაბარება ხორციელდება კურიერის მიერ გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და გზავნილის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ.

67.2.6. თუ რაიმე მიზეზით კურიერი ვერ ახერხებს მარტივი პლიუს ან რეგისტრირებული წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარებას (მაგ. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, ან კურიერს არავინ დახვდა ადრესატის მისამართზე, ან პირი, რომელიც დახვდა მისამართზე, არ არის უფლებამოსილი ჩაიბაროს საფოსტო გზავნილი, ან პირი (თუ ის არ არის უშუალო ადრესატი) უარს განაცხადებს მის ჩაბარებაზე და სხვა), კურიერი ტოვებს შეტყობინებას, რომელშიც მიუთითებს სერვისცენტრის მისამართს, სადაც ადრესატს შეუძლია გზავნილის ჩაბარება. შეტყობინების დატოვებით შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე წერილის არსებობის შესახებ.

67.2.7. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე

უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

67.3. **საერთაშორისო შემომავალი დაზღვეული წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება**

67.3.1. ადრესატის მისამართზე ჩაბარებას ექვემდებარება:

- ✓ 500 გრ-მდე წონის დაზღვეული წერილი, თუ მას არ აქვს რაიმე ნაკლი და მასზე არ არის მოთხოვნილი სავალდებულო საბაჟო დეკლარირება.

67.3.2. კურიერი დაზღვეული წერილის ჩაბარების მიზნით ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს.

67.3.3. დაზღვეული წერილი, **რომლის ადრესატიც ფიზიკური პირია,** ბარდება პირადად ადრესატს. ამასთან, თუ დაზღვეული წერილის ადრესატს არასრულწლოვანი პირი წარმოადგენს, მისთვის წერილის ჩაბარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პირი ფლობს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს. სხვა შემთხვევაში, დაზღვეული წერილი ბარდება მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, დაბადების მოწმობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი სხვა შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

67.3.4. დაზღვეული წერილი, **რომლის ადრესატიც იურიდიული პირია,** უნდა ჩაბარდეს შემდეგი წესის დაცვით:

- ➢ თუ ადრესატად მითითებულია მხოლოდ იურიდიული პირის სახელწოდება, გზავნილი ბარდება დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), დაზღვეული წერილის ჩაბარება არ ხდება;
- ➢ თუ ადრესატად იურიდიული პირის სახელწოდების გარდა მითითებულია კონკრეტული ფიზიკური პირიც, გზავნილი ბარდება პირადად შესაბამის ფიზიკურ პირს, დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ შესაბამისი ფიზიკური პირი არ იმყოფება მისამართზე, ან დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), დაზღვეული წერილის ჩაბარება არ ხდება.

67.3.5. დაზღვეული წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება ხორციელდება კურიერის მიერ გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და წერილის მიღების დასტურად მის მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ.

67.3.6. თუ რაიმე მიზეზით კურიერი ვერ ახერხებს დაზღვეული წერილის ადრესატის მისამართზე ჩაბარებას (მაგ. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, ან კურიერს არავინ დახვდება ადრესატის მისამართზე, ან პირი, რომელიც დახვდება მისამართზე, არ არის უფლებამოსილი ჩაიბაროს საფოსტო გზავნილი და ა.შ.), კურიერი ტოვებს შეტყობინებას, რომელშიც მიუთითებს სერვისცენტრის მისამართს, სადაც ადრესატს შეუძლია დაზღვეული წერილის ჩაბარება. შეტყობინების დატოვებით შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე დაზღვეული წერილის არსებობის შესახებ.

67.3.7. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

მუხლი 68. საერთაშორისო შემომავალი წერილის სერვისცენტრში ჩაბარება

68.1. სერვისცენტრში ჩაბარებას ექვემდებარება შემდეგი საერთაშორისო შემომავალი წერილები:

68.1.1. <u>500 გრ-ზე მეტი წონის მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი;</u>

68.1.2. <u>წერილი, მიუხედავად მისი წონისა და კატეგორიისა, თუ ის ადრესატის მომსახურე სერვისცენტრში მიღებულია რაიმე ნაკლით (დაზიანებული, წონის სხვაობით და სხვა) ან საჭიროებს სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას;</u>

68.1.3. <u>წერილი, რომლის ჩაბარებაც ვერ განხორციელდა ადრესატის მისამართზე ვიზიტის განხორციელების დროს;</u>

68.1.4. <u>მოკითხვამდე პირობით გამოგზავნილი წერილი.</u>

68.2. წინამდებარე დოკუმენტის 68.1.1. და 68.1.2. ქვეპუნქტებით განსაზღვრული წერილების ჩაბარების მიზნით შპს „საქართველოს ფოსტა“ ადრესატს უგზავნის შეტყობინებას შემდეგი წესის დაცვით:

68.2.1. თუ გზავნილზე დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, იგზავნება SMS შეტყობინება, რომელიც შეიცავს მითითებას, თუ სად უნდა ჩაიბაროს ადრესატმა წერილი. SMS შეტყობინების გაგზავნით ადრესატი ითვლება ინფორმირებულად, მის სახელზე წერილის არსებობის შესახებ;

68.2.2. თუ გზავნილზე არ არის დატანილი ადრესატის ტელეფონის ნომერი, ან ამ ნომერზე ვერ ხორციელდება SMS შეტყობინების გაგზავნა, კურიერი ადრესატის მისამართზე ტოვებს შეტყობინებას, რომლითაც აცნობებს მის სახელზე გზავნილის არსებობის შესახებ. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

68.3. თუ საერთაშორისო შემომავალი წერილი „მოკითხვამდე“ პირობითაა გამოგზავნილი, მასზე ადრესატის მისამართზე შეტყობინების დატოვება არ ხდება. ასეთი წერილი რჩება სერვისცენტრში, სადაც ადრესატს შეუძლია მისი ჩაბარება.

68.4. საერთაშორისო შემომავალი წერილები, რომლებზეც დატოვებულია/გაგზავნილია შეტყობინება, აგრეთვე წერილები „მოკითხვამდე“ პირობით და წერილები, რომელთა ჩაბარებაც ვერ განხორციელდა კურიერის მიერ ადრესატის მისამართზე ვიზიტის განხორციელების დროს, ბარდება სერვისცენტში შემდეგი პირობების დაცვით:

68.4.1. თუ გზავნილზე მოთხოვნილია სავალდებულო საბაჟო დეკლარირება, ის შეიძლება ჩაბარდეს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს. ამასთან, თუ ადრესატი ფიზიკური პირია, გზავნილი ბარდება უშუალოდ ფიზიკურ პირს ან მის მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;

68.4.2. თუ **მარტივი, მარტივი პლიუს ან რეგისტრირებული** წერილის ადრესატია ფიზიკური პირი, ის შეიძლება ჩაბარდეს თავად ადრესატს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე, ან მის ნაცვლად მინდობილ პირს, რომელმაც საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს ადრესატის მიერ სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. თუ ადრესატი იურიდიული პირია, წერილი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია მარტივი პლიუს და/ან რეგისტრირებული წერილის ჩაბარება განახორციელოს სხვა ალტერნატიული მეთოდითაც, რომელიც დაადასტურებს ადრესატის ნების შესაბამისად წერილის ჩაბარების ფაქტს. ამასთან, თუ **რეგისტრირებულ** წერილს აქვს რაიმე ნაკლი და მიმღები უარს აცხადებს მის ჩაბარებაზე პრეტენზიის გარეშე, პრეტენზიის დაფიქსირების უფლება აქვს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს წერილის ჩაბარების მომენტში. წერილის მიმღების მიერ გამოთქმული პრეტენზია, რომელიც არ წარმოადგენს უშუალოდ ადრესატს, ან პრეტენზია, რომელიც დაფიქსირებულია წერილის ჩაბარების შემდეგ, არ ექვემდებარება განხილვას.

68.4.3. თუ **დაზღვეული** წერილის ადრესატია ფიზიკური პირი, ის შეიძლება ჩაბარდეს პირადად ადრესატს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე ან მის მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. თუ ადრესატი იურიდიული პირია, წერილი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;

68.4.4. მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული წერილების სერვისცენტრში ჩაბარება ხორციელდება გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და გზავნილის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ. თუ მიმღები პირი არ არის წერილის უშუალო ადრესატი, მიმღებთან ერთად ასევე მოითხოვება იმ ინფორმაციის მითითებაც, რომლის საფუძველზეც დგინდება ადრესატის ნება წერილი ჩაიბაროს მიმღებმა (მაგ. მინდობილობის მონაცემები, ადრესატისთვის გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდი და სხვა).

68.4.5. მარტივი წერილის სერვისცენტრში ჩაბარებისას მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირება და წერილის მიღების დასტურად ხელმოწერა არ ხორციელდება.

თავი 26. საერთაშორისო შემომავალი მცირე პაკეტის მახასიათებლები და მისი ჩაბარება

მუხლი 69. საერთაშორისო შემომავალი მცირე პაკეტის მახასიათებლები

69.1. გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციისგან შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიღებულ მცირე პაკეტს აქვთ შემდეგი მახასიათებლები:

69.1.1. **მარტივი** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი, თუმცა არ აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ალტერნატიული წესით, მის შესახებ შესაძლოა გაიცეს შპს „საქართველოს ფოსტის“ ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში დაცული ინფორმაცია, პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

69.1.2. **მარტივი პლიუს** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ალტერნატიული წესით, მის შესახებ გაიცემა ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემებში დაცული ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას;

69.1.3. **რეგისტრირებული** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში;

69.1.4. **დაზღვეული** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დაზღვეული თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 2000 სსუ (SDR) -სა.

მუხლი 70. საერთაშორისო შემომავალი მცირე პაკეტის ადრესატისთვის ჩაბარება

70.1. საერთაშორისო შემომავალი მცირე პაკეტის ჩაბარების მიზნით ადრესატს ეგზავნება შეტყობინება. ამასთან:

70.1.1. თუ საერთაშორისო შემომავალ მცირე პაკეტზე დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, იგზავნება SMS შეტყობინება, რომელიც შეიცავს მითითებას, თუ სად შეუძლია ადრესატს მცირე პაკეტის ჩაბარება. SMS შეტყობინების გაგზავნით ადრესატი ითვლება ინფორმირებულად მის სახელზე გზავნილის არსებობის შესახებ.

70.1.2. თუ მცირე პაკეტზე არ არის დატანილი ტელეფონის ნომერი, ან ამ ნომერზე ვერ ხორციელდება SMS შეტყობინების გაგზავნა, კურიერი ადრესატის მისამართზე ტოვებს შეტყობინებას, რომლითაც ადრესატს ეცნობება მის სახელზე გზავნილის

არსებობის შესახებ. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

70.1.3. მცირე პაკეტი, რომელზეც დატოვებულია/გაგზავნილია შეტყობინება, ბარდება სერვისცენტში. ამასთან:

- თუ ნებისმიერი კატეგორიის მცირე პაკეტზე მოთხოვნილია სავალდებულო საბაჟო დეკლარირება და გზავნილის ადრესატი ფიზიკური პირია, ის შეიძლება ჩაბარდეს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს ან მის მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. ამასთან, თუ მცირე პაკეტის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, გზავნილი ბარდება მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, დაბადების მოწმობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი სხვა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. თუ ადრესატი იურიდიული პირია, მცირე პაკეტი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;
- თუ მცირე პაკეტი **მარტივი, მარტივი პლიუს** ან **რეგისტრირებული** კატეგორიისაა და მისი ადრესატია ფიზიკური პირი, ის შეიძლება ჩაბარდეს თავად ადრესატს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე, ან მის ნაცვლად მინდობილ პირს, რომელმაც საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს ადრესატის მიერ სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. თუ ადრესატი იურიდიული პირია, მცირე პაკეტი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე.

შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია მარტივი, მარტივი პლიუს და/ან რეგისტრირებული მცირე პაკეტის ჩაბარება განახორციელოს სხვა ალტერნატიული მეთოდითაც, რომელიც დაადასტურებს ადრესატის ნების შესაბამისად მცირე პაკეტის ჩაბარების ფაქტს. ამასთან, თუ **რეგისტრირებულ** მცირე პაკეტს აქვს რაიმე

ნაკლი და მიმღები უარს აცხადებს მის ჩაბარებაზე პრეტენზიის გარეშე, პრეტენზიის დაფიქსირების უფლება აქვს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს მცირე პაკეტის ჩაბარების მომენტში. მცირე პაკეტის მიმღების მიერ გამოთქმული პრეტენზია, რომელიც არ წარმოადგენს უშუალოდ ადრესატს, ან პრეტენზია, რომელიც დაფიქსირებულია მცირე პაკეტის ჩაბარების შემდეგ, არ ექვემდებარება განხილვას.

- თუ მცირე პაკეტი **დაზღვეული** კატეგორიისაა და მისი ადრესატი ფიზიკური პირია, ის შეიძლება ჩაბარდეს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს ან მის მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. ამასთან, თუ დაზღვეული მცირე პაკეტის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, გზავნილი ბარდება მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, დაბადების მოწმობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი სხვა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. თუ ადრესატი იურიდიული პირია, დაზღვეული მცირე პაკეტი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

70.2. თუ საერთაშორისო შემომავალი მცირე პაკეტი გაგზავნილია **მოკითხვამდე პირობით,** მასზე ადრესატის მისამართზე შეტყობინების დატოვება არ ხდება. მოკითხვამდე პირობით მცირე პაკეტი რჩება სერვისცენტრში, სადაც წინამდებარე დოკუმენტის 70.1.3. ქვეპუნქტში აღნიშნულ პირებს შეუძლიათ მისი ჩაბარება.

70.3. მცირე პაკეტის სერვისცენტრში ჩაბარება ხორციელდება გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და გზავნილის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ. თუ მიმღები არ არის მცირე პაკეტის უშუალო ადრესატი, მიმღებთან ერთად ასევე მოითხოვება იმ ინფორმაციის მითითებაც, რომლის საფუძველზეც დგინდება ადრესატის ნება მცირე პაკეტი ჩაიბაროს მიმღებმა (მაგ. მინდობილობის მონაცემები, ადრესატისთვის გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდი და სხვა).

თავი 27. საერთაშორისო შემომავალი M ტომარას მახასიათებლები და მისი ჩაბარება

მუხლი 71. საერთაშორისო შემომავალი M ტომარას მახასიათებლები

71.1. გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციისგან შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიღებულ M ტომარას აქვს შემდეგი მახასიათებლები:

71.1.1. **მარტივი** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი, თუმცა არ აქვს თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ალტერნატიული წესით, მის შესახებ შესაძლოა გაიცეს შპს „საქართველოს ფოსტის“ ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში დაცული ინფორმაცია, პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

71.1.2. **მარტივი პლიუს** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით ან შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ალტერნატიული წესით, მის შესახებ გაიცემა ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემებში დაცული ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას;

71.1.3. **რეგისტრირებული** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში;

71.1.4. **დაზღვეული** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დაზღვეული თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 2000 სსუ (SDR) -სა.

მუხლი 72. საერთაშორისო შემომავალი M ტომარას ადრესატისთვის ჩაბარება

72.1. საერთაშორისო შემომავალი M ტომარას ჩაბარების მიზნით ადრესატს ეგზავნება შეტყობინება. ამასთან:

72.1.1. თუ საერთაშორისო შემომავალ M ტომარაზე დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, იგზავნება SMS შეტყობინება, რომელიც შეიცავს მითითებას, თუ სად შეუძლია ადრესატს M ტომარას ჩაბარება. SMS შეტყობინების გაგზავნით ადრესატი ითვლება ინფორმირებულად მის სახელზე გზავნილის არსებობის შესახებ;

72.1.2. თუ M ტომარაზე არ არის დატანილი ტელეფონის ნომერი, ან ამ ნომერზე ვერ ხორციელდება SMS შეტყობინების გაგზავნა, კურიერი ადრესატის მისამართზე ტოვებს შეტყობინებას, რომლითაც აცნობებს მის სახელზე გზავნილის არსებობის შესახებ. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე

მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება;

72.1.3. M ტომარა, რომელზეც დატოვებულია/გაგზავნილია შეტყობინება, ბარდება სერვისცენტში. ამასთან:

- ❖ თუ ნებისმიერი კატეგორიის M ტომარაზე მოთხოვნილია სავალდებულო საბაჟო დეკლარირება და გზავნილის ადრესატი ფიზიკური პირია, ის შეიძლება ჩაბარდეს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს ან მის მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. ამასთან, თუ M ტომარას ადრესატი არასრულწლოვანი პირია, გზავნილი ბარდება მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, დაბადების მოწმობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი სხვა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. თუ ადრესატი იურიდიული პირია, M ტომარა შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;
- ❖ თუ M ტომარა **მარტივი, მარტივი პლიუს** ან **რეგისტრირებული** კატეგორიისაა და მისი ადრესატი ფიზიკური პირია, ის შეიძლება ჩაბარდეს სრულწლოვან ადრესატს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე, ან მის ნაცვლად მინდობილ პირს, რომელმაც საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს ადრესატის მიერ სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. თუ ადრესატი იურიდიული პირია, მცირე პაკეტი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე.

  შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია მარტივი, მარტივი პლიუს და/ან რეგისტრირებული M ტომარას ჩაბარება განახორციელოს სხვა ალტერნატიული მეთოდითაც, რომელიც დაადასტურებს ადრესატის ნების შესაბამისად წერილის ჩაბარების ფაქტს. ამასთან, თუ **რეგისტრირებულ** M ტომარას რაიმე ნაკლი აქვს და მიმღები უარს აცხადებს ჩაიბაროს ის პრეტენზიის გარეშე, ასეთი პრეტენზიის

დაფიქსირების უფლება აქვთ მხოლოდ უშუალოდ ადრესატს და მხოლოდ M ტომარას ჩაბარების მომენტში. პრეტენზია გამოთქმული M ტომარას მიმღების მიერ, რომელიც არ წარმოადგენს უშუალოდ ადრესატს, ან პრეტენზია, რომელიც დაფიქსირებულია M ტომარას ჩაბარების შემდეგ, არ ექვემდებარება განხილვას.

- თუ M ტომარა **დაზღვეული** კატეგორიისაა და მისი ადრესატი ფიზიკური პირია, ის შეიძლება ჩაბარდეს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს ან მის მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. ამასთან, თუ დაზღვეული M ტომარას ადრესატი არასრულწლოვანი პირია, გზავნილი ბარდება მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, დაბადების მოწმობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი სხვა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. თუ ადრესატი იურიდიული პირია, დაზღვეული M ტომარა შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

72.1.4. თუ საერთაშორისო შემომავალი M ტომარა გაგზავნილია **მოკითხვამდე პირობით,** მასზე ადრესატის მისამართზე შეტყობინების დატოვება არ ხდება. მოკითხვამდე პირობით M ტომარა რჩება სერვისცენტრში, სადაც წინამდებარე დოკუმენტის 72.1.3 ქვეპუნქტში აღნიშნულ პირებს შეუძლიათ მისი ჩაბარება.

72.1.5. M ტომარას სერვისცენტრში ჩაბარება ხორციელდება გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და გზავნილის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ. თუ მიმღები არ არის M ტომარას უშუალო ადრესატი, მიმღებთან ერთად ასევე მოითხოვება იმ ინფორმაციის მითითებაც, რომლის საფუძველზეც დგინდება ადრესატის ნება M ტომარა ჩაიბაროს მიმღებმა (მაგ. მინდობილობის მონაცემები, ადრესატისთვის გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდი და სხვა).

თავი 28. საერთაშორისო შემომავალი ამანათის მახასიათებლები და მისი ჩაბარება

მუხლი 73. საერთაშორისო შემომავალი ამანათის მახასიათებლები

73.1.გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციისგან შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიღებულ ამანათს აქვთ შემდეგი მახასიათებლები:

73.1.1. **რეგისტრირებული** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში;

73.1.2. **დაზღვეული** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დაზღვეული თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 4000 სსუ (SDR) -სა.

მუხლი 74. საერთაშორისო შემომავალი ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება

74.1. საერთაშორისო შემომავალი ამანათის ჩაბარების მიზნით ადრესატს ეგზავნება შეტყობინება. ამასთან:

74.1.1. თუ საერთაშორისო შემომავალ ამანათზე დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, იგზავნება SMS შეტყობინება, რომელიც შეიცავს მითითებას, თუ სად შეუძლია ადრესატს ამანათის ჩაბარება. SMS შეტყობინების გაგზავნით ადრესატი ითვლება ინფორმირებულად მის სახელზე გზავნილის არსებობის შესახებ;

74.1.2. თუ ამანათზე არ არის დატანილი ტელეფონის ნომერი, ან ამ ნომერზე ვერ ხორციელდება SMS შეტყობინების გაგზავნა, კურიერი ადრესატის მისამართზე ტოვებს შეტყობინებას, რომლითაც აცნობებს მის სახელზე გზავნილის არსებობის შესახებ. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

74.1.3. ამანათი, რომელზეც დატოვებულია/გაგზავნილია შეტყობინება, ბარდება სერვისცენტში. ამასთან:

- თუ ნებისმიერი კატეგორიის ამანათზე მოთხოვნილია სავალდებულო საბაჟო დეკლარირება და გზავნილის ადრესატი ფიზიკური პირია, ის შეიძლება ჩაბარდეს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს ან მის მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. ამასთან, თუ ამანათის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, გზავნილი ბარდება მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, დაბადების მოწმობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი სხვა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. თუ ადრესატი იურიდიული პირია, ამანათი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;
- თუ ამანათი **რეგისტრირებული** კატეგორიისაა და მისი ადრესატი ფიზიკური პირია, ის შეიძლება ჩაბარდეს სრულწლოვან ადრესატს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე, ან მის ნაცვლად მინდობილ პირს, რომელმაც საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს ადრესატის მიერ სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. თუ ადრესატი იურიდიული პირია, ის შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

  შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია რეგისტრირებული ამანათის ჩაბარება განახორციელოს სხვა ალტერნატიული მეთოდითაც, რომელიც დაადასტურებს ადრესატის ნების შესაბამისად წერილის ჩაბარების ფაქტს. ამასთან, თუ **რეგისტრირებულ ამანათს** რაიმე ნაკლი აქვს და მიმღები უარს აცხადებს ჩაიბაროს ის პრეტენზიის გარეშე, ასეთი პრეტენზიის დაფიქსირების უფლება აქვთ მხოლოდ უშუალოდ ადრესატს და მხოლოდ ამანათის ჩაბარების მომენტში. პრეტენზია გამოთქმული რეგისტრირებული ამანათის მიმღების მიერ, რომელიც არ წარმოადგენს უშუალოდ ადრესატს, ან პრეტენზია, რომელიც დაფიქსირებულია ამანათის ჩაბარების შემდეგ, არ ექვემდებარება განხილვას;
- თუ ამანათი **დაზღვეული** კატეგორიისაა და მისი ადრესატი ფიზიკური პირია, ის შეიძლება ჩაბარდეს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს ან მის მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. ამასთან, თუ დაზღვეული ამანათის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, გზავნილი ბარდება მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, დაბადების მოწმობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი სხვა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. თუ ადრესატი იურიდიული პირია,

დაზღვეული ამანათი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

74.2. თუ საერთაშორისო შემომავალი ამანათი გაგზავნილია **მოკითხვამდე პირობით,** მასზე ადრესატის მისამართზე შეტყობინების დატოვება არ ხდება. მოკითხვამდე პირობით ამანათი რჩება სერვისცენტრში, სადაც წინამდებარე დოკუმენტის 74.1.3 ქვეპუნქტში აღნიშნულ პირებს შეუძლიათ მისი ჩაბარება.

74.3. ამანათის სერვისცენტრში ჩაბარება ხორციელდება გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და გზავნილის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ. თუ მიმღები არ არის ამანათის უშუალო ადრესატი, მიმღებთან ერთად ასევე მოითხოვება იმ ინფორმაციის მითითებაც, რომლის საფუძველზეც დგინდება ადრესატის ნება ამანათი ჩაიბაროს მიმღებმა (მაგ. მინდობილობის მონაცემები, ადრესატისთვის გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდი და სხვა).

თავი 29. საერთაშორისო შემომავალი EMS გზავნილის მახასიათებლები და მისი ჩაბარება

მუხლი 75. საერთაშორისო შემომავალი EMS გზავნილის მახასიათებლები

75.1. გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციისგან შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიღებულ **EMS გზავნილს** აქვს შემდეგი მახასიათებლები:

75.1.1. **სტანდარტული** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში;

75.1.2. **დაზღვეული** - აქვს მაიდენტიფიცირებელი კოდი და თვალყურის დევნების ფუნქცია, ადრესატს ბარდება ხელმოწერით, მის შესახებ გაიცემა ინფორმაცია, ხოლო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი ზღვრული თანხის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, თუ რა თანხით მოხდა გამომგზავნის მიერ მისი დაზღვევა.

მუხლი 76. საერთაშორისო შემომავალი EMS გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება

76.1. EMS გზავნილი (მიუხედავად იმისა გზავნილის შიგთავსი დოკუმენტია თუ ნივთი), რომელზეც არ არის მოთხოვნილი სავალდებულო საბაჟო დეკლარირება და მიღებულია უნაკლო მდგომარეობაში, ბარდება კურიერის მიერ ადრესატის მისამართზე ერთჯერადი ვიზიტის განხორციელების გზით.

76.2. სტანდარტული EMS გზავნილი, უნდა ჩაბარდეს შემდეგი წესის დაცვით:

76.2.1. თუ EMS გზავნილი დამისამართებულია ფიზიკურ პირზე და ადრესატის მისამართად მითითებულია საცხოვრებელი ბინის/სახლის მისამართი, EMS გზავნილი ბარდება როგორც უშუალოდ ადრესატს, ასევე ადრესატის მისამართზე მყოფ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს და განუცხადებს, რომ ცხოვრობს ამ მისამართზე და იცნობს ადრესატს. თუ EMS გზავნილის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, გზავნილი ბარდება მისამართზე მყოფ სრულწლოვან პირს;

76.2.2. თუ EMS გზავნილი დამისამართებულია ფიზიკურ პირზე და ადრესატის მისამართად მითითებულია იურიდიული პირის მისამართი, EMS გზავნილი ბარდება უშუალოდ ადრესატს, თუ ის სრულწლოვანია, ან კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ შესაბამისი ფიზიკური პირი არ იმყოფება მისამართზე, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), EMS გზავნილი შეიძლება ჩაბარდეს იქ მომუშავე ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს განუცხადებს, რომ იცნობს ადრესატს და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს.

76.2.3. თუ EMS გზავნილი დამისამართებულია იურიდიულ პირზე, ამასთან ადრესატად მითითებულია მხოლოდ იურიდიული პირის სახელწოდება, ან იურიდიული პირის სახელწოდებასთან ერთად მითითებულია კონკრეტული ფიზიკური პირიც, EMS გზავნილი ბარდება შესაბამის ფიზიკურ პირს, თუ ის სრულწლოვანია, დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ შესაბამისი ფიზიკური პირი არ იმყოფება მისამართზე ან ის არ არის სრულწლოვანი, ან დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), EMS გზავნილი შეიძლება ჩაბარდეს იქ მომუშავე ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელიც კურიერს განუცხადებს, რომ იცნობს შესაბამის ფიზიკურ პირს და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს;

76.2.4. თუ EMS გზავნილი დამისამართებულია იურიდიულ პირზე და მის მისამართად მითითებულია საცხოვრებელი ბინის/სახლის მისამართი, ამ მისამართზე მყოფი სრულწლოვანი პირისათვის გადაცემული EMS გზავნილი ითვლება სათანადო წესით ჩაბარებულად, თუ ასეთი პირი კურიერს განუცხადებს რომ ცხოვრობს/მუშაობს აღნიშნულ მისამართზე, იცის ადრესატის შესახებ და წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან მის ასლს.

76.3. <u>დაზღვეული EMS გზავნილის ადრესატის მისამართზე ჩაბარება ხორციელდება შემდეგი წესის დაცვით:</u>

76.3.1. თუ დაზღვეული EMS გზავნილის ადრესატია ფიზიკური პირი, ის ბარდება მხოლოდ უშუალოდ ადრესატს, ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. ამასთან, თუ დაზღვეული EMS გზავნილის ადრესატს არასრულწლოვანი პირი წარმოადგენს, მისი ჩაბარება ხორციელდება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლისთვის, დაბადების მოწმობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი სხვა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

76.3.2. თუ დაზღვეული EMS გზავნილის ადრესატია იურიდიული პირი, ის ბარდება შემდეგი წესის დაცვით:

- თუ ადრესატად მითითებულია მხოლოდ იურიდიული პირის სახელწოდება, დაზღვეული EMS გზავნილი ბარდება დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია ან იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), დაზღვეული EMS გზავნილის ჩაბარება არ ხდება;
- თუ ადრესატად იურიდიული პირის სახელწოდების გარდა მითითებულია კონკრეტული ფიზიკური პირიც, დაზღვეული EMS გზავნილი ბარდება პირადად შესაბამის ფიზიკურ პირს, თუ ის სრულწლოვანია, დირექტორს, კანცელარიას ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურულ ერთეულს. თუ შესაბამისი ფიზიკური პირი არ იმყოფება მისამართზე, ან დირექტორისთვის ჩაბარება შეუძლებელია, აგრეთვე თუ იურიდიულ პირს არ აქვს კანცელარია (ან იმავე ფუნქციის მატარებელი სხვა სტრუქტურული ერთეული), დაზღვეული EMS გზავნილის ჩაბარება არ ხდება.

76.4. EMS გზავნილი, რომლის წონაც არ აღემატება 10 კგ-ს, ადრესატს ბარდება კონკრეტული მისამართის კართან, ხოლო 10 კგ-ზე მეტი წონის EMS გზავნილი - კონკრეტული მისამართის შენობის შესასვლელთან.

76.5. თუ რაიმე მიზეზით კურიერი ვერ ახერხებს EMS გზავნილის ადრესატის მისამართზე ჩაბარებას (მაგ. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, ან კურიერს არავინ დახვდა ადრესატის მისამართზე, ან პირი, რომელიც დახვდა მისამართზე, არ არის უფლებამოსილი ჩაიბაროს გზავნილი, ან პირი (თუ ის არ არის უშუალოდ ადრესატი) უარს განაცხადებს გზავნილის ჩაბარებაზე და სხვა), კურიერი ტოვებს შეტყობინებას, რომელშიც მიუთითებს სერვისცენტრის მისამართს, სადაც ადრესატს შეუძლია EMS გზავნილის ჩაბარება. შეტყობინების დატოვებით შპს „საქართველოს ფოსტა“ აცნობებს ადრესატს მის სახელზე EMS გზავნილის არსებობის შესახებ.

76.6. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ შეტყობინების აღნიშნული ფორმით გადაცემა შეუძლებელია, ის შეიძლება მოთავსდეს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან განთავსდეს უშუალოდ ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე. თუ ადრესატის მისამართზე არსებულ შენობაში შესვლა შეუძლებელია, შეტყობინების დატოვება შეიძლება მისამართთან ყველაზე უფრო ახლო ადგილას (მაგ. სადარბაზოს კარი), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

76.7. თუ ნებისმიერი კატეგორიის EMS გზავნილზე მოთხოვნილია სავალდებულო საბაჟო დეკლარირება, ან EMS გზავნილი შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიღებულია რაიმე ნაკლით, ასეთი გზავნილის ადრესატის მისამართზე ჩაბარების ნაცვლად, ადრესატს ეგზავნება შეტყობინება წინამდებარე დოკუმენტის 70.1.1. და 70.1.2. ქვეპუნქტებით დადგენილი წესით, ხოლო EMS გზავნილის ჩაბარება ხორციელდება სერვისცენტრში.

76.8. EMS გზავნილის სერვისცენტრში ჩაბარება ხდება შემდეგი წესის დაცვით:

76.8.1. სტანდარტული EMS გზავნილი, რომლის ადრესატიც ფიზიკური პირია, შეიძლება ჩაბარდეს სრულწლოვან ადრესატს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე, ან მის ნაცვლად მინდობილ პირს, რომელმაც საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს ადრესატის მიერ სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. თუ ადრესატი იურიდიული პირია, ის შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია სტანდარტული EMS გზავნილის ჩაბარება განახორციელოს სხვა ალტერნატიული მეთოდითაც, რომელიც შპს დაადასტურებს ადრესატის ნების შესაბამისად წერილის ჩაბარების ფაქტს. ამასთან, თუ EMS გზავნილს რაიმე ნაკლი აქვს და მიმღები უარს აცხადებს ჩაიბაროს ის

პრეტენზიის გარეშე, ასეთი პრეტენზიის დაფიქსირების უფლება აქვთ მხოლოდ უშუალოდ ადრესატს და მხოლოდ EMS გზავნილის ჩაბარების მომენტში. პრეტენზია გამოთქმული EMS გზავნილის მიმღების მიერ, რომელიც არ წარმოადგენს უშუალოდ ადრესატს, ან პრეტენზია, რომელიც დაფიქსირებულია EMS გზავნილის ჩაბარების შემდეგ, არ ექვემდებარება განხილვას;

76.8.2. თუ EMS გზავნილი **დაზღვეული** კატეგორიისაა და მისი ადრესატი ფიზიკური პირია, ის შეიძლება ჩაბარდეს მხოლოდ უშუალოდ ადრესატს ან მის მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. ამასთან, თუ დაზღვეული EMS გზავნილის ადრესატი არასრულწლოვანი პირია, გზავნილი ბარდება მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, დაბადების მოწმობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი სხვა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. თუ ადრესატი იურიდიული პირია, დაზღვეული EMS გზავნილი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

76.8.3. EMS გზავნილის სერვისცენტრში ჩაბარება ხორციელდება გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და გზავნილის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ. თუ მიმღები არ არის EMS გზავნილის უშუალო ადრესატი, მიმღებთან ერთად ასევე მოითხოვება იმ ინფორმაციის მითითებაც, რომლის საფუძველზეც დგინდება ადრესატის ნება EMS გზავნილი ჩაიბაროს მიმღებმა (მაგ. მინდობილობის მონაცემები, ადრესატისთვის გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდი და სხვა).

თავი 30. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის დამატებითი სერვისები

მუხლი 77. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის დამატებითი სერვისები

77.1. მომხმარებელს შეუძლია საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილზე ისარგებლოს შემდეგი დამატებითი სერვისებით:

77.1.1. მისამართზე ჩაბარების სერვისი;

77.1.2. გადამისამართება;

77.1.3. შენახვის ვადის გაზრდა;

77.1.4. ცნობა საფოსტო მომსახურების შესახებ;

77.1.5. გზავნილის დისტანციური დეკლარირება;
77.1.6. გზავნილის არქივიდან გამოთხოვა;
77.1.7. სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარა.

მუხლი 78. დამატებითი სერვისი - გზავნილის მისამართზე ჩაბარება

78.1. დამატებითი სერვისი - **გზავნილის მისამართზე ჩაბარება** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, შეუკვეთოს საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის იმ მისამართზე მიტანა და ჩაბარება, რომელიც დატანილია საფოსტო გზავნილზე. ამასთან, თუ მომხმარებელს სურს მისამართის ცვლილება და გზავნილის შეცვლილ მისამართზე ჩაბარება, მან ასევე უნდა ისარგებლოს დამატებითი სერვისით - გადამისამართება.

78.2. დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილებზე:
78.1.1.მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი;
78.1.2. მარტივი, მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული მცირე პაკეტი;
78.1.3. მარტივი, მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული M ტომარა;
78.1.4. რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათი;
78.1.5. სტანდარტული და დაზღვეული EMS გზავნილი (დოკუმენტი და ნივთი).

78.3.დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
78.3.1. იმ საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილებზე, რომლებზეც წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესის მიხედვით, არ არის გათვალისწინებული ადრესატის მისამართზე ჩაბარება. ამასთან, თუ სერვისით სარგებლობა მოთხოვნილია ნაკლის მქონე საფოსტო გზავნილზე, მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ის დაკარგავს პრეტენზიის გაცხადებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას;
78.3.2. იმ საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილებზე, რომელთა მისამართზე ჩაბარებაც გათვალისწინებულია წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესით, თუმცა კურიერის მიერ მისამართზე სტანდარტული ვიზიტის განხორციელების დროს საფოსტო გზავნილი ვერ ჩაბარდება.

78.4. მომხმარებელს გზავნილის მისამართზე ჩაბარების სერვისით სარგებლობა შეუძლია საფოსტო გზავნილის შენახვის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი ვადის ამოწურვამდე ერთი სამუშაო დღით ადრე.

78.5. მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ვინაიდან საფოსტო გზავნილთან მიმართებაში, რაიმე სახის პრეტენზიის ან/და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაფიქსირება მხოლოდ საფოსტო გზავნილის სერვისცენტრში ჩაბარების შემთხვევაშია

შესაძლებელი, გზავნილის მისამართზე ჩაბარების სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, ის დაკარგავს საფოსტო გზავნილთან მიმართებაში მოთხოვნის უფლებას.

78.6. შეკვეთა დამატებითი სერვისით სარგებლობის შესახებ მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ ქოლცენტრში დარეკვით, სერვისცენტრში შეკვეთის გაფორმებით, ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით.

78.7. სერვისის შეკვეთა შეუძლია საფოსტო გზავნილის როგორც გამგზავნს, ასევე ადრესატს.

78.8. შეკვეთის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, გამგზავნისა და ადრესატის მონაცემები, მათი მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ასევე გზავნილის მაიდენტიფიცირებელი კოდი.

78.9. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას საფოსტო გზავნილის მისამართზე ჩაბარების სერვისის შეკვეთის მიღებაზე.

78.10. მომხმარებლის მიერ სრული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა უზრუნველყოფს შეკვეთის რეგისტრაციას.

78.11. მომხმარებელს შეუძლია ერთი შეკვეთაში გააერთიანოს 5 გზავნილი იმ შემთხვევაში, თუ გზავნილების ჯამური წონა არ აღემატება 10 კგ-ს, იგზავნება ერთ მისამართზე და ჰყავს ერთი ადრესატი. ასეთი შეკვეთის საფასური შეადგენს ერთი გზავნილის მისამართზე ჩაბარების სერვისისთვის დადგენილ საფასურს.

78.12. სერვისის საფასურის გადახდა შესაძლებელია როგორც წინასწარ, ასევე საფოსტო გზავნილის მომხმარებლისათვის ჩაბარებისას. ამასთან, რაიმე მიზეზით სერვისის ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, საფოსტო გზავნილი არ ბარდება მომხმარებელს.

78.13. მომხმარებელს შეუძლია სერვისი შეუკვეთოს **„სტანდარტული“** ან **„სასწრაფო“** პირობით.

78.13.1. **„სტანდარტული“** პირობის შემთხვევაში, გზავნილის მისამართზე ჩაბარება ხორციელდება შემდეგ ვადებში:

- 2 (ორი) სამუშაო დღე, თუ გამგზავნისა და ადრესატის მისამართები მდებარეობს ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში;

- 3 (სამი) სამუშაო დღე, თუ გამგზავნისა და ადრესატის მისამართები მდებარეობს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, მაგრამ არა სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში;
- 5 (ხუთი) სამუშაო დღე, თუ გამგზავნისა ან ადრესატის მისამართები მდებარეობს სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში.

შენიშვნა: თუ საფოსტო გზავნილის ადრესატი იურიდიული პირია, შაბათი სამუშაო დღედ არ ჩაითვლება.

78.13.2. **„სასწრაფო“** პირობით შეკვეთის გაფორმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილია საფოსტო გზავნილის ერთიდაიმავე ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაბარება. ამასთან, გზავნილი მისამართზე ბარდება:

- იმავე სამუშაო დღის 17:00 საათამდე, თუ შეკვეთა მიღებულია სამუშაო დღის 12:00 საათამდე;
- მეორე სამუშაო დღეის 12:00 საათამდე, თუ შეკვეთა მიღებულია სამუშაო დღის 12:00 საათის შემდეგ.

78.14. საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება:

78.14.1. მარტივი პლიუს და რეგისტრირებული წერილის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის 67.2.2.-67.2.5. ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

78.14.2. დაზღვეული წერილის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის 67.3.2.-67.3.5. ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

78.14.3. დაზღვეულის გარდა ნებისმიერი სხვა კატეგორიის მცირე პაკეტის, M ტომარას, ამანათისა და EMS გზავნილის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის 76.2. პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

78.14.4. დაზღვეული კატეგორიის მცირე პაკეტის, M ტომარას, ამანათისა და EMS გზავნილის შემთხვევაში, წინამდებარე დოკუმენტის 76.3. პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

78.14.5. სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას დაქვემდებარებული ნებისმიერი სახეობისა და კატეგორიის საფოსტო გზავნილის შემთხვევაში - წინამდებარე დოკუმენტის 67.3.2.-67.3.5. ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

78.15. თუ საფოსტო გზავნილის წონა არ აღემატება 10 კგ-ს, ის ბარდება კონკრეტული მისამართის კართან, ხოლო 10 კგ-ზე მეტი წონის საფოსტო გზავნილი - კონკრეტული მისამართის შენობის შესასვლელთან.

78.16. მომხმარებელთან კურიერის ვიზიტის ზუსტი დროის წინასწარ შეთანხმება არ ხდება. კურიერი უფლებამოსილია დაურეკოს მას მხოლოდ მისამართის მოძიების გაადვილების მიზნით.

78.17. თუ კურიერი ვიზიტის განხორციელებისას ვერ შეძლებს საფოსტო გზავნილის ჩაბარებას, ის წინამდებარე დოკუმენტის 67.2.6.-67.2.7. ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით, მისამართზე დატოვებს შეტყობინებას, ხოლო საფოსტო გზავნილს დააბრუნებს სერვისცენტში, სადაც მომხმარებელს შეუძლია მისი ჩაბარება სერვისზე შეკვეთის განხორციელებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. საფოსტო გზავნილის ჩაბარება შესაძლებელია მხოლოდ სერვისის საფასურის დაფარვის შემთხვევაში.

მუხლი 79. დამატებითი სერვისი - გადამისამართება

79.1. დამატებითი სერვისი - **გზავნილის გადამისამართება** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, შეცვალოს გამგზავნის ან ადრესატის ვინაობა (სახელი, გვარი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება) და/ან მისამართი. ამასთან, თუ მომხმარებელი მისამართის ცვლილებასთან ერთად მოითხოვს გზავნილის შეცვლილ მისამართზე ჩაბარებას, მან ასევე უნდა ისარგებლოს დამატებითი სერვისით - გზავნილის მისამართზე ჩაბარება.

79.2. გადამისამართების სერვისით სრულად სარგებლობის (როგორც ვინაობის, ასევე მისამართის ცვლილების) უფლება აქვს საფოსტო გზავნილის გამგზავნს. ადრესატს უფლება აქვს ისარგებლოს მისამართის ცვლილების უფლებით. ცალკეულ შემთხვევებში, თუ ადრესატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა ამის საშუალებას, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს საფოსტო გზავნილზე ვინაობის ცვლილება განახორციელოს ადრესატის მოთხოვნითაც.

79.3. დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილებზე:

79.3.1. მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი;

79.3.2. მარტივი, მარტივი პლიუს და რეგისტრირებული მცირე პაკეტი;

79.3.3. მარტივი, მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული M ტომარა;

79.3.4. რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათი;

79.3.5. სტანდარტული და დაზღვეული EMS გზავნილი (დოკუმენტი და ნივთი).

79.4. მომხმარებელს გადამისამართების სერვისით სარგებლობა შეუძლია შემდეგ ვადებში:

79.4.1. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო გზავნილის ჩაბარების პროცესის დაწყებამდე;

79.4.2. კონკრეტული საფოსტო გზავნილის შენახვის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს ვადის ამოწურვამდე ერთი სამუშაო დღით ადრე.

79.5. შეკვეთა ვინაობის ცვლილების შესახებ მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ხოლო მისამართის ცვლილების შესახებ შეკვეთა ასევე შეიძლება განხორციელდეს ქოლცენტრში დარეკვით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით.

79.6. მომხმარებელი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, შევსებული და ხელმოწერილი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი. თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

79.7. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას გადამისამართების შეკვეთის მიღებაზე.

79.8. მომხმარებლის მიერ სრული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების ასახვას ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში.

მუხლი 80. დამატებითი სერვისი - შენახვის ვადის გაზრდა

80.1.1. დამატებითი სერვისი - **შენახვის ვადის გაზრდა** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, შეაჩეროს ადრესატისათვის ჩაუბარებელი გზავნილის გამგზავნისათვის დაბრუნების პროცესი, ასეთი გზავნილისთვის შენახვის ვადის გაზრდის გზით.

80.1.2. სერვისით სარგებლობა შეუძლია საფოსტო გზავნილის როგორც გამგზავნს, ასევე ადრესატს.

80.1.3. დამატებითი სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილებზე:

80.1.4. მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი;

80.1.5. მარტივი, მარტივი პლიუს და რეგისტრირებული მცირე პაკეტი;

80.1.6. მარტივი, მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული M ტომარა;

80.1.7. რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათი;

80.1.8. სტანდარტული და დაზღვეული EMS გზავნილი (დოკუმენტი და ნივთი).

80.2. მომხმარებელს სერვისით სარგებლობა შეუძლია შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო გზავნილის გამგზავნისთვის უკან დაბრუნების პროცესის დაწყებამდე.

80.3. მომხმარებელი ვერ ისარგებლებს შენახვის ვადის გაზრდის სერვისით, თუ:

- საფოსტო გზავნილი დაარქივებულია;
- საფოსტო გზავნილის ჩაბარებაზე ადრესატმა უარი განაცხადა;
- საფოსტო გზავნილი გადაცემულია სახელმწიფოსთვის.

80.4. შენახვის ვადის გაზრდა შესაძლებელია ორი ვადით - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით და მხოლოდ ერთჯერადად.

80.5. შეკვეთა გზავნილის შენახვის ვადის გაზრდის შესახებ მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით.

80.6. მომხმარებელი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, შევსებული და ხელმოწერილი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი. თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

80.7. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. –ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას შეკვეთის მიღებაზე.

80.8. მომხმარებლის მიერ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა ადასტურებს შეკვეთას.

80.9. შეკვეთის შესაბამისად მოთხოვნილი შენახვის ვადის ათვლა იწყება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ შეკვეთის დადასტურების დღიდან. ამასთან, ავტომატურად ანულირდება ის ვადა, რომლითაც ინახებოდა გზავნილი შეკვეთის გაფორმებამდე.

80.10. შენახვის ვადის განმავლობაში ადრესატს შეუძლია სერვისცენტრში ჩაიბაროს საფოსტო გზავნილი, ან ისარგებლოს შპს „საქართველოს ფოსტის“ სხვა დამატებითი სერვისებით.

80.11. თუ შენახვის ვადის გაზრდა განხორციელდება ადრესატის მოთხოვნით, მაგრამ ამ ვადის განმავლობაში გამგზავნი მოითხოვს გზავნილის უკან დაბრუნებას, პრიორიტეტი მიენიჭება გამგზავნის მოთხოვნას და გზავნილი მას დაუბრუნდება.

მუხლი 81. დამატებითი სერვისი - ცნობა საფოსტო მომსახურების შესახებ

81.1. დამატებითი სერვისი - **ცნობა საფოსტო მომსახურების შესახებ** გულისხმობს შპს „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით მიღებული საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის თაობაზე ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში დაცული მონაცემების წერილობითი დოკუმენტის სახით გაცემას.

81.2. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის თაობაზე ცნობის გაცემა ხორციელდება შემდეგი პირობების შესაბამისად:

81.2.1. ცნობა არ გაიცემა საერთაშორისო შემომავალ მარტივ წერილსა და საფოსტო ბარათზე;

81.2.2. ცნობა საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის თაობაზე გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გზავნილის გაგზავნიდან ცნობის მოთხოვნის თაობაზე განცხადების მიღებამდე არ არის გასული 3 (სამი) წელზე მეტი ვადა.

81.2.3. საფოსტო მომსახურების შესახებ ცნობის მოთხოვნის უფლება აქვს გამგზავნს, ადრესატს, მათ წარმომადგენელს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, აგრეთვე გზავნილის უშუალოდ ჩამბარებელ პირს (მიმღებს);

81.2.4. შეკვეთა საფოსტო მომსახურების შესახებ ცნობის მოთხოვნის თაობაზე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამგზავნისა და ადრესატის ვინაობისა და მათი მისამართების შესახებ. ამასთან, თუ მოთხოვნილია ინფორმაცია კონკრეტული გზავნილის შესახებ, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გზავნილის კოდის შესახებ;

81.2.5. ფიზიკურ პირს შეუძლია ერთი შეკვეთით მოითხოვოს ინფორმაცია 5 საფოსტო გზავნილზე ან ერთთვიან პერიოდზე, მაგრამ არაუმეტეს 20 გზავნილისა, ხოლო იურიდიულ პირს - 5 გზავნილზე ან 15 დღიან პერიოდზე, მაგრამ არაუმეტეს 20 გზავნილისა. ერთ შეკვეთაში მოთხოვნილი ინფორმაცია შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ გაიცემა ერთ დოკუმენტად;

81.2.6. შეკვეთა მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით;

81.2.7. მომხმარებელი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, შევსებული და ხელმოწერილი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი. თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა;

81.2.8. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას შეკვეთის მიღებაზე.

81.3. მომხმარებელი თავისუფლდება საფოსტო მომსახურების შესახებ ცნობის სერვისის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან, თუ:

81.3.1. სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს/პირის შესაბამისი გადაწყვეტილებით ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, შპს „საქართველოს ფოსტას“ ევალება ინფორმაციის უსასყიდლოდ გაცემა;

81.3.2. ინფორმაციას ითხოვს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;

81.3.3. ინფორმაციას ითხოვს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული პირი;

81.3.4. შპს „საქართველოს ფოსტის“ შიდა მოკვლევის საფუძველზე დადგინდება, რომ ადგილი ჰქონდა საფოსტო მომსახურების პირობების დარღვევას.

81.4. მომხმარებლის მიერ სრული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში ამზადებს ცნობას და უგზავნის განმცხადებელს, მის მიერ შერჩეული ფორმით (მისამართზე ჩაბარებით, სერვისცენტრიდან გატანით, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით).

მუხლი 82. დამატებითი სერვისი- გზავნილის დისტანციური დეკლარირება

82.1. დამატებითი სერვისი - **გზავნილის დისტანციური დეკლარირება** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, მის სახელზე მიღებული და სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილის დეკლარირებისთვის

დადგენილი პროცედურები განახორციელოს დისტანციურად, სერვისცენტრში მიუსვლელად.

82.2. დამატებითი სერვისით სარგებლობა შეუძლია საფოსტო გზავნილის ადრესატს, ან მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გაცემული მინდობილობის მქონე ნებისმიერ პირს, ხოლო თუ ადრესატი არასრულწლოვანი პირია - მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

82.3. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია საფოსტო გზავნილის შენახვის ვადის განმავლობაში, მაგრამ ასეთი ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე.

82.4. მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ აღნიშნული სერვისით სარგებლობისას, მის მიერ დეკლარაციის ტექსტზე თანხმობის გაცხადების შემდეგ, მასში კორექტირების შეტანა ვერ განხორციელდება.

82.5. შეკვეთა დამატებითი სერვისით სარგებლობის შესახებ მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით.

82.6. შეკვეთის განხორციელებისას ადრესატი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია, მათ შორის, გამგზავნისა და ადრესატის მონაცემები, მათი მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ასევე გზავნილის მაიდენტიფიცირებელი კოდი. თუ ადრესატი იურიდიული პირია, ასევე მოითხოვება მისი საიდენტიფიკაციო ნომრის წარმოდგენა, ხოლო თუ ადრესატი არასრულწლოვანი პირია, მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაცემების გარდა, ასევე სავალდებულოა უშალოდ ადრესატის პირადობის მოწმობის ასლის, ხოლო ასეთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში - დაბადების მოწმობის ასლის წარმოდგენაც.

82.7. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან/და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. თუ მომხმარებლის მიერ ასეთი ინფორმაცია არ იქნება წარმოდგენილი, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას საფოსტო გზავნილის დისტანციური დეკლარირების სერვისის შეკვეთის მიღებაზე.

82.8. მომხმარებლის მიერ სრული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში შპს „საქართველოს ფოსტა“ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა არეგისტრირებს შეკვეთას.

82.9. შეკვეთის მიღებიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში დეკლარანტის მიერ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ადრესატთან შესათანხმებლად იგზავნება მომზადებული დეკლარაციის ტექსტი. ადრესატისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში, საქართველოს

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დეკლარაცია იტვირთება ერთიან ელექტრონულ პორტალზე. დეკლარირების პროცესის დასრულების შესახებ ადრესატს ეცნობება SMS შეტყობინებით.

82.10. დეკლარაციის პროცესის დასრულების შემდეგ ადრესატს შეუძლია სერვისცენტრში დეკლარაციაზე ხელმოწერა და საფოსტო გზავნილის ჩაბარება.

82.11. მომხმარებელს შეუძლია სერვისის ღირებულება გადაიხადოს როგორც წინასწარ, შპს „საქართველოს ფოსტის“ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, ასევე საფოსტო გზავნილის ჩაბარებისას.

82.12. სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილის ჩაბარება ხორციელდება წინამდებარე დოკუმენტის 67.3.2.-67.3.5. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მუხლი 83. დამატებითი სერვისი - გზავნილის არქივიდან გამოთხოვა

83.1. დამატებითი სერვისი - **გზავნილის არქივიდან გამოთხოვა** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, გამოითხოვოს ის საფოსტო გზავნილი, რომელიც ვერ დაბრუნდა გამომგზავნ ქვეყანაში და დაარქივდა შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ.

83.2. სერვისის მოთხოვნის უფლება აქვს გამგზავნს, ადრესატს და მათ წარმომადგენელს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

83.3. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია შემდეგ საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილებზე:

83.3.1. მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი;

83.3.2. მარტივი, მარტივი პლიუს და რეგისტრირებული მცირე პაკეტი;

83.3.3. მარტივი, მარტივი პლიუს, რეგისტრირებული და დაზღვეული M ტომარა;

83.3.4. რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათი;

83.3.5. სტანდარტული და დაზღვეული EMS გზავნილი (დოკუმენტი და ნივთი).

83.4. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია საფოსტო გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

83.5. მომხმარებელი თავისუფლდება გზავნილის არქივიდან გამოთხოვის შესახებ სერვისის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან, თუ:

83.5.1. სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს/პირის შესაბამისი გადაწყვეტილებით ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, შპს „საქართველოს ფოსტას“ ევალება გზავნილის უსასყიდლოდ გამოთხოვა;

83.5.2. სერვისით სარგებლობას ითხოვს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;

83.5.3. სერვისით სარგებლობას ითხოვს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული პირი;

83.5.4. გზავნილის დაარქივება მოხდა შპს „საქართველოს ფოსტის“ შეცდომით.

83.6. შეკვეთა გზავნილის არქივიდან გამოთხოვის შესახებ მიიღება შემდეგი წესით: შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე services@gpost.ge ყველა საჭირო ინფორმაციის გაგზავნით, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული შეკვეთის გაფორმებით.

83.7. მომხმარებელი ვალდებულია შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულყოფილად და დადგენილი ფორმით წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის, შევსებული და ხელმოწერილი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი. თუ სერვისით იურიდიული პირი სარგებლობს, ასევე საჭიროა განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

83.8. შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, გააუქმოს ციფრული შეკვეთა, ან მოითხოვოს წარმოდგენილი მონაცემების დაზუსტება, ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ მიიჩნევს, რომ მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაცია შეკვეთის გასაფორმებლად არასაკმარისია. ამასთან, თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი, „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი თქვას შეკვეთის მიღებაზე.

83.9. მომხმარებლის მიერ სრული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში ადასტურებს შეკვეთას, რის შემდეგაც 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოფს არქივიდან გამოთხოვილი საფოსტო გზავნილის ტრანსპორტირებას მომხმარებლისათვის სასურველ სერვისცენტრში.

მუხლი 84. დამატებითი სერვისი - სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარა

84.1. დამატებითი სერვისი - **სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარა** გულისხმობს მომხმარებლის შესაძლებლობას, მარტივი კატეგორიის საფოსტო გზავნილი ჩაიბაროს სააბონენტო საფოსტო ყუთის საშუალებით.

84.2. სერვისით სარგებლობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შპს „საქართველოს ფოსტასთან“ დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე.

ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, პირს შეუძლია მიმართოს შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრს.

თავი 31. მოთხოვნები საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის მიმართ

მუხლი 85. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის შეფუთვის წესი

85.1. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის საქართველომდე ტრანსპორტირებასა და მისი შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ უნაკლო მდგომარეობაში გადაცემის ვალდებულება ეკისრება გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას.

85.2. გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს, რომ საქართველოში გამოგზავნილი საფოსტო გზავნილი შეფუთული იყოს შიგთავსის სპეციფიკის გათვალისწინებით, რათა არ დაზიანდეს ტრანსპორტირების დროს.

მუხლი 86. აკრძალვები და შეზღუდვები საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ

86.1. დაუშვებელია საქართველოში ისეთი საფოსტო გზავნილის გამოგზავნა, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე დოკუმენტისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ პირობებსა და მოთხოვნებს, მათ შორის, აკრძალულია საფოსტო გზავნილის გამოგზავნა თაღლითობის ხელშესაწყობად, ან გადასახდელი თანხის გადახდის თავიდან არიდების მიზნით.

86.2. საფოსტო გზავნილით აკრძალულია შემდეგი დოკუმენტების/ნივთების გამოგზავნა:

86.2.1. ნარკოტიკები და ფსიქოტროპული ნივთიერებები, ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის განსაზღვრების შესაბამისად, აგრეთვე საქართველოში აკრძალული ნივთიერებები;

86.2.2. ნებისმიერი საგნები, რომლებიც დაკავშირებულია პედოფილიასა და ბავშვთა პორნოგრაფიასთან;

86.2.3. უხამსი ან ამორალური ხასიათის საგნები;

86.2.4. კონტრაფაქტული და მეკობრული საგნები;

86.2.5. მიმდინარე და პირადი მიმოწერის შემცველი დოკუმენტები, გაგზავნილი იმ პირების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ გამგზავნს, ადრესატს ან მათთან მცხოვრებ პირებს;

86.2.6. საგნები, რომლებიც თავიანთი ხასიათით ან შეფუთვით შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს ფოსტის თანამშრომლებს ან მესამე პირებს, აბინძურებდეს ან აფუჭებდეს სხვა გზავნილებს, საფოსტო ტექნიკას ან მესამე პირის საკუთრებას;

86.2.7. სახიფათო ტვირთის კატეგორიას მიკუთვნებული საგნები, მათ შორის:

- ❖ ინერტული ფეთქებადი მოწყობილობა და საბრძოლო მასალა, მათ შორის, ინერტული ყუმბარები და ჭურვები და სხვა ანალოგიური საგნები, ასევე ასეთი მოწყობილობებისა და საგნების მულაჟები;
- ❖ აალებადი ნივთიერებები;
- ❖ რადიაქტიული ნივთიერებები;
- ❖ ინფექციური ნივთიერებები;
- ❖ ლითიუმის ელემენტები და ლითიუმის ბატარიები (როგორც ცალკე, ასევე მოწყობილობაში მოთავსებული).

86.3. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების/ნივთების გამოგზავნა შესაძლებელია შემდეგი შეზღუდვებით:

86.3.1. აკრძალულია ცოცხალი ცხოველების გაგზავნა, გარდა შემდეგი გამონაკლისებისა:

- ❖ მარტივი ან რეგისტრირებული კატეგორიის მცირე პაკეტით შესაძლოა გამოიგზავნოს ფუტკრები, წურბელები და აბრეშუმის ჭიები;
- ❖ მარტივი ან რეგისტრირებული კატეგორიის მცირე პაკეტით და მხოლოდ უფლებამოსილ ორგანოებს/დაწესებულებებს შორის შესაძლოა გამოიგზავნოს პარაზიტები და მავნებლების გამანადგურებელი მწერები, მათი კვლევის მიზნით;
- ❖ მარტივი ან რეგისტრირებული კატეგორიის მცირე პაკეტით და მხოლოდ უფლებამოსილ ორგანოებს/დაწესებულებებს შორის შესაძლოა გამოიგზავნოს დროსოფილის ოჯახის ბუზები, განკუთვნილი ბიოსამედიცინო კვლევისთვის.

86.3.2. მონეტების, ფულის ნიშნების ან წარმომდგენის სასარგებლოდ ანაზღაურებას დაქვემდებარებული ნებისმიერი სახის ფასიანი ქაღალდების, სამგზავრო ჩეკების, საბანკო ბარათების, პლატინის, ოქროს ან ვერცხლის, ძვირფასი ქვების, საიუველირო ნაწარმისა და სხვა ძვირფასი ნივთების გამოგზავნა შესაძლებელია მხოლოდ დაზღვევით;

86.3.3. ბეჭდვითი გამოცემების და უსინათლოთათვის განკუთვნილი საფოსტო გზავნილების გამოგზავნა შესაძლებელია ანოტაციის და რაიმე მიმდინარე ან პირადი მიმოწერის შინაარსის მქონე დოკუმენტების გარეშე.

86.4. თუ საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია დამატებითი დოკუმენტის (ნებართვის) წარდგენის ვალდებულება, ასეთი გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება გამგზავნის მიერ მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

86.5. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილი, მისი საქართველოში შემოსვლისას გადის უსაფრთხოების კონტროლს. თუ ასეთი პროცედურის გავლისას საფოსტო გზავნილში აღმოჩენილი იქნება დოკუმენტი/ნივთი, რომლის მიღებაც აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით, ან მისი გადაზიდვა შესაძლოა საფრთხის შემქმნელი იყოს, ასეთი საფოსტო გზავნილი დაექვემდებარება ამოღებას და ჩამორთმევას, ან უკან გამგზავნისათვის დაბრუნებას.

თავი 32. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის ჩაბარების ვადები; ჩაუბარებელი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადა და მისი უკან დაბრუნება

მუხლი 87. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების ვადები

87.1. საერთაშოირსო შემომავალი საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების ვადის ათვლა იწყება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საერთაშორისო გაცვლის ცენტრში მისი მიღების დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

87.2. EMS გზავნილის გარდა, ნებისმიერი სხვა სახეობისა და კატეგორიის საერთაშოირსო შემომავალი საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების, მათ შორის, შეტყობინების ფურცლის ადრესატის მისამართზე დატოვების ვადებია:

- 3 (სამი) სამუშაო დღე, თუ ადრესატის მისამართი არ მდებარეობს სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში;
- 5 (ხუთი) სამუშაო დღე, თუ ადრესატის მისამართი მდებარეობს სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში.

შენიშვნა: თუ საფოსტო გზავნილის ადრესატი იურიდიული პირია, შაბათი სამუშაო დღედ არ ჩაითვლება.

87.3. EMS გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების, მათ შორის, შეტყობინების ფურცლის ადრესატის მისამართზე დატოვების ვადებია:

- 1 (ერთი) სამუშაო დღე, თუ ადრესატის მისამართი მდებარეობს ქ. თბილისში;
- 2 (ორი) სამუშაო დღე, თუ ადრესატის მისამართი არ მდებარეობს ქ. თბილისში და სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში;

- 4 (ოთხი) სამუშაო დღე, თუ ადრესატის მისამართი მდებარეობს სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში.

87.4. საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილზე SMS შეტყობინების გაგზავნის ვადაა:

- 2 (ორი) სამუშაო დღე.

მუხლი 88. ჩაუბარებელი საფოსტო გზავნილის შენახვის ვადა და მისი უკან დაბრუნების წესი

88.1. საფოსტო გზავნილი, რომელიც კურიერის მიერ მისამართზე ვიზიტის განხორციელების დროს ვერ ჩაბარდება ადრესატს, ასევე საფოსტო გზავნილი, რომელზეც დატოვებული/გაგზავნილი იქნება შეტყობინება, შეინახება შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში, შემდეგი ვადით:

88.1.1. საფოსტო ბარათი - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე;

88.1.2. წერილი - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე;

88.1.3. მცირე პაკეტი, M ტომარა და ამანათი - 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

88.1.4. მოკითხვამდე პირობით ნებისმიერი სახეობის გზავნილი - 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

88.1.5. EMS გზავნილი - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე;

88.1.6. EMS გზავნილის გარდა, ნებისმიერი სხვა სახეობის საფოსტო გზავნილი, რომელიც დაექვემდებარება სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას - 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

88.2. შენახვის ვადის ათვლა იწყება საფოსტო გზავნილის სერვისცენტრში მიღების დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

88.3. ის საფოსტო გზავნილი, რომელიც ვერ ჩაბარდება ადრესატს და რომელსაც გაუვა წინამდებარე დოკუმენტის 88.1. პუნქტით განსაზღვრული შენახვის ვადა, დაბრუნდება უკან გამომგზავნთან.

88.4. თუ საფოსტო გზავნილის ჩაბარებაზე უარს განაცხადებს ადრესატი, ასეთი გზავნილი დაუბრუნდება უკან გამგზავნს, წინამდებარე დოკუმენტის 88.1. პუნქტით განსაზღვრული ვადის დაუცველად.

88.5. გამგზავნისათვის საფოსტო გზავნილის უკან დაბრუნება არ ხდება, თუ საფოსტო გზავნილზე არ არის დატანილი გამგზავნის შესახებ ინფორმაცია.

კარი V.
პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება

თავი 33. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის მოცულობა და მისი გამომრიცხავი გარემოებები

მუხლი 89. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგელობის მოცულობა

89.1. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის მოცულობა მომხმარებლის წინაშე განისაზღვრება იმ პირდაპირი მატერიალური ზიანით, რომელიც მისი ბრალით იქნება გამოწვეული, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მაქსიმალური ზღვარისა.

89.2. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის, მატერიალურ ზიანში არ იგულისხმება მომხმარებლის არაპირდაპირი ზარალი, მათ შორის, მიუღებელი შემოსავალი.

89.3. შპს „საქართველოს ფოსტის“ მატერიალური პასუხისმგებლობა ვრცელდება შემდეგი კატეგორიისა და სახეობის საფოსტო გზავნილებზე:

89.3.1. ადგილობრივი - რეგისტრირებული, დაზღვეული და ჰიბრიდული წერილი;

89.3.2. ადგილობრივი - რეგისტრირებული, დაზღვეული და სახლიდან სახლში ამანათი;

89.3.3. საერთაშორისო - რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი;

89.3.4. საერთაშორისო - რეგისტრირებული მცირე პაკეტი;

89.3.5. საერთაშორისო - რეგისტრირებული და დაზღვეული M ტომარა;

89.3.6. საერთაშორისო - რეგისტრირებული და დაზღვეული ამანათი;

89.3.7. საერთაშორისო - სტანდარტული და დაზღვეული EMS გზავნილი.

89.4. შპს „საქართველოს ფოსტა“ მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებს თავისი ბრალით წინამდებარე დოკუმენტის 89.3. პუნქტში აღნიშნული ტიპის, კატეგორიისა და სახეობის საფოსტო გზავნილის:

89.4.1. <u>**დაკარგვაზე.**</u> ამასთან, საფოსტო გზავნილი ითვლება დაკარგულად, თუ:

(ა) ადგილობრივი საფოსტო გზავნილის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეში;

(ბ) საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის დაკარგვის ფაქტი დადასტურებულია დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის ან გადამზიდავი კომპანიის მიერ, ან თუ საფოსტო გზავნილის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მისი გაგზავნიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში;

(გ) საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა საფოსტო გზავნილის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და მისი შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადმოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

89.4.2. <u>**გარეგან დაზიანებაზე, თუ ის იწვევს საფოსტო გზავნილის შიგთავსის მთლიან ან ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას.**</u> ამასთან:

(ა) პასუხისმგებლობა საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილთან მიმართებაში დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარეგანი დაზიანების ფაქტი მომხდარია საფოსტო გზავნილის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და მისი შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადმოცემის შემდეგ;

(ბ) პასუხისმგებლობა საერთაშორისო გამავალ საფოსტო გზავნილთან მიმართებაში დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარეგანი დაზიანების ფაქტი დადასტურებულია დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ, საერთაშორისო საფოსტო რეგულაციებით განსაზღვრული წესით;

(გ) ადგილობრივ და საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილზე დაზიანების ფაქტი აღმოჩენილი უნდა იყოს შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარებამდე, ხოლო თუ საფოსტო გზავნილი გამგზავნს უბრუნდება - მისთვის გადაცემამდე. საფოსტო გზავნილის დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში მისი ადრესატისათვის/გამგზავნისათვის ჩაბარებამდე დგება შესაბამისი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ საფოსტო გზავნილის ჩამბარებელი პირი (ადრესატი ან გამგზავნი) და შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი.

89.4.3. <u>**გამგზავნისათვის არასწორად უკან დაბრუნებაზე.**</u> ამასთან, საფოსტო გზავნილი არასწორად უკან დაბრუნებულად ითვლება, თუ მისი დაბრუნების მიზეზი გაურკვეველია, ან წარმოადგენს საფოსტო ადმინისტრაციის შეცდომას.

89.4.4. <u>**საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების ვადის დარღვევაზე.**</u> ჩაბარების ვადა დარღვეულად ითვლება წინამდებარე დოკუმენტის 56-57-ე მუხლებითა და 59.2.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის 5 (ხუთი) სამუშაო დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში. ამასთან, აღნიშნული ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით EMS გზავნილის შეჩერების ვადა.

89.5. შპს „საქართველოს ფოსტის“ მატერიალური პასუხისმგებლობა წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ოდენობით ასევე დგება შპს „საქართველოს ფოსტის“ ბრალით მომხმარებლის მიერ შეკვეთილი დამატებითი სერვისის მიუღებლობის შემთხვევაში.

მუხლი 90. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

90.1. შპს „საქართველოს ფოსტას“ მარტივი და მარტივი პლიუს კატეგორიის საფოსტო გზავნილებზე არ აქვს ინფორმაციის გაცემის, პრეტენზიის განხილვისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

90.2. თუ საფოსტო გზავნილი, ადრესატისთვის ჩაბარებულია შპს „საქართველოს ფოსტის“, ხოლო საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილი - ასევე დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, შპს „საქართველოს ფოსტა“ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

90.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ არ აგებს პასუხს საფოსტო გზავნილთან დაკავშირებით საბაჟო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

90.4. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობა ასევე გამოირიცხება:

90.4.1. საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, რომლის მიზეზიც გამგზავნისგან მიღებული არასწორი (არასრულყოფილი) ინფორმაციაა;

90.4.2. დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მათ შორის, როცა შპს „საქართველოს ფოსტას“ არ შეუძლია განახორციელოს საფოსტო გზავნილების აღრიცხვა, სამსახურეობრივი დოკუმენტების დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურების გამო;

90.4.3. თუ საფოსტო გზავნილის დაკარგვა, მისი შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანება, ან წონის სხვაობა, გამოწვეულია გამგზავნის ბრალით (მათ შორის არასათანადო შეფუთვით), ან შიგთავსის თვისებებით;

90.4.4. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დაზიანებით მიღების შემთხვევაში;

90.4.5. იმ საფოსტო გზავნილზე, რომელიც შეიცავს გასაგზავნად აკრძალულ საგნებს;

90.4.6. იმ საფოსტო გზავნილზე, რომლის გაგზავნაც დაშვებულია მხოლოდ სპეციალური პირობით, ასეთი პირობის დაუცველობის შემთხვევაში;

90.4.7. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ საფოსტო გზავნილის დაკავების, განადგურების ან მისი ჩამორთმევის შემთხვევაში;

90.4.8. თუ საფოსტო გზავნილის დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვევა განხორციელებულია

იმაზე მეტ თანხად, ვიდრე გზავნილის რეალური ღირებულებაა (ამ შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ გზავნილის რეალური ღირებულება);

90.4.9. თუ ანაზღაურების მიღების მიზნით, გამგზავნი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს;

90.4.10. სამხედრო ტყვეების ან ინტერნირებული სამოქალაქო პირების ამანათების ჩაუბარებლობისთვის;

90.4.11. თუ მომხმარებელმა პრეტენზიით არ მიმართა შპს „საქართველოს ფოსტას“ წინამდებარე დოკუმენტის 97.2. პუნქტით დადგენილ ვადაში;

90.4.12. თუ გამგზავნი საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის გაგზავნისას მოითხოვს პირვანდელი დავალების შეცვლას (გზავნილის ადრესატისთვის ჩაუბარებლობას, მის უკან დაბრუნებას, გადამისამართებას და ა.შ), რომლის შესრულებაც შპს „საქართველოს ფოსტის“ მცდელობის მიუხედავად ვერ განხორციელდება;

90.4.13. თუ საფოსტო გზავნილი გარეგნულად არ არის დაზიანებული, ხოლო წონის სხვაობა არ აღემატება:

- 20 გრ-ს - წერილის, მცირე პაკეტისა და EMS დოკუმენტისთვის;
- 5 გრ-ს დაზღვეული წერილის და EMS დოკუმენტისთვის;
- 500 გრ-ს ამანათისა და EMS ნივთისთვის;
- 10 გრ-ს დაზღვეული ამანათისა და EMS ნივთისთვის.

მუხლი 91. დაუძლეველი ძალა

91.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან წინამდებარე დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში.

91.2. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი გარემოება, რომელიც არ არსებობდა და რომლის გათვალისწინება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადების დროს, ასევე რომლის დადგომა, თავიდან აცილება ან/და გადალახვა შპს „საქართველოს ფოსტას“ არ ხელეწიფებოდა.

91.3. დაუძლეველ ძალად ჩაითვლება ბუნებრივი მოვლენები და კატასტროფები, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქება, ხანძარი, ავარია, ემბარგო, ეპიდემია, პანდემია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვა, ამინდის გაუარესება, რომელიც იწვევს გადაადგილების შეზღუდვას, საჰაერო გადამზიდავის უარი საფოსტო გზავნილების ტრანსპორტირებაზე, კანონმდებლობის ცვლილებები ან/და შპს „საქართველოს ფოსტისგან“ დამოუკიდებელი

ნებისმიერი სხვა გარემოება, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

91.4. დაუძლეველი ძალის მოქმედების პერიოდში ჩერდება წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული შპს „საქართველოს ფოსტის“ ვალდებულებების შესრულების ვადის დენა.

91.5. ინფორმაცია დაუძლეველი ძალის დადგომისა და მისი დასრულების შესახებ ქვეყნდება შპს „საქართველოს ფოსტის“ ვებგვერდზე www.gpost.ge.

თავი 34. გამგზავნის პასუხისმგებლობის მოცულობა და მისი გამომრიცხავი გარემოებები

მუხლი 92. გამგზავნის პასუხისმგებლობის მოცულობა

92.1. გამგზავნს მატერიალურ პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ზიანზე, რომელიც წარმოიშვება მისი ბრალით:

92.1.1. შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ არასწორი ინფორმაციის მიწოდებით;

92.1.2. შპს „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლის სხეულის დაზიანებით, სხვისი გზავნილების ან/და შპს „საქართველოს ფოსტის“ ქონების დაზიანებით, თუ ეს გამოწვეულია გამგზავნის მიერ საფოსტო გზავნილში აკრძალული საგნის მოთავსებით და/ან დადგენილი წესების დარღვევით საფოსტო გზავნილის შეფუთვით;

92.1.3. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის შიგთავსის არასწორი/არასრული დეკლარირებით, მასში აკრძალული საგნის მოთავსებით და/ან გზავნილის არასათანადო შეფუთვით, თუ რომელიმე ეს გარემოება გახდა საფოსტო გზავნილის საქართველოს ტერიტორიის დატოვებაზე უარის თქმის საფუძველი;

92.1.4. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის შიგთავსის არასწორი/არასრული დეკლარირებით, მასში აკრძალული საგნის მოთავსებით და/ან გზავნილის არასათანადო შეფუთვით, თუ რომელიმე ეს გარემოება გახდა საქართველოს ტერიტორიის დატოვების შემდეგ ტრანზიტულ ან დანიშნულების ქვეყანაში საფოსტო გზავნილის ამოღების, ჩამორთმევის, უკან დაბრუნების და/ან რაიმე სხვა მიზეზით ადრესატისთვის ჩაუბარებლობის საფუძველი.

92.1. გამგზავნის პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც, თუ შპს „საქართველოს ფოსტა“ გასაგზავნად მიიღებს საფოსტო გზავნილს, რომელიც შეიცავს აკრძალულ ნივთს, ან თუ გზავნილი შეფუთულია დადგენილი წესების დარღვევით, ან თუ გზავნილს არ ახლავს

საბაჟო დეკლარაცია ან ის შევსებულია არასწორად/არასრულად.

მუხლი 93. გამგზავნის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

93.1. თუ გამგზავნი დაიცავს საფოსტო გზავნილის გაგზავნისათვის დაწესებულ ყველა პირობას, ის თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

თავი 35. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ასანაზღაურებელი ზიანის ზღვრული ოდენობა

მუხლი 94. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე

94.1. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის დაკარგვის ან ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის მთლიანად დაზიანებას ან დაკარგვას, შპს „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:

94.1.1. **რეგისტრირებული და ჰიბრიდული წერილისთვის** - გადახდილ გაგზავნის ღირებულებას + ამ ღირებულების 10%;

94.1.2. **რეგისტრირებული, სახლიდან სახლში და პენიტენციური ამანათისთვის** - გადახდილ გაგზავნის ღირებულებას + 5 (ხუთი) ლარი, თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის;

94.1.3. **დაზღვეული წერილის ან ამანათისთვის** - გადახდილ გაგზავნის ღირებულებას + საფოსტო გზავნილის რეალური ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს დაზღვეული თანხისა.

94.2. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას, შპს „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:

94.2.1. **რეგისტრირებული და ჰიბრიდული წერილისთვის** - გაგზავნის ღირებულების 50%;

94.2.2. **რეგისტრირებული, სახლიდან სახლში და პენიტენციური ამანათისთვის** - თითოეულ დაზიანებულ კილოგრამზე - 5 (ხუთი) ლარი;

94.2.3. **დაზღვეული წერილის ან ამანათისთვის** - დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს დაზიანებული დოკუმენტის/ნივთის დეკლარირებული თანხის ოდენობისა.

94.3. ადგილობრივი საფოსტო გზავნილის გამგზავნისთვის არასწორად დაბრუნების შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ გამგზავნს უნაზღაურებს გადახდილ გაგზავნის

ღირებულებას. ამასთან, თუ გამგზავნს საფოსტო გზავნილის გაგზავნისას მისი ღირებულება არ აქვს გადახდილი, მისთვის გაგზავნის ღირებულების ანაზღაურება არ ხდება.

94.4. შპს „საქართველოს ფოსტის“ ბრალით მომხმარებლის მიერ შეკვეთილი დამატებითი სერვისის მიუღებლობის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებელს უკან უბრუნებს გადახდილ მომსახურების საფასურს, ან სთავაზობს შეუსრულებელი ვალდებულების ხელახლა შესრულებას, თუ მომხმარებლის მიერ სერვისის ღირებულება წინასწარაა გადახდილი.

94.5. თუ მომხმარებელი ზიანის ანაზღაურების მიზნით მოითხოვს ამ მუხლით განსაზღვრულ ანაზღაურებაზე ნაკლებ ანაზღაურებას, შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია აანაზღაუროს ნაკლები თანხა.

მუხლი 95. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა საერთაშორისო გამავალ საფოსტო გზავნილებზე

95.1. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის დაკარგვის ან ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის მთლიანად დაზიანებას ან დაკარგვას, შპს „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:

95.1.1. **რეგისტრირებული წერილისთვის** - გაგზავნის ღირებულებას + მისი შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 30 სსუ (SDR) -სა;

95.1.2. **რეგისტრირებული M ტომარასთვის** - გაგზავნის ღირებულებას + მისი შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 150 სსუ (SDR) -სა;

95.1.3. **რეგისტრირებული ამანათისთვის** - გაგზავნის ღირებულებას + 40 სსუ (SDR) + 4.5 სსუ (SDR) თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის;

95.1.4. **EMS დოკუმენტისთვის** - გაგზავნის ღირებულებას + მისი შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 30 სსუ (SDR) -სა;

95.1.5. **EMS ნივთისთვის** - გაგზავნის ღირებულებას + მისი შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 130 სსუ (SDR) -სა.

95.1.6. **დაზღვეული წერილის, ამანათის ან EMS გზავნილისთვის (დოკუმენტი/ნივთი)** - გაგზავნის ღირებულებას + საფოსტო გზავნილის რეალური ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს დაზღვეული თანხისა.

95.2. საერთაშრისო გამავალი საფოსტო გზავნილის ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას, შპს „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:

95.2.1. **რეგისტრირებული წერილისთვის** - დაზიანებული შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 30 სსუ (SDR) -სა;

95.2.2. **რეგისტრირებული M ტომარასთვის** - დაზიანებული შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 150 სსუ (SDR) -სა;

95.2.3. **რეგისტრირებული ამანათისთვის** - 40 სსუ (SDR) + 4.5 სსუ (SDR) თითოეული დაზიანებული და მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის;

95.2.4. **EMS დოკუმენტისთვის** - დაზიანებული შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 30 სსუ (SDR) -სა;

95.2.5. **EMS ნივთისთვის** - დაზიანებული შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 130 სსუ (SDR) -სა;

95.2.6. **დაზღვეული წერილის, ამანათის ან EMS გზავნილისთვის (დოკუმენტი/ნივთი)** - დაზიანებული შიგთავსის დაზღვეული თანხის ოდენობით.

95.3. საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილის გამგზავნისათვის არასწორად დაბრუნების შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ გამგზავნს უნაზღაურებს გადახდილ გაგზავნის ღირებულებას. ამასთან, თუ გამგზავნს საფოსტო გზავნილის გაგზავნისას მისი ღირებულება არ აქვს გადახდილი, მისთვის გაგზავნის ღირებულების ანაზღაურება არ ხდება.

95.4. საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების ვადის 5(ხუთ) სამუშაო დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ გამგზავნს უბრუნებს თანხას შემდეგი ოდენობით:

95.4.1. თუ გაგზავნილია EMS დოკუმენტი - სხვაობას გადახდილ EMS გზავნილის გაგზავნის ღირებულებასა და იმავე წონის საერთაშორისო გამავალი რეგისტრირებული წერილის გაგზავნის ღირებულებას შორის;

95.4.2. თუ გაგზავნილია EMS ნივთი - სხვაობას გადახდილ EMS გზავნილის გაგზავნის ღირებულებასა და იმავე წონის საერთაშორისო გამავალი რეგისტრირებული ამანათის გაგზავნის ღირებულებას შორის.

95.5. წინამდებარე დოკუმენტის 92.1.3. ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, გამგზავნს უკან უბრუნდება:

95.5.1. წერილის ან მცირე პაკეტის გაგზავნის შემთხვევაში - სხვაობა გადახდილი გაგზავნის ღირებულებასა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი იმავე წონის ადგილობრივი რეგისტრირებული წერილის გაგზავნის ღირებულების ორმაგ ოდენობას შორის;

95.5.2. M ტომარას ან ამანათის გაგზავნის შემთხვევაში - სხვაობა გადახდილი გაგზავნის ღირებულებასა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი იმავე წონის ადგილობრივი რეგისტრირებული ამანათის გაგზავნის ღირებულების ორმაგ ოდენობას შორის;

95.5.3. EMS დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - სხვაობა გადახდილი გაგზავნის ღირებულებასა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი იმავე წონის

ადგილობრივი რეგისტრირებული წერილის გაგზავნის ღირებულების ორმაგ ოდენობას შორის;

95.5.4. EMS ნივთის გაგზავნის შემთხვევაში - სხვაობა გადახდილი გაგზავნის ღირებულებასა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი იმავე წონის ადგილობრივი რეგისტრირებული ამანათის გაგზავნის ღირებულების ორმაგ ოდენობას შორის;

95.5.5. თუ საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილი დაზღვევით იგზავნება, გარდა წინამდებარე დოკუმენტის 95.5.1.-95.5.4. ქვეპუნქტებით განსაზღვრული ანაზღაურებისა, გამგზავნს ასევე უკან უბრუნდება საფოსტო გზავნილის დაზღვევისთვის გადახდილი ღირებულება.

95.6. თუ გამგზავნი ზიანის ანაზღაურების მიზნით მოითხოვს წინამდებარე დოკუმენტის ამ მუხლით განსაზღვრულ ანაზღაურებაზე ნაკლებ ანაზღაურებას, შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია აანაზღაუროს ნაკლები თანხა.

მუხლი 96. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილებზე

96.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ საერთაშორისო შემომავალ საფოსტო გზავნილთან მიმართებაში პასუხისმგებელია მხოლოდ საფოსტო გზავნილის გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის წინაშე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურების მოთხოვნა მიღებულია საფოსტო გზავნილის გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციისგან საერთაშორისო საფოსტო რეგულაციებით დადგენილი წესით.

96.2. შპს „საქართველოს ფოსტა“ საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის დაკარგვის ან ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის მთლიანად დაზიანებას ან დაკარგვას, გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას უნაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:

96.1.1. **რეგისტრირებული წერილისა და მცირე პაკეტისთვის** - გაგზავნის ღირებულებას + მისი შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 30 სსუ (SDR) -სა;

96.1.2. **რეგისტრირებული M ტომარასთვის** - გაგზავნის ღირებულებას + მისი შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 150 სსუ (SDR) -სა;

96.1.3. **რეგისტრირებული ამანათისთვის** - გაგზავნის ღირებულებას + 40 სსუ (SDR) + 4.5 სსუ (SDR) თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის;

96.1.4. **EMS დოკუმენტისთვის** - გაგზავნის ღირებულებას + მისი შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 30 სსუ (SDR) -სა;

96.1.5. **EMS ნივთისთვის** - გაგზავნის ღირებულებას + მისი შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 130 სსუ (SDR) -სა;

96.1.6. **დაზღვეული წერილის და M ტომარასთვის -** გაგზავნის ღირებულებას + დაზღვეული თანხის ოდენობა, მაგრამ არაუმეტეს 2000 სსუ (SDR) -სა;

96.1.7. **დაზღვეული ამანათისთვის** - საფოსტო გზავნილის გაგზავნის ღირებულებას + დაზღვეული თანხის ოდენობა, მაგრამ არაუმეტეს 4000 სსუ (SDR) -სა.

96.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას, გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას უნაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:

96.3.1. **რეგისტრირებული წერილისა და მცირე პაკეტისთვის** - დაზიანებული შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 30 სსუ (SDR) -სა;

96.3.2. **რეგისტრირებული M ტომარასთვის** - დაზიანებული შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 150 სსუ (SDR) -სა;

96.3.3. **რეგისტრირებული ამანათისთვის** - 40 სსუ (SDR) + თითოეულ დაზიანებულ კილოგრამზე 4.5 სსუ (SDR);

96.3.4. **EMS დოკუმენტისთვის** - დაზიანებული შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 30 სსუ (SDR) -სა;

96.3.5. **EMS ნივთისთვის** - დაზიანებული შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 130 სსუ (SDR) -სა;

96.3.6. **დაზღვეული წერილის და M ტომარასთვის** - დაზიანებული შიგთავსის დაზღვეული თანხის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2000 სსუ (SDR) -სა;

96.3.7. **დაზღვეული ამანათისთვის** - დაზიანებული შიგთავსის დაზღვეული თანხის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 4000 სსუ (SDR) -სა.

96.4. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის გამგზავნისთვის არასწორად დაბრუნების შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას უნაზღაურებს გამგზავნის მიერ გადახდილ საფოსტო გზავნილის გაგზავნის მომსახურების საფასურს.

96.5. თუ გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაცია ზიანის ანაზღაურების მიზნით მოითხოვს ამ მუხლით განსაზღვრულ ანაზღაურებაზე ნაკლებ ანაზღაურებას, შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია აანაზღაუროს ნაკლები თანხა.

96.6. შპს „საქართველოს ფოსტის“ ბრალით მომხმარებლის მიერ შეკვეთილი დამატებითი სერვისის მიუღებლობის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებელს უკან უბრუნებს მომსახურების გადახდილ საფასურს, ან თავაზობს შეუსრულებელი ვალდებულების ხელახლა შესრულებას.

თავი 36. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ რეკლამაციის განხილვის წესი და გადაწყვეტილების მიღება ზიანის ანაზღაურების თაობაზე

მუხლი 97. რეკლამაციის წარდგენა და განხილვა

97.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესების შესაბამისად, განიხილავს მომხმარებელის რეკლამაციას, რომელიც ეხება მის პრეტენზიას ან შეკითხვას საფოსტო მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებით.

97.2. რეკლამაციის წარდგენის ვადაა:

97.2.1. 6 (ექვსი) თვე ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილის გაგზავნიდან, გარდა EMS გზავნილისა;

97.2.2. 4 (ოთხი) თვე EMS გზავნილის გაგზავნიდან;

97.2.3. 2 (ორი) თვე დამატებითი სერვისის შეკვეთის რეგისტრაციიდან.

97.3. შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს წინამდებარე დოკუმენტის 96.2. პუნქტში აღნიშნული ვადის დარღვევით მიღებული რეკლამაცია განუხილველი დატოვოს და აცნობოს ამის შესახებ რეკლამაციის ავტორს.

97.4. შპს „საქართველოს ფოსტა“ არ განიხილავს რეკლამაციას მარტივ და მარტივი პლიუს კატეგორიების საფოსტო გზავნილებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეკლამაცია შეეხება ამ კატეგორიების საფოსტო გზავნილებთან დაკავშირებული დამატებითი სერვისების მიუღებლობას.

97.5. რეკლამაციის წარდგენის უფლება აქვს საფოსტო გზავნილის გამგზავნს, ადრესატს, მათ წარმომადგენელს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, ასევე საფოსტო გზავნილის წარმომდგენს.

97.6. რეკლამაციის შესახებ განცხადება შპს „საქართველოს ფოსტას“ წარედგინება წერილობით, ხელმოწერილი სახით, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

97.6.1. განმცხადებელი ფიზიკური პირის სახელი და გვარი, იურიდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება, ასევე განმცხადებლის მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

97.6.2. საფოსტო გზავნილის გამგზავნისა და ადრესატის ვინაობა და მისამართები;

97.6.3. იმ საფოსტო გზავნილის მონაცემები, რომელსაც ეხება რეკლამაცია (საფოსტო გზავნილის სახეობა, მაიდენტიფიცირებელი ნომერი, სერვისცენტრის ნომერი, საიდანაც მოხდა საფოსტო გზავნილის გაგზავნა/მიღება, გზავნილის გაგზავნის/მიღების თარიღი, დაზღვეული საფოსტო გზავნილის შემთხვევაში - დაზღვევის თანხა და გზავნილის შიგთავსის აღწერა);

97.6.4. რეკლამაციის შინაარსი;

97.6.5. პასუხის მიღების სასურველი ფორმა (ზეპირად, წერილობით - მატერიალური დოკუმენტის სახით, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით).

97.7. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

97.7.1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. ამასთან, თუ განმცხადებელი გამგზავნის/ადრესატის წარმომადგენელია, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;

97.7.2. თუ განცხადება შეეხება საფოსტო გზავნილის დაკარგვას ან დაზიანებას, ნებისმიერი დოკუმენტი/მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს დაკარგული/დაზიანებული საფოსტო გზავნილის ღირებულებას.

97.8. რეკლამაციის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წარმოდგენა განმცხადებელს შეუძლია შპს „საქართველოს ფოსტის“ ნებისმიერ სერვისცენტრში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@gpost.ge, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული სერვისის გამოყენებით.

97.9. შპს „საქართველოს ფოსტა“ რეკლამაციის განცხადებას იხილავს უსასყიდლოდ.

97.10. თითოეულ საფოსტო გზავნილზე რეკლამაციის წარდგენა ხდება ცალ-ცალკე.

97.11. რეკლამაციის განხილვის პროცესში შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს მოსთხოვოს განმცხადებელს ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტის/მტკიცებულების წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებს განმცხადებლის პრეტენზიას.

97.12. წინამდებარე დოკუმენტის 97.6.-97.7. პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის სრულად წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, არ განიხილოს რეკლამაცია და აცნობოს ამის შესახებ რეკლამაციის ავტორს.

97.13. შპს „საქართველოს ფოსტა“ რეკლამაციის განცხადებას იხილავს მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს აცნობებს მის მიერ შერჩეული ფორმით.

97.14. თუ წინამდებარე დოკუმენტის 97.13. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში რეკლამაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, განმცხადებელს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ეცნობება რეკლამაციის განხილვის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საბოლოო პასუხი მიეცემა რეკლამაციის განხილვის დასრულებისთანავე, მაგრამ არაუმეტეს რეკლამაციის შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიღებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში. ამასთან, თუ რეკლამაცია შეეხება საერთაშორისო გამავალ საფოსტო გზავნილს, მისი განხილვის ვადა შესაძლოა გაგრძელდეს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ რეკლამაციის მიღებიდან 2 (ორი) თვემდე ვადით.

97.15. თუ რეკლამაციის განხილვის პროცესში შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ განმცხადებლისგან მოთხოვნილია დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა, მის წარმოდგენამდე რეკლამაციის განხილვის ვადის დენა ჩერდება.

მუხლი 98. ზიანის ანაზღაურების წესი

98.1. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მომხმარებლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ანაზღაურება გაიცემა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

98.2. მომხმარებლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით. ამასთან, საერთაშორისო საფოსტო გზავნილზე ანაზღაურების ოდენობის ლარში გამოსათვლელად გამოიყენება გადახდის დღეს სსუ (SDR) და მისი ექვივალენტი აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი.

98.3. თუ შპს „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებას ახორციელებს გამგზავნის მიერ წარდგენილი რეკლამაციის საფუძველზე, გამგზავნს უფლება აქვს, ანაზღაურების მიღების უფლება დაუთმოს ადრესატს ან მესამე პირს, თუ ამის შესახებ წერილობით აცნობებს შპს „საქართველოს ფოსტას“.

98.4. შპს „საქართველოს ფოსტის“ ბრალით ადრესატის მიერ შეკვეთილი დამატებითი სერვისის მიუღებლობის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებას ახორციელებს ადრესატის მიმართ.

98.5. თუ ანაზღაურების შემდეგ დაკარგული საფოსტო გზავნილი მოძიებული იქნება, შპს „საქართველოს ფოსტა“ ამის შესახებ აცნობებს მომხმარებელს და განუმარტავს, რომ მას ერთი თვის ვადაში უფლება აქვს მიღებული ანაზღაურების უკან დაბრუნების სანაცვლოდ, მიიღოს მოძიებული საფოსტო გზავნილი. თუ მომხმარებელი შეტყობინების მიღების დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში არ აცნობებს შპს „საქართველოს ფოსტას“ საკუთარი სურვილის შესახებ, ან ამავე ვადაში უარს განაცხადებს საფოსტო გზავნილის მიღებასა და თანხის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ დაბრუნებაზე, საფოსტო გზავნილი გადავა შპს „საქართველოს ფოსტის“ საკუთრებაში.

თავი 37. გამგზავნის მიერ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა და მისი ანაზღაურების წესი

მუხლი 99. ზიანის ოდენობა

99.1. წინამდებარე დოკუმენტის 92-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, გამგზავნის მიერ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა განისაზღვრება შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის შესაბამისი ოდენობით.

მუხლი 100. ზიანის ანაზღაურების წესი

100.1. გამგზავნი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

კარი VI.
დასკვნითი დებულებები

თავი 38. დასკვნითი დებულებები

მუხლი 101. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

101.1. საფოსტო მომსახურების ნებისმიერ მომხმარებელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, თუ ჩათვლის, რომ შპს „საქართველოს ფოსტის“ მხრიდან დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მომხმარებლის უფლებები.

მუხლი 102. ინტერპრეტაცია და ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

102.1. თუ წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთლიანი დოკუმენტის ბათილობას. ამ შემთხვევაში დოკუმენტის დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

102.2. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დოკუმენტით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე შემდეგი საერთაშორისო რეგულაციებით: მსოფლიო საფოსტო კავშირის წესდება; მსოფლიო საფოსტო კავშირის საერთო რეგლამენტი; მსოფლიო საფოსტო კონვენცია; წერილობითი კორესპონდენციის რეგლამენტი; საფოსტო ამანათების შეთანხმება; EMS-ის ოპერირების სახელმძღვანელო; EMS კოოპერატივის სტანდარტები.

102.3. წინამდებარე დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის შპს „საქართველოს ფოსტის“ ვებგვერდზე www.gpost.ge განთავსების დღიდან.